ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

„ახალი თაობა“
+
მსოფლიოს ხალხთა ზღაპრები
ამერიკული ზღაპრები
6 ლარი




ოთხშაბათი, 13 თებერვალი, 2013 | №36 (6037) | ფასი: 30 თეთრი

# ნაციონალური მოძრაობა შსს–ს ულტიმატუმს უყენებს



გვ.5



## ვანო მერაბიშვილი და ზურაბ ჭიაბერაშვილი დაკითხვაზე არიან დაბარებული

გვ.6



## შემოიღებენ თუ არა საქართველოში მრავალცოლიანობას

ანაზღაურებადი დეკრეტული შვებულება ერთ წლამდე უნდა გაიზარდოს

გვ.6



გვ.2

## სოსო ცისკარიშვილი: „სააკაშვილი წარსულშია ჩარჩენილი“



გვ.5

## ელიზბარ ჯაველიძე: „სააკაშვილი საქართველოს 8 ჯუჯა სახელმწიფოდ დანაწევრებას აპირებს“

„რატომ არ აღშფოთდა დასავლეთი, 26 მაისის ღამეს აქციის მონაწილეები რომ გააუპატიურეს“

## შსს-მ 20 წლის მარიამ არაქელოვის მკვლელობის საქმე გახსნა

გვ.6

## ზაზა დავითაია: „ხალხმა ჩიორას პოლიტიკას გაანნა სილა“



გვ.3

როდის გახდება პოლიტპატიმრების საქმეები საჯარო

6 თებერვლიდან!
„ახალი თაობა“
+
ჩე გევარა
8 ლარი




## ფულე: „ევროკავშირს უნდა, პარტნიორებმა ისეთი მოლაპარაკება აწარმოონ, როგორიც მეზობლებს შეეფერებათ“

გვ.4



9 771987 938006

4 საქართველოში 300 ტონამდე კიბოთი დაავადებული კარტოფილია შემოტანილი

12 „50 წიგნი, რომელიც უნდა წაიკითხო, სანამ ცოცხალი ხარ“ გრძელდება

4 ზვიად ძიძიგური: „სააკაშვილი არასტაბილური პოლიტიკური პარტნიორია“

2 გოგა ხაინდრავა: „სააკაშვილმა და მისმა გუნდმა ცილისწამებისთვის პასუხი უნდა აგონ“

# სოსო ცისკარიშვილი: „სააკაშვილი წარსულშია ჩარჩენილი“

ნონა ცაბაძე

**ინტერვიუ დამოუკიდებელ ექსპერტთა კლუბის პრეზიდენტ სოსო ციკარიშვილთან**

***— ბატონო სოსო, როგორ შეაფასებდით პრეზიდენტის და პარლამენტის თავმჯდომარის შეხვედრას? რა ამოიკითხეთ სააკაშვილის განცხადებებში?***

— ერთადერთი პოზიტიური შთაბეჭდილება გახლდათ ფაქტი, რომელსაც შემიძლია დავარქვა უსუფაშვილის მასტერკლასი სააკაშვილისთვის. სწორედ ასეთი მკაფიო განსხვავება პოლიტიკურ კლასში გამოავლინეს პარლამენტის თავმჯდომარემ და ყოფილმა პრეზიდენტმა. თავისთავად მძიმე ფონზე ხდებოდა ეს შეხვედრა, ვგულისხმობ 8 თებერვლის მოვლენებს და ის მინიმალური ოპტიმიზმი, რომელიც გააჩნდა პარლამენტის თავმჯდომარეს, ამ ეტაპზე, ვფიქრობ, საკმარისია იმისთვის, რომ არ ჩავიქნიოთ ხელი საბოლოოდ. თუმცა, რასაკვირველია, კვლავ იჩენს თავს ჩვენი პოლიტიკური სპექტრის გარკვეული ყოველგვარი მიდგომის რეალობა, როცა ხელისუფლებაში მყოფ პოლიტიკურ ძალას არა აქვს პრინციპული პოზიცია იმის თაობაზე, ხუთ წელიწადში 60 თვეა თუ 70. რომ ყოფილიყვნენ უფრო პრინციპულები და 20 იანვარს რომ დამშვიდობებოდნენ ადამიანს, რომელიც კიდევ კარგა ხანს აპირებს თავის თავს პრეზიდენტი ეძახოს, ასეთი სირთულეები მათ არ დახვდებოდათ. თუმცა რეალობა არის ისეთი, როგორსაც ვხედავთ და როდესაც ერთმანეთთან საუბრობენ ლეგიტიმური პარლამენტის თავმჯდომარე, ლეგიტიმური უმცირესობის ლიდერი და არალეგიტიმური პირი, რომელიც კვლავ ჯიუტად პრეზიდენტს უწოდებს თავის თავს, ცხადია, აქ ნაკლები პერსპექტივაა კონსენსუსის. ამიტომ პირველი შედეგი, რაც ჩემთვის დადგა, ეს ის გახლავთ, რომ უპრიანი იქნება, ამ მოლაპარაკებებს თუ გააგრძელებენ ჯგუფები, რომლებსაც უხელმძღვანელებენ ყოფილი და ამჟამინდელი პარლამენტის თავმჯდომარეები და შედეგები მოხსენდება როგორც პრემიერს, ისე თვითმარქვია პრეზიდენტს. ხოლო თუ უფრო ღრმად ჩაიხედავს რეალობაში დღევანდელი საპარლამენტო ოპოზიცია, მაშინ იმედი მაქვს მათი გონიერების და ალბათ მალე მივლენ მოაზროვნე ნაწილის წევრები ამ უმცირესობისა დასკვნამდე, რომ დროა გაიტანონ გრენლანდია! რადგან გრენლანდიის დროზე არგატანა, როგორც უკვდავი ფილმიდან ვიცით, ხიფათს შეიცავს და არა მხოლოდ გრენლანდიისთვის.

***— ჩვენ მოვისმინეთ ულტიმატუმები სააკაშვილისგან, რომ ის თანახმაა, რამდენიმე პირობის სანაცვლოდ, კონსტიტუციაში შევიდეს ის ერთი შესწორება, რომლის თანახმადაც პრეზიდენტს აღარ ექნება მთავრობის დათხოვნის და დანიშვნის უფლება...***

— მთავრობის დათხოვნის უფლების წინააღმდეგ არავინ გამოდის, მიუღებელია მთავრობის დანიშვნის უფლება, პარლამენტის მიერ დამტკიცების გარეშე. აი, ეს არის თავი და თავი. თვითონაც უნდათ, რომ ამას ყველაფერს საფუძვლად დაუდონ მთავრობის შიში, რომ იყოს დათხოვნილი, მაგრამ სინამდვილეში მალავენ იმას, მუხლი, რომელზეც არის საუბარი, უფლებას აძლევს საქართველოს პრეზიდენტს, თუმცა რატომ უნდა იყოს ეს მუხლი



ყოფილი პრეზიდენტის მიერ წამოყენებული, გაუგებარია. რასაკვირველია, ძნელად მოიპოვება ანალოგი იმისა სადმე, რომ პრეზიდენტს, სადაც არსებობს პარლამენტი, შეეძლოს თავის უბის წიგნაკში ჩამოწეროს ადამიანთა ჯგუფის გვარები და გამოაცხადოს, აი, ეს არის ახლა თქვენი მთავრობა. ასეთი რამ არ ხდება და თავად ფორმულირებაც პრობლემის მიგვანიშნებს იმაზე, რომ ოპოზიციის ლიდერი, რომელმაც აგერ უკვე ოთხი თვის თავზე საპარლამენტო არჩევნების წაგებისა, აცნობიერებს რომ თურმე იგი საქართველოს პრეზიდენტია, ასეთი რამ 20 იანვრამდე აღარ უთქვამს, რომ დაიჩემა პირველი ოქტომბრის ღამიდან ოპოზიციონერი ვარო, არ გადაუთქვია 11 თებერვლამდე. ახლა გაახსენდა, რომ ის პრეზიდენტია. იმ კვირაში რომ ისევ დაავიწყდეს, რა ვქნათ მერე? ვის შეუთანხმოს უმრავლესობამ საკუთარი მოსაზრებები კონსტიტუციასთან დაკავშირებით? საერთოდ, როგორც ჩანს, მაინც შემთხვევით არ არის ეს ხუთწლიანი ვადა განკუთვნილი პრეზიდენტისთვის, რადგან ამ ვადიდან გამოსვლის შემდეგ, ცხადი ხდება, რომ ადამიანი, რომელიც თავის თავს პრეზიდენტს უწოდებს, აღარ არის ფორმაში და ეს უპირველეს ყოვლისა, გამოიხატება მისი პრესკონფერენციების დროს, როდესაც იგი პასუხობს ჟურნალისტების კითხვას. რჩება სრული შთაბეჭდილება, რომ ამ კითხვებზე პასუხის ავტორი ჩარჩენილია შარშანდელ აგვისტოში და ჯერ კიდევ მუშტებს იქნევს არჩევნებში გასამარჯვებლად.

***— ბატონო სოსო, ამ ფონზე რამდენად მიღწევადი იქნება შეთანხმებები და რამდენად შედეგიანი, თუკი სააკაშვილი აქტიურად იქნება ამ პროცესში ჩართული?***

— ეს უფრო უმცირესობის პრობლემაა, ვიდრე უმრავლესობის, რადგან რაც უფრო დიდხანს ისაუბრებს უმცირესობის სახელით ყოფილი პრეზიდენტი, მით უფრო მეტი ვნება მიადგება იმ პოლიტიკურ გუნდს, რომელსაც შეეძლო სხვა ტაქტიკის არჩევის შემთხვევაში, ყოფილიყო საინტერესო და კონსტრუქციული პოლიტიკოსთა ის გაერთიანება, რომელსაც ექნებოდა პერსპექტივა სამომავლო პოლიტიკური ცხოვრებისთვისაც. ახლა ყოველდღიურად ვრწმუნდები, რომ რაც უნდა გონიერი და პატიოსანი ადამიანი იყოს ამ პოლიტიკოსთა შორის, მისი ხმა უმალ გაუჩინარდება, ვიდრე რაიმე გაჟღერებას მოახერხებს. ყოველდღიურად ხდება დისკრედიტაცია ნაციონალური მოძრაობის ნაშთისა, მისი ლიდერის მხრიდან. როცა ნაციონალური მოძრაობის ლიდერი საუბრობს, ის ლეგიტიმურია ამ თანამდებობაზე, მაგრამ როცა წარსულს იხსენებს და იძახის, პრეზიდენტი ვარო, აქ უკვე პასუხისმგებლობა დგება იმ პოლიტიკური გაერთიანების, რომელიც შეგნებულად ამახინჯებდა კონსტიტუციას და არც ახლა არის უარზე, რაიმე სისულელეები ჩაწეროს ქვეყნის უპირველეს დოკუმენტში.

***— სააკაშვილი ამ შეხვედრის შემდეგ მაინც ხელების გადაგრეხაზე და ძალადობაზე აპელირებდა. ასე რომ ყოფილიყო, უმრავლესობას ხომ აღარ დასჭირდებოდა კონსულტაციები პრეზიდენტთან და ამ ცვლილებებს მისი თანხმობის გარეშეც მიიღებდა?***

— ჯერ კიდევ გასარკვევია, როგორი იქნება რეაქცია პრემიერ-მინისტრის. მართალია მას უწევს სერიოზული შრომა იმისთვის, რომ გაითვალისწინოს განწყობები არა მხოლოდ ქვეყნის შიგნით, არამედ ქვეყნის გარეთაც და ამ მხრივ რასაკვირველია გარკვეულ წარმატებებს მან მიაღწია, რადგან ნაციონალური მოძრაობა აღარ არის აღარც ერთადერთი და აღარც ყველაზე სანდო წყარო ინფორმაციისა, რომელიც ვრცელდება საქართველოდან. თუმცა ფაქტია, რომ ერთ მუხლზე სავაჭროდ სამ-ოთხ მუხლს საკუთარ ჭკუაზე მორგებას უპირებს ნაციონალური მოძრაობა. ეს იმ სიტუაციაში, როდესაც ამბობს, რომ მუხლი, რომელზეც საუბრობს უმრავლესობა, მათთვის თითქოს რაიმე ინტერესის საგანს არ წარმოადგენს. ამიტომ ეს დავები გაგრძელდება და თუ სახელმწიფო ინტერესებზე ზევით, კვლავ საკუთარი პოლიტიკური პერსპექტივა უფრო დააინტერესებს ნაციონალურ მოძრაობას, მაშინ ნუ გაუკვირდებათ, რომ პოლიტიკოსების მიერ ჩიხში შეყვანილ სიტუაციას, პატრონად გამოადგეს სწორედ ის ქართველი საზოგადოება, რომელმაც შექმნა განსხვავებული რეალობა გასული წლის ოქტომბერში. მერე უკვე საკუთარ თავს აბრალონ პოლიტიკოსებმა თუ ისინი გაუშვებენ ხელიდან ინიციატივას, ცივილიზებულ ფორმაში, ამ საკითხების მოგვარებისა. მერე უკვე სოფელსოფელ გამშველებელთა რაოდენობა ნაკლები იქნება ერთმანეთის მიმართ მტრულად განწყობილ ადამიანთა რაოდენობაზე და შედეგი ბევრად უფრო მძიმე იქნება, ვიდრე ეს შეიცხადა 8 თებერვალს, 26 მაისის შემოქმედმა პოლიტიკურმა ძალამ.

***— ასევე პარლამენტის თბილისში დაბრუნებას ეწინააღმდეგება კატეგორიულად მიხეილ სააკაშვილი, ათწლეულები და ასწლეულები პარლამენტი ქუთაისში უნდა იყოსო... რამდენად დათმობს ამ საკითხს უმრავლესობა?***

— ახლა, თუ ორივე დაპირისპირებულმა ძალამ აღმოაჩინეს, რომ წლევანდელი ოქტომბრის გარდა, კიდევ 2018 წელსაც უნდა იყოს საპრეზიდენტო არჩევნები და მანამდე ჩათვალონ სააკაშვილი პრეზიდენტად, რასაკვირველია ყველაფერია მოსალოდნელი, მაგრამ თუ იმას მაინც იკმარებენ, რომ ხუთ წელიწადში მოიაზრონ 70 თვე და არა 700, მაშინ სააკაშვილს პრეზიდენტობიდან უკვე საყოველთაო გაცილების შემდეგ ექნება ერთი ბიოგრაფიის პოლიტიკოსის უფლება, მემუარებში ასახოს თავისი აზრები. ფაქტი ერთია, სააკაშვილმა საკუთარი თავი ჩაწერა იმ პოლიტიკოსთა რიგში, რომლებიც პოლიტიკაში მოდიან ბრწყინვალე მომავლით და პოლიტიკიდან მიდიან საშინელი წარსულით.

***— ასევე მინდა, რომ ჩვენს ქალაქის მერზე, გიგი უგულავას შესახებაც ვისაუბროთ, რომელიც ჯიუტი ბავშვივით იქცევა. საკუთარ კაბინეტში იბარებს გამომძიებელს. რადგან ერთხელ გაუვიდა ამიტომ იქცევა ასე თუ რასთან გვაქვს საქმე?***

— სამწუხაროდ, ფორმულა — დედა ნახე, მამა ნახე, შვილი ისე გამონახე, აღარ მუშაობს. ინტელიგენტი, კულტურული მშობლების შვილი ასე არ უნდა იქცეოდეს, მაგრამ ძალაში რჩება მეორე, ხარი ხართან დააბი, ან ზნეს იცვლის ან ფერსაო. ისე მჭიდროდ არიან დაბმულები ერთი და იგივე ბაგაზე ნაციონალური მოძრაობის ლიდერები, რომ მათთვის უკვე ღირსებათა შკალა აღარ წარმოადგენს რაიმე ღირებულებას და ჯიუტი ბავშვივით, გამდის და ვტირიო, აი, ასეთ რეჟიმში არჩევს უგულავა, რომ გააგრძელოს თავისი საქმიანობა და რამენაირად დაასრულოს იგი სამშვიდობოზე, თუმცა უპირველეს ყოვლისა, საკუთარ თავს ვნებს იგი, თუნდაც იმ პირობებში, როდესაც საკმაოდ უცნაურია, რომ ადამიანს სამართალდამცავები მას აკითხავენ არა იმ დარღვევებისთვის, რომელიც მან, როგორც მერმა ჩაიდინა წლების განმავლობაში, არამედ იმის გამო, რომ თავყრილობაზე ხელების ქნევით გამოთქვამდა თავის ემოციებს და თუნდაც პროვოკაციული მიზნით ცდილობდა იქ მყოფთა გაღიზიანებას. მართლმსაჯულება უნდა იყოს სამართლიანი და ის მიზეზს კი არ უნდა ეძებდეს ვინმეს დევნისთვის, არამედ უნდა ჰქონდეს სრულიად მკაფიო მიდგომები ცალკეული დანაშაულის მიმართ და მტკიცებულებების მოპოვების უნარი წინ უნდა უსწრებდეს რაიმე ტიპის განცხადებებს. ამიტომ ვინ რამდენჯერ იქნება დაკითხული პროკურატურაში, ამას არა აქვს მნიშვნელობა, მთავარია, რომ დაკითხვას ჰქონდეს მიზეზი, მიზეზი იყოს დადასტურებული და ამის შემდეგ ხდებოდეს ქმედებები, რათა არ იყოს სხვადასხვადასხვა აზრის საფუძველი მაღალჩინოსანთა მიმართ სამართალდამცველების მიერ წარდგენილი ბრალდებებისას. არავის ეპარება ეჭვი, რომ საკმარისზე მეტია საფუძველი ნაციონალური მოძრაობის მაღალჩინოსანთა განრიდებისთვის საზოგადოებისგან. ჯერჯერობით ვხედავთ მხოლოდ გირაოს, რომელსაც მათი ნაწილი ალბათ ღიმილით ხვდება, გამომდინარე იმ რაოდენობიდან, რასაც სასამართლო ქადაგებს.

# გოგა ხაინდრავა: „სააკაშვილმა და მისმა გუნდმა ცილისწამებისთვის პასუხი უნდა აგონ“

შორენა კოწოწაშვილი

**ხელისუფლების შეცვლის შემდგომ ქვეყანაში დაწყებული სამართლიანობის აღდგენის პროცესში მთავარ პროკურატურაში შესული 3.000-ზე მეტი საჩივარი, რომელიც სააკაშვილის ხელისუფლების სისასტიკეს და დანაშაულობებს გამოკვეთს, არაერთი გახმაურებული საქმის ახალ დეტალს გამოაჩენს, რაც აღნიშნული სისხლის სამართლის საქმეების გადახედვის და ხელახლა გამოძიების საფუძველს იძლევა. ამ პროცესში ახალი დეტალი გაჩნდა აკადემიკოს გურამ შარაძის მკვლელობის საქმეშიც.**

როგორც საზოგადოებისთვის ცნობილია, შარაძის მკვლელობისთვის სასჯელს ბარაელი იხდის, რომელიც აცხადებს, რომ მას ეს მკვლელობა არ ჩაუდენია და დაიბრალა.

რამდენიმე დღის წინ კი გურამ შარაძის საქმის გადახედვის აუცილებლობაზე ისაუბრეს ადვოკატთა ასოციაციაშიც, სადაც ადვოკატმა ირაკლი გაბრიჩიძემ სკანდალური განცხადება გააკეთა. მისი თქმით, პირველ საპყრობილეში მოთავსებული პატიმარი გიორგი გათენაძე აცხადებს, რომ მას გირგვლიანის მკვლელობის საქმეში ოლეგ მელნიკოვი და კიდევ ერთი პიროვნება ბარათელის წინააღმდეგ იყენებდა. მელნიკოვი მან ტელევიზიით ამოიცნო.

პრესკონფერენციაზე ითქვა, რომ ხელისუფლება უკვეთავდა მკვლელობებს და შემდეგ ცდილობდა, ეს მკვლელობები ცნობილი სახეებისთვის გადაებრალებინა. ზაზა ხატიაშვილის თქმით, ხელისუფლება ცდილობდა, რომ შარაძის მკვლელობა გოგა ხაინდრავასთვის გადაებრალებინდა, რომ თითქოს ამ მკვლელობისთვის 500.000 დოლარს გადაიხდიდა.



გადაიხედება თუ არა შარაძის საქმე, ჩვენთვის უცნობია. იმის გარკვევა კი, რატომ უნდოდათ დაეკავშირებინათ გურამ შარაძის მკვლელობასთან გოგა ხაინდრავა, თავად ამ გახმაურებული მკვლელობის ახალ „შემკვეთთან“ ვცადეთ.

**გთავაზობთ ინტერვიუს გოგა ხაინდრავასთან**

***— ბატონო გოგა, თქვენ ხართ ერთ-ერთი იმათთანაგი, ვის წინააღმდეგაც სააკაშვილის ხელისუფლებამ სამშობლოს ღალატის მუხლით სისხლის სამართლის საქმე აღძრა. რამდენიმე დღის წინ კი გაირკვა, რომ ერთ-ერთ პატიმარს აიძულებდნენ ეთქვა, რომ გურამ შარაძის მკვლელობა თქვენ შეუკვეთეთ ბარათელს და ამაში 500 ათასს იხდიდით. პატიმრის თქმით, ოლეგ მელნიკოვი იყო დაინტერესებული, რომ შარაძის მკვლელობის შემკვეთად თქვენ დასახელებულიყავით. რა შეგიძლიათ თქვათ ამასთან დაკავშირებით?***

— რამდენად ოლეგ მელნიკოვი იყო, ეს საკითხავია. თუმცა მელნიკოვი არის კაციჭამია, კანიბალი, ჩამოყალიბებული მკვლელი. ჩემი აზრით, მისი დადანაშაულება ამაში გონივრული არ იქნება. ეს ყველაფერი მიხეილ სააკაშვილიდან მოდის. ეს არ არის ახალი. უკვე სხვადასხვა საქმეზე გასამართლებულ 11 პატიმარს აქვს გამოძიებისთვის მიცემული ჩვენება დღევანდელი დღისთვის, რომ აიძულებდნენ, გოგა ხაინდრავას წინააღმდეგ მიეცათ ჩვენება. ამ სისხლის სამართლის საქმეებიდან ზოგი ეხებოდა სახელმწიფო გადატრიალებას, ზოგი ჯაშუშობას, ზოგი ფულის გათეთრებას, ზოგი მკვლელობას და ქურდობას. ამიტომ მე, პირადად, ამას ყურადღებას არ ვაქცევ. თუმცა არაერთხელ მითქვამს და ახლაც გავიმეორებ: ერთ-ერთი საბაბი, რის გამოც სააკაშვილი და მისი დამნაშავე რეჟიმის მაღალჩინოსნები გასამართლდებიან, ვიქნები მე. როგორც ყოფილი

გაგრძელება მე-3 გვერდზე

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# გოგა ხაინდრავა: „სააკაშვილმა და მისმა გუნდმა ცილისწამებისთვის პასუხი უნდა აგონ“

დასაწყისი მე-2 გვერდზე

სახელმწიფო მინისტრი ვიქნები, მოწმე ძალიან ბევრი დანაშაულისა, რომელიც ჩაიდინა სახელმწიფოს წინაშე სააკაშვილმა და მისმა რეჟიმმა; ასევე როგორც პირადად ჩემთან მიმართებაში და არა მარტო ჩემთან მიმართებაში. მე ვიქნები მოწმე, რადგან ამ რეჟიმის გამო უამრავი ადამიანი დაიჩაგრა. სააკაშვილმა და მისმა გუნდმა პასუხი უნდა აგოს ამ ცილისწამებისთვის, თანამდებობების ბოროტად გამოყენებისთვის. პასუხი ყველამ უნდა აგოს პრეზიდენტით დაწყებული, ოლეგ მელნიკოვით გაგრძელებული და რიგითი გამომძიებლით დამთავრებული, ვინც ამ უკანონობას და ამ ძალადობას სჩადიოდა. ყველამ პასუხი უნდა აგოს, ვინც მართლმსაჯულებას ხელს უშლიდა და ადამიანებს ჩაგრავდა.

***– რა ბედი ეწია თქვენ წინააღმდეგ აღძრულ სისხლის სამართლის საქმეებს? თუ არ ვცდები, 5 საქმეა აღძრული...***

– ჩემ წინააღმდეგ 7 სისხლის სამართლის საქმეა აღძრული. ეს საქმეები ისევ ისეა, როგორც იყო. ველოდები, რომ ამ საქმეებს ან დახურავენ, ან გამოძიებას გააგრძელებენ. ამ ეტაპზე რა ვითარებაა, ზუსტად არ ვიცი. მე ამ თემაზე მქონდა ლაპარაკი ჩემს თანამებრძოლებთან სისხლის სამართლის ორგანოებში. მე შევახსენებ პროკურატურას, რომ არის მინიმუმ 7 მუხლით აღძრული საქმეები სხვადასხვა დროს. ის საქმეები უნდა გადაიხედოს. მე იქიდან არც პასუხი მომსვლია, არც ბოდიში. არც ის შეუტყობინებიათ, რომ საქმე დაიხურა. მაინტერესებს, ბუნებრივია, რა ბედი ეწია ამ სისხლის სამართლის საქმეს. მინდა იცოდეთ, რომ ამ საქმეების გამოძიებას უბრალოდ არ შევაწყვეტინებ და ბოლომდე მივაყვანინებ იმიტომ, რომ ჩვენ ბოლომდე უნდა მივიდეთ. ვფიქრობ, ბოლომდე უნდა ამოვიღოთ ის ფესვი, რომელიც წინა ხელისუფლების მიერ იყო ჩაბუდებული. წინააღმდეგ შემთხვევაში ყოველწლიურად შეიძლება მას რეციდივები ჰქონდეს. ჩემი ღრმა რწმენით ჩატარდება ნიურნბერგის მსგავსი პროცესი საქართველოში და მე ერთერთი მონაწილე ვიქნები.

***– ხომ არ მიგიმართავთ პირადად არჩილ კბილაშვილის უწყებისთვის და ხომ არ მოგითხოვიათ დაკითხვა?***

– ეს თავისთავად უნდა მოხდეს. საქმეები პროკურატურაშია და ვფიქრობ, რეაგირება აუცილებლად იქნება.

***– სამართლიანობის აღდგენის პროცესში, რომელსაც მთავარი პროკურატურა და იუსტიციის სამინისტრო ახორციელებს კოალიციური მთავრობის პირობებში, საზოგადოება უფრო მეტს ელის და იმის გამო, რომ სააკაშვილის ხელისუფლების მაღალჩინოსნები დღემდე გისოსებს მიღმა არ არიან, ეს საზოგადოებაში უკმაყოფილებას იწვევს. მართლა ასე სუსტია პროკურატურა, როგორც ამას ნაციონალები წარმოაჩენენ?***

– მე ვფიქრობ, რომ ესეც თითიდან გამოწოვილი არგუმენტია. იმიტომ, რომ მე არ მახსოვს თითქმის არც ერთი გახმაურებული დაკავება, რომელზეც პროკურატურას სასამართლო პროცესზე აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა არ მოეთხოვა. სამწუხაროდ, ის დაწესებულება, რომელსაც დღემდე რატომღაც სასამართლოს ეძახიან და რომელიც უსამართლობის ნიმუშია საკაცობრიო მასშტაბით, მე ვგულისხმობ სააკაშვილის რეჟიმის მართლმსაჯულების განხორციელებას, უსამართლობის დამკვიდრებას განაგრძობს. იმ ადამიანების ადგილი, ვისი ადგილიც ნამდვილად საპატიმროებშია, ამ უსამართლო სასამართლოს წყალობით, დღეს საპატიმროებში არ განისაზღვრა. ეს იმას არ ნიშნავს, რომ პროკურატურა სუსტია. პროკურატურის სისუსტე ან სიძლიერე მხოლოდ სასამართლო პროცესებზე გამოჩნდება. სასამართლო პროცესი კი ყველა იმ პირთან მიმართებაში შედგება, რომელიც დღეს გირაოს სანაცვლოდ პატიმრობიდან არის გათავისუფლებული. დარწმუნებული ვარ, ყველა ეს პირი წარდგება სასამართლოს წინაშე და სასჯელს თავს ვერ აარიდებს. ამ ქვეყანაში სამართალი აუცილებლად აღდგება და ვერც ერთი დამნაშავე ნაციონალური მოძრაობის წევრი, მით უმეტეს, მაღალჩინოსანი, პასუხისმგებლობას თავს ვერ დააღწევს. ეს ნამდვილად არ არის დამოკიდებული ახლანდელ ხელისუფლებაზე. ეს არის საერთო-სახალხო მოთხოვნა და ამ მოთხოვნის შეუსრულებლობის შემთხვევაში სირთულეები უკვე ახალ ხელისუფლებას გაუჩნდება. დარწმუნებული ვარ, სამართალი აღდგება ამ ხელისუფლების პირობებში. უბრალოდ, ჩვენ, ქართველები, ცოტა სულსწრაფები ვართ და ყველაფერი დღესვე გვინდა. უფრო სწორად, გუშინ გვინდა ყველაფერი და არა ხვალ. მაგრამ ყველაფერს თავის დრო აქვს. ძიება მიმდინარეობს არაერთი საქმის და ყველაფერი გამოიკვეთება. ჩვენ დავეჩვიეთ, რომ დილით ადამიანს დაიჭერდნენ, საღამოს განაჩენს აცხადებდნენ და მეორე დილით ციხეში გადაჰყავდათ. მაგრამ ის სააკაშვილ-მერაბიშვილის რეჟიმი იყო და ამიტომაც დაამთავრა ასე, როგორც დაამთავრა. ყველაფერს დასაბუთება სჭირდება, დასაბუთებას კი – დრო. იმისათვის, რომ ქართველი ხალხი და საერთაშორისო საზოგადოება დარწმუნებული იყოს იმაში, რომ სამართალი აღდგა და თანაც სამართლიანი, საჭიროა ამ სამართლიანობის ძალიან მიზანმიმართული განხორციელება, რასაც ჩემი აზრით, ახლა მთავარი პროკურატურა ახორციელებს.

***– დაბოლოს, ბატონო გოგა, ვისი პასუხისმგებლობა იკვეთება ეროვნული ბიბლიოთეკასთან 8 თებერვალს განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით? უმცირესობა ამტკიცებს, რომ ამის უკან ივანიშვილის ხელისუფლება დგას.***

– ეს არის მტკნარი სიცრუე. მე ვიყავი ეროვნულ ბიბლიოთეკასთან და იქ იდგა სააკაშვილის, მერაბიშვილისა და ადეიშვილისგან გამწარებული ხალხი. მათ ყველაფერი დაკარგეს, ზოგმა ოჯახის წევრი. ახლა ცდილობენ, რომ ეს გამწარებული ადამიანები, დაადანაშაულონ იმ პროვოკაციაში, რომელიც უგულავასგან და სხვა ნაციონალების მიერ იყო ინსპირირებული. სააკაშვილი და მისი გუნდის წევრები ყველაფერს ეცდებიან პოლიტიკური ნიშნით დაპატიმრებულები საზოგადოების თვალში კრიმინალებად წარმოაჩინონ.

# ზაზა დავითაია: „ხალხმა ჩიორას პოლიტიკას გააწნა სილა“

## როდის გახდება პოლიტპატიმრების საქმეები საჯარო

თამარ ნინიძე

ყოფილი პოლიტპატიმარი, გაზეთ „ასავალ-დასავალის“ ჟურნალისტი და უფლებადამცველი ზაზა დავითაია ივანიშვილის ხელისუფლებას აფრთხილებს, რომ იმოქმედოს კანონის ფარგლებში და ვინც ნამდვილად კრიმინალი და დამნაშავეა, მას პასუხისმგებლობა თავიდან არ აარიდოს. „ახალი თაობა“ რვა თებერვალს ეროვნულ ბიბლიოთეკასთან განვითარებულ მოვლენებზე მის მონაწილეს ზაზა დავითაიას ესაუბრა.

***– როგორ ჰქონდათ დაგეგმილი ყოფილ პოლიტპატიმრებს ამ აქციის გამართვა და დასრულება ეროვნულ ბიბლიოთეკასთან?***

– ძალიან მარტივად იყო დაგეგმილი, სააკაშვილი არის უკვე ჩვეულებრივი მოქალაქე, ამიტომ მას უფლება არ ჰქონდა პრეზიდენტის რანგში პარლამენტში მოხსენება გაეკეთებინა. მან ჯერ კიდევ 2008 წელს მიიტაცა ძალაუფლება, როცა გააყალბა არჩევნები და ქართველი ერის ნება. აპელირებს დემოკრატიულ ნორმებზე. მას საერთაშორისო წრეებშიც ჰყავს მხარდამჭერები, ამიტომ გვინდოდა პარლამენტის წინ საპროტესტო აქციის გამართვა. ჩვენ, ყოფილმა პოლიტპატიმრებმა, გადავწყვიტეთ მკაფიოდ დაგვეფიქსირებინა ის, რომ მას არანაირი უფლება არა აქვს, გამოვიდეს პარლამენტში სიტყვით. ყველაზე მეტად ჩვენ ვართ რეპრესირებული და შევიწროვებულები სააკაშვილის ტირანული რეჟიმის მიერ. როგორც კი სააკაშვილმა, ამ კურდღელმა შეიტყო, რომ პარლამენტის წინ მას დახვდებოდნენ მისგან გამწარებული ადამიანები, მაშინვე შეცვალა თავისი გეგმა და ეროვნულ ბიბლიოთეკაში გადაწყვიტა გამოსვლა. ეროვნულ ბიბლიოთეკაში ადამიანს აქვს გამოსვლის უფლება, პოლიტპატიმრების სტრატეგია შეიცვალა. ჩვენ უარი ვთქვით არშეშვების პოლიტიკაზე, პიკეტი გავაკეთეთ ცენტრალურ შესასვლელთან, მაგრამ ვუშვებდით დიპლომატებს. ამავე დროს შევადგინეთ ათკაციანი სია პოლიტპატიმრებისა, რომლებიც უნდა შესულიყვნენ დარბაზში. თუ დემოკრატიაა და თუ თეა თუთბერიძეს უფლება აქვს მოისმინოს მისი პრეზიდენტის გამოსვლა, ჩვენც გვაქვს უფლება მოვისმინოთ მოქალაქე სააკაშვილის გამოსვლა და მწვავე კითხვების დასმა, რაზეც პასუხი სააკაშვილს არა აქვს, რადგან რომ უპასუხოს, ეს ნიშნავს იმას, რომ მან არამცთუ დემოკრატიის, არამედ კანონის ნორმებიც დაარღვია და არის ჩვეულებრივი დამნაშავე, რომლის ადგილი ციხეშია.

***– მინდა დავაზუსტო, თქვენ ბრძანეთ, მან გადაიფიქრა პარლამენტში გამოსვლაო, მაგრამ როგორც აღმოჩნდა, ეს გამოსვლა მასზე არ ყოფილა დამოკიდებული, მას უარი უთხრეს პარლამენტში გამოსვლაზე.***

– ალბათ, საპარლამენტო უმრავლესობამ კარგად გათვალა, რომ ეს მისი გამოსვლა მიზანშეუწონელი იყო, თუ კანონი კანონობს, მაშინ ჩვეულებრივ მოქალაქეს უფლება არ უნდა ჰქონდეს გამოვიდეს პარლამენტში სიტყვით, თან პრეზიდენტის რანგში. მე ვფიქრობ, პარლამენტარებმა სწორი გადაწყვეტილება მიიღეს, არიან ცალკეული გამომსვლელები, რომლებიც სააკაშვილს კვლავ პრეზიდენტს უწოდებენ. ვურჩევ მათ, რომ კონსტიტუცია ყურადღებით წაიკითხონ. ერთი ზედმეტი საათითაც კი არავის აქვს უფლება, მიიტაცოს პრეზიდენტობა. პოლიციას ჩვენ ვემორჩილებოდით ბიბლიოთეკასთან, წინააღმდეგობა არ გაგვიწევია მისთვის, როცა ორი დერეფანი გააკეთა. ნაციონალებს არანაირი პრობლემა არ ჰქონდათ გვერდითი შესასვლელებიდან შესულიყვნენ შენობაში. ამ დროს მათი მთავარი ამოცანა გამოჩნდა, რომ იყო ცენტრალური შესასვლელიდან შეღწევა.

***– გამწარებული ადამიანების დიდი რაოდენობა იყო, რომელიც ნაცებისგან იყო გამწარებული, ამ დროს კი ნაცები შევიდნენ ამ ადამიანების მასაში. თქვენი აზრით, არის ეს ამ ადამიანების პროვოცირება?***

– აუცილებლად, ეს არა მხოლოდ პროვოცირებაა, სანამ ნაციონალების ლიდერები მოვიდოდნენ, მანამდე თხუთმეტკაციანი ზონდერბრიგადები დაძრწოდნენ ჩვენს რიგებში და ცდილობდნენ ჩვენს წყობიდან გამოყვანას. ამის შემდეგ სააკაშვილს ექნებოდა სათქმელი, რომ აი, კრიმინალები და ბანდიტები აწყობდნენ დებოშს და დაერივნენ დეპუტატებს ოპოზიციიდანო. სინამდვილეში ეს ჯგუფები სააკაშვილისგან იყვნენ შემოგზავნილები და არ არის გამორიცხული, რომ დაცვის წევრებიც იყვნენ. ორგანიზებულად მოვახერხეთ ამ მცირე ზონდერჯგუფების განეიტრალება ყოველგვარი ფიზიკური შეხლა-შემოხლის გარეშე. ჩვენი პიკეტის გარეთ მივაბრძანეთ. როცა ჩვენ უარი გვითხრეს სააკაშვილთან დარბაზში შესვლაზე, ამას მოჰყვა პირველი ჩვენი უკმაყოფილება. აშკარა იყო, რომ სააკაშვილს სურდა მისთვის ადაპტირებულ გარემოში განსხვავებული აზრის გარეშე ამ გამოსვლის გამართვა. პროვოკაციის მეტს ვერაფერს ვუწოდებ იმ ქცევებს, რომელიც ჰქონდათ ნაცებს, ქალაქის მერსა და მის გარემოცვას. ეს ის ხალხია, ვინც წესით უნდა ინაწილებდეს თავის წილ პასუხისმგებლობას ცხრა წლის მანძილზე ჩადენილი დანაშაულისთვის. ჩვენ იქ ვიყავით რეპრესირებული საზოგადოების ყველაზე რეპრესირებული და ნატანჯი ადამიანები. ჩვენ დავინახეთ, როგორ იქნევდა ხელ-ფეხს კობა ხაბაზი, გიორგი კანდელაკი, დავით დარჩიაშვილი, სერგო რატიანი, გუნავა და სხვები. თუ მელორ ვაჩნაძეს, მიშა მესხს და გელა მამალაძეს მოეთხოვებათ პასუხი, მაშინ ამ ჩამოთვლილ ნაცებსაც უნდა მოსთხოვონ პასუხი.



***– არათუ ბოდიშს არ გიხდიან, არამედ პირიქით, სააკაშვილმა მრავალგზის გიწოდათ ბანდიტები, მკვლელობისთვის მსჯავრდებულები და ჯაშუშები. ამაზე რას იტყვით?***

– ეს არის უმაღლესი დონის ცილისწამება, თუნდაც უმძიმეს დანაშაულში ვყოფილიყავით მსჯავრდებულები, მაინც, როცა ვტოვებთ ციხის კედლებს, ეს ნიშნავს, რომ ჩვენ მოვიხადეთ სასჯელი, ჩვენი კვლავ კრიმინალად მოხსენიება, მათი მხრიდან კანონის დარღვევაა. მე ვსვამ კითხვას, რომელი ჩვენგანია ჯაშუში, კრიმინალი, მკვლელი და სახელმწიფო გადამტრიალებელი? საზოგადოებამ დაინახა, როგორ ითითხნებოდა ეს საქმეები.

***– იმედია, ეს საქმეები საჯარო გახდება და საზოგადოება კიდევ უფრო აშკარად დაინახავს, ვინ არის დამნაშავე და ვინ არა. საზოგადოება ელოდება ამის საჯაროდ გამოტანას და განხილვას.***

– ესენი რომ პატიოსნები იყვნენ, თვითონ უნდა ითხოვდნენ ამ საქმეების სააშკარაოზე გამოტანას, რათა კარგად იყოს დანახული და გარკვეული, რომ ისინი უსამართლოდ არ ედავებოდნენ ამ ადამიანებს, მაგრამ პირიქით, ნაცებს ამის გამოაშკარავება არ სურთ. ვის უმალავენ, ვინც მათ ხმა მისცა? ჩვენი სიმართლე ის არის, რომ ჩვენვე ვითხოვთ ამ შავი ლაქების გამოტანას საჯაროდ და იმის ერთხელ და სამუდამოდ გარკვევას, ვართ თუ არა დამნაშავეები. როცა ნაცები სააკაშვილის მეთაურობით ჩვენ გვიწოდებენ ბანდიტებს და მკვლელებს, თვითონ არიან მკვლელები და ბანდიტები, ამას დიდი ძახილის ნიშნით ვამბობ. როცა მათ იბარებენ სამართალდამცავები დაკითხვაზე, ისინი არ მიდიან, სად არის მათი კანონმორჩილება, კანონს უგულებელყოფენ. გამომძიებელი იქით უნდა ეახლოს უგულავას და მის მოედანზე დასვას კითხვები და მერე უგულავას გარემოცვისგან უნდა იყოს მის მიმართ მუქარა? ეს თვითონ არის ბანდა და მოქმედებს, როგორც ბანდიტური ჯგუფი, რომლის განეიტრალება და იზოლირებაა საჭირო, სხვა შემთხვევაში, ამათ ხელში საქართველო დიდ უფსკრულში გადაიჩეხება.

***– ავლაბრის რეზიდენციაში სააკაშვილმა საზოგადოებას გაურკვეველი ბოდიში მოუხადა. რას ნიშნავდა ეს ბოდიში, თქვენ როგორი შთაბეჭდილება დაგიტოვათ ამან?***

– ბოდიში ცუდი არ არის, ჩემთვის მისაღები იქნება თუ ის გულწრფელად მოიხდის ბოდიშს, მაგრამ სინამდვილეში ის ბოდიშს არ იხდის.

***– მას ბოდიში უნდა მოეხადა პოლიტპატიმრების წინაშე, იმ მოქალაქეების წინაშე, ვისაც ბიზნესები და კერძო საკუთრება წაართვეს ნაციონალების დროს, ვისაც დარბევების დროს ფიზიკური ზიანი მიაყენეს, ციხეში წამების გამო. ამ დროს სააკაშვილის და მისი კამპანიის მხრიდან თქვენ არა ხართ პოლიტპატიმრები, ხართ ბანდა, რომელსაც ახალი ხელისუფლება იყენებს ნაცებზე ზეწოლისთვის.***

– დიახ, ამაზე გაგცემთ პასუხს. პირადად ჩემგან გამოვხატავ ჩემს პოზიციას, არავის გამოვაყენებინებ თავს, მათ შორის, არც ახალ ხელისუფლებას. კრიტიკული პოზიცია გამაჩნია ახალი ხელისუფლების მიმართაც, ახალი ხელისუფლება კი არ გვაქეზებს, არამედ ჩვენ, სამოქალაქო სექტორი, ვაქეზებთ ახალ ხელისუფლებას, რომ დადგეს თავის სიმაღლეზე, დამნაშავეს დაარქვას დამნაშავე, რეპრესირებულს დაარქვას რეპრესირებული და იმოქმედოს კანონის ფარგლებში. იბარებენ მელორ ვაჩნაძეს პოლიციაში დასაკითხად, იქვე დაიბარონ უგულავა და დარჩიაშვილი, რას ნიშნავს ეს დიფერენცირება კანონის წინაშე? რას ნიშნავს კოჰაბიტაცია? თუ ეს ნიშნავს იმას, რომ შევეგუოთ თანაცხოვრებას დამნაშავეებთან, რატომ უნდა ეაპატიოთ ამათ, რომ ჩვენ ბანდიტებად და მკვლელებად მოგვიხსენიებენ? გადახედონ ჩვენს საქმეებს სათითაოდ.

***– მართლაც საზოგადოება სვამს სამართლიან კითხვას, თუ ნაცებთან კოჰაბიტაცია სურს ახალ ხელისუფლებას, რაღაზე იბარებენ დასაკითხად?***

– დიახ, მეც მაინტერესებს პასუხი ამ კითხვაზე, ქართველმა ხალხმა ქართულ ოცნებას მისცა ნდობის მანდატი, კრიტიკული ვარ ახალი ხელისუფლების მიმართ. კეთილი ინებოს და ნდობის მანდატი ამომწურავად გამოიყენოს. ქართველი ხალხისთვის სიმართლის, თავისუფლების, ქონების წამრთმევებს მისცენ შესაბამისი კვალიფიკაცია და ჩააყენონ ისინი იმ მდგომარეობაში, რასაც ითვალისწინებს კანონი. თუ ამას კოალიცია არ გააკეთებს, ქართველი ხალხი ისევე დააყენებს ახალ ხელისუფლებას იმ პოზიციაში, რასაც ის დაიმსახურებს.

***– რვა თებერვლის მოვლენებში, როგორ ფიქრობთ, მაინც ვინ არის მთავარი პროვოკატორი?***

– მთავარი მიზეზი იქ განვითარებული მოვლენებისა გახლავთ ის, რომ სააკაშვილი ებღაუჭება პრეზიდენტის ძალაუფლებას, მას არანაირი ლეგიტიმური უფლება არა აქვს, იკავებდეს ამ პოსტს. ეს არის მთავარი მაპროვოცირებელი მიზეზი, ხალხი ხმას იმაღლებს იმის გამო, რომ სააკაშვილი აღარ არის პრეზიდენტი და იბრალებს პრეზიდენტობას.

***– როგორ აფასებთ პოლიციის ქმედებას ეროვნულ ბიბლიოთეკასთან?***

– მე ვიზიარებ მოსაზრებას, რომ პოლიცია პასიურ მდგომარეობაში იმყოფებოდა. პოლიცია არ უნდა იყოს მხოლოდ გამშველებელი. მას ევალება კანონის დაცვა. იქ შეკრებილი საზოგადოება იყო კანონის ფარგლებში. ყველას აქვს უფლება, კონსტიტუციის ფარგლებში გამართოს აქცია. ჩვენ ვართ ამომრჩეველი და ხელისუფლებას უნდა ვუბიძგოთ რაღაც ქმედებისკენ. პოლიციამ მაპროვოცირებელი ძალა უნდა გაარიდოს ამ მოვლენებს. სამწუხაროდ, ეს პოლიციამ ვერ გააკეთა. თუმცა მინდა შევაქო კიდეც პოლიციელები, სააკაშვილის ბანდა, ეტყობა, ელოდა, რომ პოლიცია ისევ მოქალაქეების ცემას დაიწყებდა, და ნაცებს დაიცავდა. სააკაშვილს ისღა დარჩა, რომ იქ შეკრებილი საზოგადოება კრიმინალებად მოეხსენებინა. იქ იყვნენ პროვოკატორი გუნავა, უგულავა, ჩიორა თაქთაქიშვილი, ნასარიძეები.

***– ჩიორას ცხვირი იქ მთავრდება, სადაც იწყება ადამიანის თავისუფლებაო, რაღაც მსგავსი ფრაზა თქვა სააკაშვილმა, ნაცებს კარგად ახსოვთ მათი თანაგუნდელის ცხვირი, მაგრამ აღარ ახსოვთ, რომ მათმა სპეცრაზმელმა თვალი ამოუგდო რეზინის ტყვიით ბესო ტაბატაძეს. რატომ ხდება ასე?***

– ეს ბანდა, რომელიც ქართული ტრადიციების შეცვლას ცდილობს, დღე და ღამე გენდერულ თანასწორობაზეც საუბრობს. იქ კონკრეტულმა ადამიანმა კი არ გააწნა ალიყური ჩიორას, არამედ საზოგადოებამ გააწნა ალიყური ჩიორას პოლიტიკას. მე, როგორც ქართველი მამაკაცი, ვგმობ სიტუაციას, როცა ქალი ხდება დაზარალებული, მაგრამ ამ შემთხვევაში ჩიორა იყო პროვოკატორი. რელსებზე მიგაბრტყელებს მატარებელი თუ წინ გადაუდგები, ქალი ხარ თუ კაცი, ამის მიუხედავად. კეთილი ინებოს, იმ მატარებელს წინ ნუ გადაეღობება, რომელსაც ქართველი საზოგადოება ჰქვია.

# ფულე: „ევროკავშირს უნდა, პარტნიორებმა ისეთი მოლაპარაკება აწარმოონ, როგორიც მეზობლებს შეეფერებათ“

ნათია ხურცილავა

**საქართველოში „აღმოსავლეთ პარტნიორობის" არაფორმალური შეხვედრა გაიმართა. აღნიშნულ ღონისძიებაში მონაწილეობის მისაღებად საქართველოში „აღმოსავლეთ პარტნიორობის" მონაწილე ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრები და ევროკავშირის უმაღლესი რანგის წარმომადგენლები იმყოფებიან.**



— საქართველო არის შემართულობისა და თანმიმდევრულობის მაგალითი და დარწმუნებული ვარ, იმ გამოწვევების მიუხედავად, რომელიც კოჰაბიტაციას თან სდევს, საქართველო რეფორმების გზას გააგრძელებს. — ასეთი განცხადება ევროკომისარმა გაფართოებისა და ევროპის სამეზობლო საკითხებში შტეფან ფულემ ქორთიარდ მარიოტში ერთობლივ პრესკონფერენციაზე გააკეთა.

ევროკავშირის უმაღლესი დიპლომატის განცხადებით, „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ დიალოგის არაფორმალური შეხვედრა მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებთან თანამშრომლობისთვის.

შტეფან ფულემ საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრს მინისტერიალის მასპინძლობისთვის მადლობა გადაუხადა და აღნიშნა, რომ ამ შეხვედრას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ვილნიუსში დაგეგმილი სამიტის ფონზე.

— ვილნიუსის სამიტი, ჩვენი ვარაუდით, რეალურ შედეგებს დადებს და მოვახერხებთ მოვაწეროთ ხელი ასოცირების ხელშეკრულებას საქართველოსთან, მოლდოვასა და სომხეთთან. არსებობს პროგრესი აზერბაიჯანთან მოლაპარაკებების პროცესშიც. ამავდროულად, ქვეყნების ერთ ჯგუფთან განიხილება ვიზების გამარტივების და მეორე ჯგუფთან ლიბერალიზაციის პროცესი. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენი საბოლოო მიზანი სწორედ ვიზების ლიბერალიზაციაა, — აღნიშნა ერთობლივ პრესკონფერენციაზე შტეფან ფულემ.

ფულეს განცხადებით, ძალიან მნიშვნელოვანია თანამონაწილეობის მომენტიც, რაც გულისხმობს მსგავსი ღონისძიებების 6 თვეში ერთხელ ორგანიზებას.

— ევროკავშირი აღმოსავლეთ პარტნიორობის ერთგულია და პრინციპით — „მეტი მეტისთვის“ ვცდილობთ დავეხმაროთ, ვცდილობთ დავაკმაყოფილოთ ჩვენი მეგობრების მისწრაფებაში, იყვნენ უფრო ახლოს ევროკავშირთან. — აღნიშნა შტეფან ფულემ.

ქართველ ჟურნალისტებს ევროკავშირის წარმომადგენლისგან აინტერესებდათ კითხვაზე პასუხი: ყოფილი ხელისუფლების ინიციატივა კონსტიტუციაში იყოს ასახული ქვეყნის საგარეო კურსი, რამდენად მისაღებია ევროკავშირისთვის?

ევროპულ სამეზობლო საკითხებში ევროკომისარის შტეფან ფულეს აზრით, საქართველოს კონსტიტუციაში საგარეო კურსის გაწერა პოლიტიკოსების მიერ საზოგადოებასთან ერთად გადასაწყვეტი საკითხია.

როგორც ფულემ სასტუმრო „ქორთიად მარიოტში“ გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ მას არ შეუძლია რჩევის მიცემა, კონსტიტუციაში ესა თუ ის მუხლი უნდა იყოს თუ არა.

— ეს არის პოლიტიკოსების და საზოგადოების მისაღები გადაწყვეტილება. უფრო მნიშვნელოვანია, ამ პოლიტიკის განხორციელება. ვიცი ქვეყნები, რომლებსაც კონსტიტუციაში გაწერილი აქვთ რაღაც, მაგრამ მათი მოქმედება ამ კონსტიტუციურ საკითხებს არ შეესაბამება. — განაცხადა ფულემ.

ფულეს განცხადებით — ევროკავშირს ძალიან უნდა, მისმა პარტნიორებმა აწარმოონ ისეთი მოლაპარაკება, როგორიც მეზობლებს შეეფერება. ეს განცხადება პრესკონფერენციაზე ევროკომისარმა გაფართოებისა და ევროპის სამეზობლო პოლიტიკის საკითხებში შტეფან ფულემ ჟურნალისტის კითხვის საპასუხოდ გააკეთა, რომელიც რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების პერსპექტივას ეხებოდა.

— ძალიან გვინდა ჩვენმა პარტნიორებმა აწარმოონ ისეთი მოლაპარაკება, როგორიც მეზობლებს შეეფერებათ, გაითვალისწინონ სპეციფიკურობა, რომელიც შექმნილი სიტუაციიდან გამომდინარეობს, ასევე რუსეთის როლი არაღიარებულ რესპუბლიკებთან დაკავშირებით იმისთვის, რომ ეს გახდეს მთელი საქართველოს საგარეო კურსის სრული სურათი და ეს სასარგებლო იყოს, რა თქმა უნდა, საქართველოში მცხოვრები ადამიანებისთვის. — აღნიშნა ფულემ.

ევროკომისრის განცხადებით ურთიერთობების ნორმალიზება იქნება სასარგებლო როგორც საქართველოსთვის, ასევე საქართველოში მცხოვრები ადამიანებისთვის.

ევროპულ სამეზობლო საკითხებში ევროკომისრის შტეფან ფულეს განცხადებით, საქართველო თანმიმდევრულობის და ევროკავშირთან შეთანხმებული რეფორმების განხორციელების მაგალითია.

— მე ხუთ მოკლე განცხადებას გავაკეთებ. პირველ რიგში, მადლობა საქართველოს პარტნიორული დიალოგის მინისტერიალის მასპინძლობისთვის. შემთხვევითი არ არის, რომ დღეს საქართველოში ვიმყოფებით, საქართველო არის მაგალითი თანმიმდევრულობის და შეთანხმებული რეფორმების განხორციელების და ვიმედოვნებთ, რომ ეს გაგრძელდება მიუხედავად იმ გამოწვევებისა, რასაც კოჰაბიტაცია ქმნის. მეორე დღეს დავიწყეთ პროცესი, რასაც ჰქვია მოლიდინების ჩამოყალიბება, აღმოსავლეთ პარტნიორობის ვილნიუსის სამიტამდე, მესამე დ ჩვენ ვისაუბრეთ არა მხოლოდ პროცესზე, არამედ შინაარსობრივ მხარეზე და იმედი გვაქვს, მოლოდოვასთან, სომხეთსა და საქართველოსთან ასოციაციის ხელშეკრულებაზე შეთანხმების. მეოთხე დ ეს არის თანამონაწილეობის მომენტი, რომ მოხდეს რეგულარულად შეხვედრები 6 თვის განმავლობაში და მეხუთე — ევროკავშირი ერთგულია აღმოსავლეთ პარტნიორობის პროგრამისა და გაფართოების პრინციპით „მეტი მეტისთვის“, რომ დავაკმაყოფილოთ ჩვენი პარტნიორი ქვეყნების ევროპული მისწრაფებები. — განაცხადა ფულემ.

„აღმოსავლეთ პარტნიორობას“ მასპინძლობას საგარეო საქმეთა სამინისტრო უწევდა.

საგარეო უწყების ხელმძღვანელის მაია ფანჯიკიძის განცხადებით ევროინტეგრაციის გზაზე ასეთი დიალოგები მნიშვნელოვანია.

— აღმოსავლეთ პარტნიორობის დიალოგის არაფორმალური შეხვედრა მნიშვნელოვანი მოვლენაა საქართველოს ევროინტეგრაციის გზაზე. — განაცხადა მაია ფანჯიკიძემ ერთობლივ პრესკონფერენციაზე.

როგორც მაია ფანჯიკიძემ აღნიშნა, ის მინისტერიალი განსაკუთრებულია როგორც საქართველოსთვის, ისე ევროკავშირისთვის და ამაზე მოწმობს ის მაღალი დონის დელეგაციები, რომლებიც საქართველოს ესტუმრნენ.

— ეს ძალიან მნიშვნელოვანი მოვლენაა საქართველოს ევროინტეგრაციის გზაზე. დღევანდელ შეხვედრაზე ვიმსჯელეთ ძალიან მნიშვნელოვან და საინტერესო საკითხებზე. წარიმართა საკმაოდ საინტერესო დიალოგი. — აღნიშნა მაია ფანჯიკიძემ.

გუშინ ჟურნალისტებისთვის ცნობილი გახდა, რომ ევროკავშირი საქართველოს 20 მილიონ ევროს დახმარებას გამოუყოფს.

ევროკავშირის მხარდაჭერის ფარგლებში, საქართველოსთვის 20 მილიონი ევროს დახმარების საფინანსო შეთანხმებას გუშინ ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრმა ალექსი პეტრიაშვილმა და ევროპული სამეზობლო პოლიტიკის საკითხებში ევროკომისარმა შტეფან ფულემ მოაწერეს ხელი.

როგორც ალექსი პეტრიაშვილმა ჟურნალისტებს განუცხადა, ეს დახმარება ეროვნული ინდიკატორი პროგრამის 2012 წლის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული „საქართველოში ინსტიტუციონალური განვითარების ინსტრუმენტების განხორციელება“ ფარგლებში ხორციელდება.

საფინანსო შეთანხმებით განსაზღვრული 20 მილიონ ევრო საქართველოს სახელმწიფო უწყებებში დაგეგმილი ინსტიტუციონალური განვითარების პროექტების დაფინანსებასა და ყოვლისმომცველი ინსტიტუციონალური განვითარების პროგრამის განხორციელებას მოხმარდება.

საფინანსო შეთანხმება იმ სახელმწიფო უწყებების შესაძლებლობების გაძლიერებას ითვალისწინებს, რომლებიც უშუალოდ არიან ჩართული ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმებაზე დიალოგში.

## „დემოკრატიული მოძრაობის“ რეგიონული ორგანიზაციების წარმომადგენლებისთვის სემინარი იმართება

პოლიტიკური პარტია „დემოკრატიული მოძრაობა ერთიანი საქართველოს“ რეგიონალური ორგანიზაციების წარმომადგენლებისთვის, სიღნაღში ორდღიანი ტრეინინგ-სემინარი იმართება.

პარტიის პრესსამსახურის ინფორმაციით, სემინარის პირველი დღე გაცნობით ხასიათს ატარებდა, რომლის ფარგლებშიც აი-რა-ის წარმომადგენლები კახეთის რეგიონალური ორგანიზაციის ლიდერებსა და კოორდინატორებს შეხვდნენ.

პრესსამსახურის ინფორმაციითვე, შეხვედრაზე, საზოგადოებრივ-პოლიტიკურ პროცესებში, პარტიის აქტიურად მონაწილეობის გაძლიერების კუთხით სპეციალური ქმდებები დაისახა. განხილულ საკითხებს შორის იყო პარტიული სტუქტურების მშენებლობა და საარჩევნო პროცესებისთვის მზადება.

სემინარი ხვალ სიღნაღში, სასტუმრო „ფიროსმანში“ გაგრძელდება და მას „დემოკრატიული მოძრაობა ერთიანი საქართველოს“ მთავარი საბჭოს წევრები, თბილისის სათაო ოფისის თანამშრომლები და თბილისის ორგანიზაციის წარმომადგენლები დაესწრებიან.

ნიუსპრესი

## მიხეილ სააკაშვილი: „მთავრობა საქართველოში შეიცვალა, მაგრამ 9-10 თვე ჯერ კიდევ მე ვარ პრეზიდენტი“

პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი გუშინ კახეთს ესტუმრა და გურჯაანის რაიონის სოფელ ნანიანში მოსახლეობას შეხვდა. ქვეყნის პირველი პირი მათ სოფელში არსებულ პრობლემებზე ესაუბრა და მათგან ახალი ინიციატივები მოისმინა.

„მე ახლა მთელ საქართველოში დავდივარ არა იმიტომ, რომ რაღაც მიტინგები ჩაგიტაროთ და რაღაც მოგიწოდოთ. პირიქით, მინდა თქვენგან ავიღო სიბრძნე, თქვენს პრეტენზიებს და პრობლემებს მოვუსმინო. ჩვენმა მთავრობამ ბევრი წელი ვიმუშავეთ... მთავრობა საქართველოში შეიცვალა, მაგრამ ჯერ კიდევ მე ვარ პრეზიდენტი 9-10 თვე. ეს ნიშნავს იმას, რომ ყოველი დღე უნდა გამოვიყენო იმისათვის, რომ ვიყო არა სასახლეში, არამედ თქვენთან ერთად და თქვენი პრობლემები მივიტანო ახალ მთავრობამდე“, — მიმართა პრეზიდენტმა მოსახლეობას..

მედიანიუსი

## საქართველოში 300 ტონამდე კიბოთი დაავადებული კარტოფილია შემოტანილი

შემოსავლების სამსახური სასაზღვრო გამშვები პუნქტების გავლით, ქართულ ბაზარზე დაავადებულ პროდუქტს არ დაუშვებს. ამის შესახებ სამსახურის მიერ გავრცელებულ განცხადებაში არის ნათქვამი.

მიმდინარე წლის 6-11 თებერვლის ჩათვლით, საბაჟო გამშვები პუნქტების: „სარფისა“ და „ვალეს“ გავლით, საქართველოში სხვადასხვა იმპორტიორმა 300 ტონამდე კარტოფილი შემოიტანა. შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტის ფიტოსანიტარებმა ფიტოსანიტარული სასაზღვრო კონტროლის პროცედურების განხორციელებისას, საეჭვო ობიექტის იდენტიფიკაციისა და დადასტურების მიზნით, სატრანსპორტო საშუალებებიდან აღებული კარტოფილის ნიმუშები სპეციალურ ლაბორატორიაში გადაგზავნეს.

„ლაბორატორიული კვლევების მიხედვით, 300 ტონამდე კარტოფილი საკარანტინო მავნებლით — კარტოფილის კიბოთი, ასევე საკარანტინო მიკროორგანიზმით — ღალსტონია სოლანაცეარუმ-ით (მურა სიდამპლე) არის დაავადებული. აღნიშნული დაავადება საკარანტინოა. საქართველოს მთავრობის №429 დადგენილების თანახმად, ასეთი საქონელი ექვემდებარება განადგურებას ან უკან (ექსპორტიორ ქვეყანაში) გაბრუნებას“, -— ნათქვამია განცხადებაში.

შემოსავლების სამსახური სათანადო ინფორმაციას მუდმივად და ოპერატიულად აწვდის საქართველოს სურსათის ეროვნულ სააგენტოს, რომელიც ვალდებულია თავის მხრივ ნოტიფიკაცია თურქეთის მხარეს გადაუგზავნოს. იგი გამოთქვამს მზადყოფნას, აქტიურად ითანამშრომლოს თურქეთის შესაბამის უწყებებთან საქონლის თანმდევი დოკუმენტების ნამდვილობის დადგენესთან დაკავშირებულ საკითხებში.

2012 წლის განმავლობაში საქართველოში თურქეთიდან 23 000 ტონაზე მეტი კარტოფილი შემოვიდა. აქედან ფიტოსანიტარული კონტროლის განხორციელებისას დადებითი შედეგი არცერთმა აღებულმა ნიმუშმა არ აჩვენა. შემოსავლების სამსახურმა აამოქმედა ყველა საჭირო მექანიზმი იმისათვის, რომ და დაავადებული კვების პროდუქტი საბაჟოს გავლით ვერ მოხვდეს საქართველოში.

ევროკავშირის რეკომენდაციების გათვალისწინებით დამტკიცებული რისკების პროგრამით, მონიტორინგს ექვემდებარება მაღალი რისკის მქონე მცენარეული და ცხოველური წარმოშობის სასურსათო პროდუქტი. კვლევები ხორციელდება სპეციალურ ლაბორატორიებში. შესაბამისად, საზოგადოებრივი და ცხოველთა ჯანმრთელობისათვის მავნე პროდუქცია და მცენარეთა დაავადების გამომწვევი მავნებლები საბაჟოს გავლით საქართველოში ვერ მოხვდება“, -— აცხადებენ შემოსავლების სამსახურში.

მედიანიუსი

## ზვიად ძიძიგური: „სააკაშვილი არასტაბილური პოლიტიკური პარტნიორია“

ნათია ხურცილავა

საქართველოში ვენეციის კომისიის პრეზიდენტის ჯანი ბუკიკიოს ვიზიტის შემდეგ უცხოელ კონსტიტუციონალისტთა ჯგუფი აგრძელებს მუშაობას. უცხოელი კონსტიტუციონალიტები საქართველოს პარლამენტის წევრებთან მართავენ შეხვედრებს და მათ პოზიციებს ისმენენ კონსტიტუციაში შესატან ცვლილებებთან დაკავშირებით.

საპარლამენტო უმრავლესობის წევრის ზვიად ძიძიგურის განცხადებით, დღევანდელი კონსტიტუციით პრეზიდენტს შეუძლია, კონსტიტუციური რყევები გამოწვიოს.

ასეთი განცხადება ზვიად ძიძიგურმა საპარლამენტო უმრავლესობისა და უცხოელი კონსტიტუციონალისტების შეხვედრის დაწყებამდე გააკეთა.

ზვიად ძიძიგურის განცხადებით კონსტიტუციური ცვილებები, რომელიც ოქტომბერში შედის ძალაში პრემიერ-მინისტრს ანიჭებს დიდ ძალაუფლებას და ის უკვე საპრემიერო მოდელი იქნება და არა საპარლამენტო.

— ყველაზე მნიშვნელოვანი ახლა არის, რომ პარლამენტის უფლებამოსილების საკითხი გამოსწორდეს. ჩვენ არ ვიცით რა გადაწყვეტილებას მიიღებს ქვეყნის პირველი პირი. მას შეუძლია კონსტიტუციური რყევები გამოიწვიოს. ხელისუფლება პასუხისმგებლიანია და ვერ დავუშვებთ, რომ ეს შანსი თეორიულად მაინც არსებობდეს. უნდა აღინიშნოს, რომ კონსტუტუცია რომელიც ოქტომბერში უნდა შევიდეს ძალაში, პრემიერ-მინისტრს დიდ უფლებამოსილებას ანიჭებს. — განაცხადა ძიძიგურმა.




საპარლამენტო უმრავლესობის წევრის ზვიად ძიძიგურის განცხადებით, პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის გუშინწინდელმა განცხადებამ დაადასტურა, რომ იგი არასტაბილური პოლიტიკური პარტნიორია.

სადაც პრეზიდენტისა და დავით უსუფაშვილის შეხვედრა და მათი გაკეთებული განცხადებები შეაფასა.

— გუშინდელმა პრესკონფერენციამ დაადასტურა, რომ მიხეილ სააკაშვილი არასტაბილური პოლიტიკური პარტნიორია. წინა დღით მისი რიტორიკა და ტონი რადიკალურად განსხვავებული იყო გუშინდელისგან. ის საუბრობდა იმ თემებზე, რომელიც ტელე-დებატების თემაა, ან მოლაპარაკებების. მიუხედავად ამისა, უმცირესობის წარმომადგენლებთან კონსულტაციები აუცილებლად უნდა გაგრძელდეს, რომ პარლამენტის და პრეზიდენტის უფლებებთან დაკავშირებით კონსტიტუციური ხარვეზები გამოსწორდეს, — განაცხადა ძიძიგურმა.

# ელიზბარ ჯაველიძე: „სააკაშვილი საქართველოს 8 ჯუჯა სახელმწიფოდ დანაწევრებას აპირებს“

## „რატომ არ აღშფოთდა დასავლეთი, 26 მაისის ღამეს აქციის მონაწილეები რომ გააუპატიურეს“

შორენა მარსაგიშვილი

მიხეილ სააკაშვილს საეჭვოდ აქვს ამოჩემებული ქუთაისი. ათასნაირი განმარტებების მიუხედავად, ერი ვერ დაარწმუნა იმაში, თუ რატომ უნდა იყოს პარლამენტის შენობა ქუთაისში და არა დედაქალაქში. პრეზიდენტის ეს ახირება ქვეყნისთვის სახიფათოდ მიაჩნია აკადემიკოს ელიზბარ ჯაველიძეს. მისი განცხადებით, არსებობს საქართველოს დანაწევრების გეგმა, რომელსაც სააკაშვილი ასრულებს.

რამდენ ნაწილად უნდა გაიყოს საქართველო, ვისი დავალებით ხდება ქვეყნის დაქუცმაცება, ვისი ჩასახლება იგეგმებოდა ლაზიკაში, ამ თემებზე ელიზბარ ჯაველიძე „ახალ თაობას“ ესაუბრება.

***— მიხეილ სააკაშვილი დაჟინებით მოითხოვს, რომ პარლამენტის შენობა თბილისში არ დაბრუნდეს. ამაზე უამრავი ჭორი და მოსაზრება არსებობს. თქვენ რას ფიქრობთ პრეზიდენტის ახირებაზე?***

— ეს არ გახლავთ პრეზიდენტის ახირება. ეს არის საქართველოს დაშლის გეგმა, რომელიც კარგა ხანია, რაც არსებობს. ამ გეგმით უნდა მოხდეს საქართველოს დაშლა-დანაწევრება. დედაქალაქის ფუნქციის მოშლა ერთიანი საქართველოსთვის საძირკვლის მორყევას გამოიწვევს. სააკაშვილი ხშირად ადარებს ხოლმე დავით აღმაშენებელს თავს. დავით აღმაშენებელმა მანამდე არ მოისვენა, სანამ თბილისი მტრებისგან არ გაათავისუფლა. თბილისში დედაქალაქის გადმოტანით მან ხაზი გაუსვა იმას, რომ საქართველო იყო ერთიანი სახელმწიფო. დედაქალაქის ფუნქციის მოშლა გახლავთ გეგმა, რომელზეც ზემოთ მოგახსენეთ.

***— სად არის ეს გეგმა დაწერილი?***

— დასავლეთში არის დაწერილი. ამ გეგმის თანახმად, საქართველო 7-8 ჯუჯა სახელმწიფოდ უნდა დაიშალოს. ჩვენი ქვეყნის დაშლა სააკაშვილს აქვს დავალებული. ის ამ დავალებას ძალიან კარგად ასრულებს. სხვათა დაკვეთებს შევარდნაძეც კარგად ასრულებდა, მაგრამ ის დღევანდელ პრეზიდენტთან რა მოსატანია. ამ საქმეში მოსწავლე მასწავლებელზე მაღლა დადგა. სააკაშვილი ამბობს, რომ ქუთაისში პარლამენტის გადატანა დასავლეთ საქართველოს გაძლიერებას ემსახურება. სამწუხაროდ, მოსახლეობის ნაწილს ეს სჯერა, არადა, ამან შესაძლოა საქართველო, როგორც სახელმწიფო, დაანგრიოს. სააკაშვილი ყველაფერზე თანახმაა, მისთვის მთავარია ძალაუფლების შენარჩუნება. ამ მიზნით ყველაფერზე მოაწერს ხელს. 11 თებერვალს პარლამენტის თავმჯდომარესთან გამართულ შეხვედრაზეც გამოაჩინა სააკაშვილმა თავისი სახე. რესპუბლიკელები დიდად არ მიყვარს, მაგრამ უნდა აღვნიშნო, რომ მას დავით უსუფაშვილმა საკადრისი პასუხი გასცა.

***— მოდით, ბატონო ელიზბარ, ისევ იმ გეგმას დავუბრუნდეთ. ეს გეგმა მარტო საქართველოს ჯუჯა სახელმწიფოებად დაშლას ითვალისწინებს?***

— მარტო ამით არ კმაყოფილდებიან. ამ გეგმის თანახმად, საქართველოში უნდა მოხდეს უცხოტომელების ჩამოსახლება. ვიღაცას იმის დამტკიცება უნდა, რომ საქართველო თითქმის მრავალეთნიკური ქვეყანაა. არადა, საქართველო ყოველთვის მონოეთნიკური ქვეყანა იყო. ავტოქტონური ერი იყო ქართველი ხალხი. საქართველოს ხალხი იმთავითვე ისტორიულ-ბუნებრივი იყო. ჩვენს ქვეყანას სხვისი ტერიტორია არასდროს არ მიუთვისებია.

***— სამაგიეროდ ჩვენს ტერიტორიებს ითვისებდნენ და ითვისებენ.***

— ამას ის ერები აკეთებენ, რომლებიც მივიკედლეთ. ეს ხალხი ტერიტორიებზე გვიცხადებს ახლა პრეტენზიას. საქართველო დიდი საფრთხის წინაშე დგას. ამ ეტაპზე სააკაშვილის არადემოკრატიულ ნაბიჯებზე არ უნდა გავამახვილოთ ყურადღება.

***— რატომ არ უნდა გავამახვილოთ, მისი გადაწყვეტილებები მართლაც არადემოკრატიულია.***

— არადემოკრატიული კი არა, ტირანულია. ახლა იმაზე უნდა გავამახვილოთ ყურადღება, რომ მან ქვეყნის დაშლის გეგმა სისრულეში არ მოიყვანოს. სააკაშვილის არადემოკრატიულ ქმედებებს კი ამერიკა და დასავლეთი უწყობს ხელს. მათ ერთი მიზანი აქვთ — ქართველი ერის მოსპობა.

***— რაში სჭირდებათ ქართველი ერის მოსპობა?***

— ქართველ ერს ღვთიური მისია აკისრია ოდითგანვე. მან უნდა გადაარჩინოს ზნეობრივად კაცობრიობა. ეს კარგად იციან მასონურმა ძალებმა. ამ მასონებზე დღეს ყველა ირონიულად იცინის, არადა, მთელ მსოფლიოს განაგებენ. ფინანსურად ისინი ძალიან ძლიერები არიან. მასონები საქართველოს დაშლას გეგმავენ, რასაც ბრწყინვალედ ასრულებენ სააკაშვილი და მისი ბანდა. დღეს დიდი სჯა-ბაასი მიდის პრეზიდენტის არქიტექტურულ გემოვნებაზე. აქ გემოვნება არაფერ შუაშია. ამ უაზრო ნაგებობების აშენება სააკაშვილს დავალებული აქვს.

***— ვისგან აქვს დავალებული?***

— ამ უაზრო ნაგებობებს სააკაშვილი მსოფლიო ბანკის და სავალუტო ფონდის დავალებით აშენებს. ნასესხები ფული ასეთ რამეებში უნდა დაიხარჯოს. ამ გზით თეთრდება ფული. დიდი ნაწილი მიდის უკან, გარკვეული ნაწილი სააკაშვილის გარემოცვის ჯიბეებში თავსდება. ამათ დიდი სიმდიდრე დააგროვეს.

***— დღეს დიდი აჟიოტაჟია ატეხილი ჩინელების ჩამოსახლებასთან დაკავშირებით. ცნობილი ხდება, რომ 126 ათასი ჩინელის ჩამოსახლება იგეგმებოდა. ზოგიერთი პოლიტიკოსი ამას ქართველი ერის წინააღმდეგ შეთქმულებად მიიჩნევს. თქვენი აზრით, რასთან გვაქვს საქმე?***

— რასთან და ერის განადგურებასთან. ესეც იმ გეგმის ნაწილია, რომელზეც ზემოთ გესაუბრეთ. 126 ათასი ჩინელის ჩამოსახლება საქართველოს გაანადგურებს. ქართველი ერი შეიძლება განადგურდეს. დემოგრაფიული თვალსაზრისით ძალიან ცუდი მდგომარეობა გვაქვს. ერების განადგურების პროცესი მიმდინარეობს მსოფლიოში. გასანადგურებელი ხალხის სიაში ქართველი ერიც მოხვდა. ამ გეგმის ნაწილია ლაზიკის აშენებაც. თქვენ გგონიათ, რომ ეს იდეა სააკაშვილს თავში თავად მოუვიდა? არავითარ შემთხვევაში. ამ ლაზიკაში უნდა მომხდარიყო უცხოტომელების ჩასახლება. სამეგრელოში 250 ათასი ადამიანი ცხოვრობს მთლიანად. ლაზიკა კი 500 ათას ადამიანზე იყო გათვლილი. მოგროვდებოდა ამდენი უცხოტომელი და ქართველები უმცირესობაში აღმოვჩნდებოდით. ეს გახლავთ გლობალიზაციის შედეგი. ეს გლობალიზაცია განსაკუთრებით დიდ საფრთხეს მცირე ერებს უქმნის.

***— თქვენ ამბობთ, რომ სააკაშვილს ჰქონდა დავალებული ამ გეგმის შესრულებაო. სააკაშვილი ფაქტიურად წასულია. კიდევ ემუქრება ქვეყანას ეს საფრთხე?***

— სად არის წასული? სკამს მთელი ძალით ებღაუჭება. ეგ კაცი არასდროს არ მოჭკვიანდება. შესანიშნავად ვიცი მისი ბუნება, მშიშარა კაცია. დიდ გულზე იმიტომ არის, რომ დასავლეთი ზურგს უმაგრებს. გადავხედოთ დასავლურ პრესას, რა ამბავი ატეხეს 8 თებერვალს მომხდარი ინციდენტის გამო.

***— ეს ინციდენტი არც საქართველოში მოეწონათ.***

— ძალადობა როგორ შეიძლება ვინმეს მოეწონოს, მაგრამ სად იყო დასავლური პრესა 2007 წლის 7 ნოემბერს? სად იყვნენ 2011 წლის 26 მაისს? ყველამ ვიცით, რა საშინელებებიც დატრიალდა იმ დღეს. 8 თებერვლის ინციდენტი იმ სისხლიან ღამესთან რა მოსატანია, მაგრამ იმაზე რეაქცია არ ჰქონდათ. ერთადერთი, რაც თქვეს, იყო ის, რომ თურმე სამართალდამცავებმა ძალას გადააჭარბეს.

***— მაშინ საუბრობდნენ იმაზეც, რომ თქვენ ეროვნული დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებების ჩაშლა და გადატრიალება გსურდათ.***

— რა გადატრიალება? რა ჩაშლა? იმ დღეს ქუჩაში გამოვიდა ის ხალხი, ვისაც სამშობლო უყვარდა. სამშობლოს მოყვარული ხალხი კი გადატრიალებას არ აწყობს. სად არის რაგატკები და მოლოტოვის კოქტეილები, რომლებიც იმ ღამეს თურმე გვქონდა. ხმა ამოიღო დასავლეთმა ამაზე? ამერიკის ელჩმა ჯონ ბასმა არ აუნთო ამ დარბევას მწვანე შუქი? დარბევასაც დარბევა ჰქვია, ეს არ იყო დარბევა, ეს იყო ქართველი ხალხის წინააღმდეგ ჩატარებული სპეცოპერაცია. ხალხი ალყაში მოაქციეს და დაუნდობლად გაუსწორდნენ. ქალი და კაცი არ გაურჩევიათ მაშინ. ჩიორასთვის ხელის გარტყმაზე კი ლამის მსოფლიო აღშფოთდა.

***— ქალისთვის ხელის გარტყმა მართლა აღმაშფოთებელია.***

— კი ბატონო, აღშფოთდნენ, მაგრამ სად იყვნენ 26 მაისს? იმ ღამეს ამ თახსირებმა ქართველი გოგონები გააუპატიურეს.

***— დადასტურებული ინფორმაციაა?***

— რა თქმა უნდა, დადასტურებულია. ეს ყველამ იცის. ცნობილია ისიც, რომ იმ ღამეს აქციის მონაწილე რამდენიმე მამაკაციც გააუპატიურეს. ეს არ არის გასაპროტესტებელი? თუ ჩიორას ცხვირია მთავარი? ვაი იმას, ვისაც ჩიორა ქალი ჰგონია კიდევ. ახლა გამოდიან და რაღაცებს ბოდავენ. იმაზე გაგვცენ პასუხი, რატომ აუპატიურებდნენ ციხეში ხალხს. მამაკაცისთვის გაუპატიურება არის საშინელება. ასე გაუბედურებულმა კაცმა, ვიღაც რომ მოკლას, პირადად მე ვერ გავამტყუნებ. ძალადობა ყოველთვის ძალადობას გამოიწვევს. ეს ნაციონალებს კარგად უნდა ახსოვდეთ. ისინი ჯერ კიდევ არ იმკიან იმას, რაც ამ 9 წლის განმავლობაში დაითესეს. ხალხი ცუდად იქცევიან საეჭვო ფულებით გატკინილი არასამთავრობოები.

***— საეჭვო ქცევაში რას გულისხმობთ?***

— ვითომ რაღაცა პრინციპებს იცავენ, სინამდვილეში კი ქვეყანას ანადგურებენ. ამერიკის კონგრესს გადაწყვეტილებით, ქვეყნებს დაპყრობა არასამთავრობოების მიერ უნდა მოხდეს.

***— არასამთავრობოები რაკი ვახსენეთ, მიშა თავხელიძეზე უნდა გკითხოთ. ის მიიჩნევს, რომ სააკაშვილი კი არა, პატრიარქი უნდა გადადგეს.***

— მოდით შევთანხმდეთ, რომ ეს კაცი თავხელიძე კი არა თავთხელიძეა. ის გახლავთ იდიოტი, რომელიც ამათ გააჯეჯილეს. ვინ ჰკითხავს ამ უწმინდურს და სატანას რამეს? ვინ მისცა პატრიარქზე ხმის ამოღების უფლება. ვინ არის ეს კაცი ან საიდან მოიყვანეთ ამ ჟურნალისტებმა, გამაგებინეთ? ან ის ამიხსენით, რატომ არის ყოველდღე თეა თუთბერიძე ტელევიზიებში? ნორმალური არხი თუთბერიძეს აჩვენებს? ვერ ხვდებიან, რომ მათი რეიტინგი ამ ქალის გამოჩენით ეცემა? ისეც ეკრანიდან არ ჩამოდის და რაღაცებს მოგვიწოდებს. ვაი, იმათ პატრონს, ვინც თეა თუთბერიძეს გაყვება სადმე. ეს ქალი არის ბოროტების განსახიერება.

***— ამ განცხადების გამო სიძულვილის ენის გამოყენებაში დაგდებენ ბრალს.***

— სიძულვილის ენით ეგენი მეტყველებენ და სიძულვილი მაგათ აწერიათ სახეზე და ეს ხალხია მაინცდამაინც წინა პლანზე წამოწეული. სამაგიეროდ იმ ხალხს არაფერს ეკითხებიან, ვისაც სამშობლო უყვარს. ეს მოიტანა გლობალიზაციამ. 8 თებერვლის ამბავს დავუბრუნდები, რომ გამოვარდნენ ეს ნაციონალები და მოკრივეებივით მოიმარჯვეს მუშტები, რისი თავი აქვთ. 75 წლის კაცი ვარ და მე შევაშინებ ამათ. ერთი ბუფო, რომ უთხრა, ეგრევე გაიქცევიან. ამათ დიდი გული აქვთ მაშინ, როცა დაცვით დადიან. სააკაშვილიც მაგიტომ არ მივიდა იქ.

***— ისინი ამბობენ, რომ არეულობას მოერიდაო.***

— არეულობას მოერიდა არა, ეგ არის კურდღელი და შიშით იქ მივიდოდა?! სამაგიეროდ პროვოკაცია მოაწყობინა გიგი უგულავას, რომელიც იმდენს ბედავს, რომ ზნეობაზე გველაპარაკება. ეგ იყო სტიქაროსანი, გაიხადა სტიქარი და „კმარაში“ გავარდა. იმ ცნობილი ფოტოების შემდეგ, ეს კაცი ხმას როგორ იღებს. მაგისთვის არაფერი არ არსებობს. ეგ არ იყო, თავის მეგობრის ცოლს სადღაც ფულს რომ უტენიდა. ჩვენი ბრალია, ასე რომ გათავხედდა. ჩვენ უნდა მოგვეთხოვა პასუხი მაგისთანებისთვის.



# ნაციონალები კურტანიძის გადადგომას ითხოვენ

## ულტიმატუმი შსს-ს

შორენა მარსაგიშვილი

ნაციონალური მოძრაობისა და ლუკა კურტანიძის დაპირისპირება გრძელდება. ოპოზიციაში გადასული ყოფილი მმართველი გუნდი შინაგან საქმეთა მინისტრს საგანგებოდ მიმართავს და კურტანიძის გათავისუფლებას ითხოვს. ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტი ლუკა კურტანიძე იმავდროულად პოლიციის აკადემიის პრორექტორიც გახლავთ. ნაციონალებს კარგა ხანია მისი ბოლმა აწუხებთ და მის წინააღმდეგ გასალაშქრებლად შანსს ხელიდან არ უშვებენ.

ამაში მათ ხელს თავად კურტანიძეც უწყობს. ცოტა ხნის წინ მას ინციდენტი მოუვიდა ჭიდაობის ფედერაციაში და როგორც ამბობენ, ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი თემურ ყაზარაშვილი შემოელახა. კურტანიძე ცემის ფაქტს კატეგორიულად უარყოფს. ნაციონალებმა ეს ამბავი ხელზე დაიხვიეს და მისი დაჭერა მოითხოვეს. კურტანიძე მართალია დაკითხეს, მაგრამ არც დაუჭერიათ და არც თანამდებობიდან გაუთავისუფლებიათ.

საჯარო ბიბლიოთეკასთან მომხდარმა საჯარო ჩხუბმა გაოპოზიციონერებულ ნაცმოძს კურტანიძე მიავიწყა. კარგა ხანს არც გაახსენდებოდათ, თავად კურტანიძეს რომ არ ემარჯვა.

გაზეთ „ასავალ-დასავალისთვის“ მიცემულ ინტერვიუში კურტანიძემ საკმაოდ მწვავე და ემოციური განცხადებები გააკეთა. მან უმრავლესობის წევრები ვირთხებს შეადარა და ანგარიშსწორებით დაემუქრა.

ნაციონალებს ახლა ჰაერივით ესაჭიროებათ წამებულის გვირგვინი. შესაბამისად, ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტის ამ განცხადებას ასე როგორ დატოვებდნენ. საგანგებო ბრიფინგი გოკა გაბაშვილმა გამართა და შინაგან საქმეთა მინისტრს 3 დღიანი ულტიმატუმი წაუყენა.

— 8 თებერვლის დარბევის შემდეგ, 11 თებერვალს ერთ-ერთ ქართულ გაზეთში გამოქვეყნდა შსს-ს პოლიციის აკადემიის პრორექტორის განცხადება, რომელიც არის აღსავსე უკიდურესად სახიფათო სიძულვილის ენით, სადაც ის ფიზიკური ანგარიშსწორებით და ლინჩის წესით მოკვლით ემუქრება საქართველოს პრეზიდენტს და პარლამენტის წევრებს. ეს სიძულვილის ენა არის ძალიან მძაფრი, ის მოიხსენიებს პარლამენტის წევრებს როგორც ვირთხებს და ემუქრება ფიზიკური განადგურებით, ლინჩის წესით. ეს იქნებოდა ცალკე აღებული ლუკა კურტანიძის განცხადება, რომლის მსგავსი განცხადებები არაერთი მოგვისმენია, რომ არა ერთი რეალობა — ის დღეს არის პოლიციის მაიორი და შსს-ს პოლიციის აკადემიის პრორექტორი. შესაბამისად, თუ სამი დღის განმავლობაში ეს ადამიანი არ იქნება გათავისუფლებული ამ თანამდებობიდან და არ დატოვებს შსს-ს სისტემას, ოპოზიცია ამას აღიქვამს, როგორც შს სამინისტროს და პირადად ღარიბაშვილის პოზიციას. ის ზღაპარი, რომელსაც გვიყვებოდნენ პოლიციის დეპოლიტიზაციაზე, რა თქმა უნდა, უკვე დასრულებულია, მაგრამ საბოლოო წერტილი დაესმება სამ დღეში, თუ ამ განცხადების შემდეგ ლუკა კურტანიძე არ იქნა გათავისუფლებული თანამდებობიდან, — განაცხადა გაბაშვილმა.

ის ინტერვიუ, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ძალიან ემოციური იყო და კურტანიძემ საკმაოდ მწვავე რაღაცები თქვა, რაც პოლიციის აკადემიის პრორექტორს ნამდვილად არ უნდა ეთქვა.

ამ მხრივ ნაციონალების პოზიციაც გასაგებია. სხვა პარტიებსაც ალბათ ასეთივე რეაქცია ექნებოდათ. თუმცა იმასაც გააჩნია, ვინ გამოხატავს პროტესტს. ნამდვილად არ ვამართლებთ კურტანიძეს, როცა ის პოლიტიკურ ოპონენტებს ვირთხებს ადარებს, მაგრამ რატომ ავიწყდება ნაციონალებს, რა ეპითეტებს ხმარობდა სააკაშვილი ოპონენტების მიმართ. „ჩარეცხილები“ და „ფარჩაკები“ არა მგონია ვირთხაზე უკეთესი კომპლიმენტი იყოს.

ძალიან ცუდია, როცა პოლიციის აკადემიის პრორექტორი ვიღაცას ფიზიკური ანგარიშსწორებით ემუქრება. ასეთი მუქარები ნაციონალებისგან ყოველდღე ესმოდა ხალხს. მარტო გივი თარგამაძის ცნობილი ფრაზა „სულს ამოგხდით თქვე ნაძირლებო“ რად ღირს. გოკა გაბაშვილს თუ არ ახსოვს, შევახსენებთ, მაშინ თარგამაძეს პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის პოსტი ეკავა.

სააკაშვილიც არ აკლებდა ოპონენტებს მუქარას. ნულოვან ტოლერანტობაზე განცხადება, მგონი მან გააკეთა. მანვე აღიარა, რომ აფრასიძეების ამოწყვეტის ბრძანება თავად გასცა. ეს ნაციონალებს არ დაუგმიათ. პირიქით, დღემდე ამ ოპერაციას ამართლებენ.

კურტანიძის განცხადებებს ნამდვილად არა აქვს გამართლება, მაგრამ ისიც გავიხსენოთ, როგორ გაუსწორდნენ მას 26 მაისის დარბევისას. გაბაშვილმა თქვა, რომ 8 თებერვალს იყო დარბევა. იქ მართლა ცუდი რაღაცები მოხდა, მაგრამ ეს დარბევა არ ყოფილა. დარბევა 7 ნოემბერს და 26 მაისს იყო.

26 მაისს ლუკა კურტანიძე სასიკვდილოდ გაიმეტეს. მისი ცემის მითითება, როგორც ამბობენ, სპეცრაზმელებს სააკაშვილმა მისცა. ყველამ ვიცით, რომ სააკაშვილს და ნაცმოძს მის მიმართ ენით აუწერელი ზიზღი აქვთ. მას 2007 წლის ნოემბერში გამოხატული პოზიცია არ აპატიეს.

ვისაც აღარ გახსოვთ, შეგახსენებთ, რომ 2007 წლის აქციების დროს ბადრი პატარკაციშვილს სპორტსმენები აუმხედრეს. მანამდე ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტობიდან გადააყენეს. იმ შეხვედრაზე კურტანიძემ პატარკაციშვილს დაუჭირა მხარი. თქვა, რომ მას ქართული სპორტისთვის ბევრი სიკეთე ჰქონდა გაკეთებული. ამის შემდეგ მისი საქმეები ცუდად წავიდა. 26 მაისის დარბევამ კი საბოლოოდ წარმოაჩინა ეს ზიზღი. ეს ფაქტი არავის დაუგმია. მათ შორის, არც ჭიდაობის ფედერაციას.

კურტანიძეს მართლა დიდი განსაცდელი დაატყდა თავს, მაგრამ ეს მის განცხადებებს არ ამართლებს. ამასთან კურტანიძე ამბობს, რომ მის მიერ გაზეთ „ასავალ-დასავალისთვის“ მიცემული ინტერვიუს შინაარსი და არც მისი პოლიტიკური ხედვა შსს-ს ოფიციალურ პოზიციას არ ემთხვევა.

— გაზეთ „ასავალ-დასავალის“ 11 თებერვლის ნომერში დაიბეჭდა ჩემი ინტერვიუ, სადაც მიმდინარე პოლიტიკური მოვლენები შევაფასე. მინდა, სრული პასუხისმგებლობით განვაცხადო, რომ ინტერვიუს შინაარსი და არც ჩემი პოლიტიკური ხედვა შსს-ს ოფიციალურ პოზიციას არ ემთხვევა. ეს იყო ჩემი, როგორც წინა ხელისუფლების მიერ რეპრესირებული მოქალაქის, პირადი დამოკიდებულება, — განუცხადა სააგენტო „პირველს“ კურტანიძემ.

კურტანიძემ მართლა ბევრი რამ გადაიტანა, მაგრამ დღეს ის თანამდებობაზეა და მეტი თავშეკავება მართებს. მით უმეტეს, რომ შსს-ს წარმოადგენს. მან თავისი განცხადებებით უკვე შეუქმნა პრობლემები მეინეჯმენტს. დიდიხანს მას ამას არც ოცნება მოუთმენს.

# შემოილებენ თუ არა საქართველოში მრავალცოლიანობას

## ანაზღაურებადი დეკრეტული შვებულება ერთ წლამდე უნდა გაიზარდოს

მერი ნამორაძე

**დემოგრაფიული ვითარების შესაცვლელად დემოგრაფები ხელისუფლებას საოჯახო პოლიტიკის გატარების აუცილებლობაში არწმუნებენ. ძველი ხელისუფლება თავს დიდად არ იკლავდა ოჯახის ხელშემწყობი პოლიტიკის გატარებისგან. რა ვითარებაა ამ კუთხით ახალი ხელისუფლების პირობებში? როგორც დემოგრაფიული საზოგადოების თავმჯდომარე ავთანდილ სულაბერიძე ამბობს, მოსაზრებები და წინადადებები უკვე მიაწოდეს ახალ ხელისუფლებას, ახლა ჯერი კეთილ ნებასა და ბიუჯეტის შესაძლებლობებზეა. „ახალი თაობა“ ამ პრობლემებთან დაკავშირებით ავთანდილ სულაბერიძეს ესაუბრა.**

**ავთანდილ სულაბერიძე:**

– დავაყენე საკითხი, რომ არსებული ბიუჯეტის პირობებში შეიძლება ერთ წლამდე ასაკის ბავშვებზე ყოველთვიურად გაიცეს 20-30 ლარი, რაც დაახლოებით ჯდებოდა 20 მილიონი ლარი. ბიუჯეტში ეს ვერ მოძებნეს. იბადებოდა 62 ათასი ბავშვი სამი წლის წინ, ახლა 59 ათასზე დავიდა ეს ციფრი. კიდევ შემცირდება შობადობა. „ჩანერგილი“ არ გეგონოთ, სიმართლეს ვლაპარაკობ და ვწუხვარ. მეორე – ქართლის დედის წოდება მიღებულია 1990 წელს. 1995 წელს, როდესაც პირველი ბიუჯეტი დგებოდა, ქართლის დედის წოდების მიმღებთათვის შეღავათები შევატანინეთ, ანუ ეს შეადგენს 3 ათას ლარამდე საშემოსავლო გადასახადებისაგან გათავისუფლებას წელიწადში. უმუშევრობის შემთხვევაში კი არავითარი დახმარება არ არის. ეს საგადასახადო კოდექსში დღესაც წერია. არ სრულდება, რადგან არავისთვის მიუნიჭებიათ ქართლის დედის წოდება. რატომ არ მიანიჭეს? იმიტომ, რომ დებულება არ შემუშავებულა.

***– ვის უნდა მიენიჭოს ეს წოდება?***

– მივაწოდე დებულება პარლამენტს, სადაც წერია, რომ ქართლის დედის წოდება ენიჭება 5 და მეტშვილიან დედას, რომელიც არ არის ნასამართლევი. ამასთან, უნდა იცოდეს სახელმწიფო ენა. ერთი მხრივ, ჩვენ პატივს მივაგებთ მრავალშვილიან დედებს და მეორე მხრივ, ვცდილობთ სახელმწიფო ენის განმტკიცებას. არ ვიცი, დღევანდელი პარლამენტი მიიღებს თუ არა ამას, მე ყოველი შემთხვევისთვის გადაგზავნილი მაქვს.

ახლა მოდის სამი მარტი, ბატონო! სამ მარტამდე შეიძლებოდა დებულების შემუშავება და ბიძინა ივანიშვილს ან პრეზიდენტს შეეძლო მიენიჭებინა ეს წოდება და გადაეცა მოწმობები მანდილოსნებისთვის. ზოგს სახელწოდება „ქართლის დედა“ არ მოსწონს, როგორ შეიძლება სხვა ეროვნების ადამიანს მიენიჭოსო ქართლის დედის წოდება. რატომ არ უნდა მივანიჭოთ?

– თქვენ დეკრეტულ შვებულებებზეც ამახვილებდით ყურადღებას!

***– სასწრაფოდ არის მისახედი დეკრეტული შვებულებები. ოთხთვიანი შვებულება არ არის საკმარისი, რომ ნორმალურად, სრულფასოვნად გაიზარდოს ბავშვი ოჯახში. ამიტომ გვაქვს ჩვილთა მაღალი მოკვდაობა. ერთ წელზე ნაკლები არ უნდა იყოს ანაზღაურებადი დეკრეტული შვებულება. გვეუბნებიან, რომ მეწარმეები ამის წინააღმდეგნი არიან. რატომ არიან წინააღმდეგნი, აბა, საკუთარ შვილზე წარმოიდგინონ ასეთი რამ! ეს უნდა იყოს საზოგადოების ერთიანი დაინტერესების, მონდომების საკითხი. საზოგადოება უნდა უჭერდეს ამას მხარს. ამასთან, ფეხმძიმე ქალს სამსახურში დაბრუნების გარანტია უნდა ჰქონდეს.***

არის კიდევ ერთი საკითხი – დასაქმების დაზღვევა, რაც გულისხმობს იმას, რომ თუ სამსახურს დაკარგავს ადამიანი, ექვსი თვე იმას აუნაზღაურდეს საარსებო მინიმუმის ოდენობით. დღეს დაახლოებით 650 ათას



კაცამდეა დასაქმებული, რომ ავიღოთ მათი ხელფასიდან 2 ლარი, თვეში მილიონ ორასი ათასი ლარი გამოვა. ეს ფონდი იქმნება, გარდა ამისა, ამ ფონდით შეიძლება გადამზადების ამოქმედება.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემაა ჯვრისწერის აღიარება სამოქალაქო ქორწინებად. როცა ჩვენ ვანგარიშობთ არარეგისტრირებულ ქორწინებაში დაბადებულთა რაოდენობას, მაღალი მაჩვენებლები გვაქვს. მაგალითად, 2008 წელს 54% იყო რეგისტრირებული ქორწინების გარეშე დაბადებული, რომელთაგან 48% იყო ჯვარდაწერილი. ანუ ჩვენთან 4-5%-ის ფარგლებშია და 6%-მდეც ადის ქორწინების გარეშე შობადობა, ანუ მარტოხელა დედად რომ რჩება ქალბატონი. რეალურად 4-6 პროცენტია, ესენი გვიჩვენებენ გაზრდილ მაჩვენებლებს. როდესაც ამ ანალიზს აკეთებ, დემოგრაფიული ღონისძიებები გინდა გაატარო, ცოტა უხერხულია და ლამის ყოველი მეორე ბავშვი არარეგისტრირებული ქორწინებით იბადება, ცუდია.

***– ქორწინების ასაკზე რას გვეტყვით?***

– ქორწინების ასაკმა გადაიწია – 25 წელია ქალის, 28-29 წელია მამაკაცის. რატომ არის ასე? გასაგებია, ახალგაზრდებს განათლების მიღება, კარიერის აწყობა უნდათ, მაგრამ დგება საბინაო პრობლემაც. მრავალშვილიანმა ოჯახმა, 5-6 შვილი რომ ჰყავს, 3 ოთახიან ბინაში როდემდე იცხოვროს? ეს საკითხები მოსაგვარებელია. წმინდა დემოგრაფიული პოლიტიკა ნიშნავს იმას, რომ ბავშვთა ყოლის მოთხოვნილება აამაღლო საზოგადოებაში. პატრიარქის მოწოდების შემდეგ, ხალხს მესამე ბავშვის ყოლის მოთხოვნილება გაუჩნდა. ან ჰქონდა მესამე შვილზე მოთხოვნილება, მაგრამ უკეთესი მერმისისთვის აპირებდა გადავადებას. შეიძლება საერთოდ აღარ გაეჩინა მესამე და მეოთხე შვილი, რომ არა პატრიარქი. პატრიარქმა დააჩქარა ეს და უცებ, ჯერ 57 ათასზე ავიდა შობადობა, შემდეგ, უცებ – 63 ათასზე. მესამე შვილთა ხვედრითი წილი 4 პროცენტით გაიზარდა, 10%-დან 14%-ს მიაღწია. ეს საკმაოდ კარგი შედეგია. ამას არ უნდა რეკლამირება? არ უნდა გამყარება სახელმწიფოს მხრიდან? ეკლესია ამ კუთხით იბრძვის, სახელმწიფო ამას არ ეხმიანება. პრეზიდენტის გამოსვლა რომ იყო, მესამე-მეოთხე შვილზე 1000-2000 ლარს რომ აძლევდა თითქოს, ეს პიარი იყო, ასე არ გვინდა. ველოსიპედიანი ნანუკა რომ ჰკიდია ბილბორდებზე, დავდოთ იქ პატრიარქის სურათი, რომელიც ბავშვს ნათლავს. სოფლებში გავავრცელოთ ასეთი სურათები.

შობადობის შემცირება კანონზომიერი პროცესია. ეს ყველა ქვეყანაში კანონზომიერი პროცესია, მაგრამ ჩვენ გვაქვს ჩვილთა მოკვდაობის შემცირების შანსი. როცა 23-25 პრომილემდეა ჩვენთან ჩვილთა მოკვდაობა, ევროპის ქვეყნებში კი 4-7 პრომილეს შორის მერყეობს, ეს დიდი რეზერვია ჩვენთვის. ახლა 1000-1200 ბავშვიც რეზერვია. შობადობის შემცირება ცივილიზაციის შედეგია. ქალი, რომელიც მუშაობს, 27-30 წლის რომ თხოვდება, ჯერ ქონებას აგროვებს და შემდეგ გადის საქორწინო ბაზარზე, უკვე ვეღარ პოულობს სასურველ მამაკაცს.

***– ანუ საქართველოში სასიძოთა ნაკლებობაა?***

– რა თქმა უნდა, 28-30 წლის შემდეგ ასეა.

***– მთავარი მიზეზი სასიძოთა საზღვარგარეთ გადინებაა თუ კიდევ სხვა რამ?***

– საზღვარგარეთ გადინებაც არის და მეორე – ქალებმა უფრო მოინდომეს კარიერის აწყობა, ვიდრე მამაკაცებმა. მიდიხართ სასწავლებლად საზღვარგარეთ, ჩამოხვალთ 30 წლის ასაკში, გეყოლებათ კარგი მანქანა, იყიდით ბინას, გაქვთ კარგი ხელფასი, მაგრამ გახვალთ საქორწილო ბაზარზე და ისეთი ტიპის მამაკაცი, როგორიც მოგწონდათ, უკვე დაკავებულია. მერე ქალი იწყებს ბრძოლას მამაკაცისთვის სამსახურში, ცოლიანი შეუყვარდება, ეს განქორწინებებს იწვევს.... ეს არის დემოგრაფიული გადასვლის ელემენტი, რომელიც თეორიულად შემუშავებულია და კონცეფციაც არსებობს. საქართველოშიც შემოვა უკვე.

***–ამ აზრს თუ გავყვებით, მრავალცოლიანობაც შეიძლება შემოვიდეს მოდაში?***

– მრავალცოლიანობის რა გითხრათ, მაგრამ, მე რომ მკითხოთ, ერთ ცოლთან რომ ბედნიერი ხარ, მეორესთან ხომ ორჯერ ბედნიერი იქნები! მოკლედ, ეს საკითხებია მოსაგვარებელი – ახალგაზრდობისადმი ხელშეწყობა, საბინაო პრობლემის გადაწყვეტა, გრძელვადიანი კრედიტის მიცემა ახალგაზრდებისთვის. თუ ისინი დაქორწინდებოდნენ და იყოლიებდნენ შვილს, პირველ ბავშვზე კრედიტს მოკლებოდა 20 პროცენტი, მეორე შვილზე – 30 პროცენტი, მესამე შვილის შემთხვევაში, საერთოდ გათავისუფლებულიყვნენ გადასახადისგან, კარგი იქნებოდა. ამის შემუშავება შეიძლება. რიგ ქვეყნებში ეს მუშაობს. შეიძლება შობადობის მხრივ დიდი შედეგები არ იყოს, მაგრამ სოციალური ეფექტი დიდია. პრობლემაა კიდევ ის, რომ ყველას თბილისში უნდა ცხოვრება. უნდა მოხდეს დეურბანიზაციის დაწყება. ეს უნდა მოხდეს მცირე და საშუალო ზომის საწარმოების რეგიონებში გადატანით. საშუალო და პატარა ქალაქების განვითარებას უნდა შეეწყოს ხელი, როგორიცაა ხაშური, ზესტაფონი, აბაშა, რათა მიიზიდოს მოსახლეობა და არ მოხდეს მოსახლეობის მხოლოდ თბილისში, ქუთაისში თუ რუსთავში წამოსვლა.

***– თქვენ საპენსიო ასაკის დაწევისკენ მოუწოდებდით ხელისუფლებას, როგორც ჩანს, ეს საკითხი არ დადგება ახლო მომავალში დღის წესრიგში!***

– მიმაჩნია, რომ საქართველოში საპენსიო ასაკი ძალიან მაღალია მამაკაცებისთვის. როდესაც ჩვენთან მამაკაცთა სიცოცხლის ხანგრძლივობა 68 წელს შეადგენს, შეფასებითი მაჩვენებლით კი – 65,7 წელს შეადგენს და პენსიაზე 65 წლის ასაკში გადის, სტატისტიკური გაანგარიშებით დაახლოებით მხოლოდ 7 თვე ცოცხლობს. რა გამოდის? ქალთა სიცოცხლის ხანგრძლივობა უფრო მაღალია, სამაგიეროდ პენსიაზე 5 წლით ადრე გადიან. ადრე რომ იყო საპენსიო ასაკი 55-59 წლამდე, ჩვენ ვიჩქარეთ ამის გადმოტანა ფინანსური კრიზისის გამო, მაგრამ ახლა ეს უნდა გამოსწორდეს. მამაკაცთათვის საპენსიო ასაკის დაწევა პრობლემა არ იქნებოდა. მოიძებნებოდა ბიუჯეტში ის თანხა, რომ მათთვის ადრე მიგვეცა პენსია.

***– საყოველთაო აღწერაზე რას გვეტყვით?***

– ამისათვის მოსახლეობა უნდა მომზადდეს. სიმართლე გითხრათ, არ დავინტერესებულვარ, როგორ აპირებს ამის გაკეთებას სტატისტიკის დეპარტამენტი. თუ 2002 წლის მსგავსად ჩატარდა, ჯობს საერთოდ არ ჩაატარონ. ტელეფონით რომ ეკითხებოდნენ, სად ცხოვრობ, როგორ ცხოვრობო. ზოგი ელიავაზე წავიდა და იქ გამოკითხა ჭიათურელი, ასე არ შეიძლება.

## შსს-მ 20 წლის მარიამ არაქელოვის მკვლელობის საქმე გახსნა

თბილისის მთავარი სამმართველოს დეტექტივების სამმართველოს თანამშრომლებმა, 1986 წელს დაბადებული სერგო მ. დააკავეს, რომელმაც 2013 წლის 1 თებერვალს, თბილისში, გ. ათონელის ქუჩაზე, ერთ-ერთი სახლის სადარბაზოს კიბის ქვეშ, ურთიერთშელაპარაკების დროს, გულმკერდის არეში დანით სასიკვდილოდ დაჭრა ამავე სახლში მცხოვრები, 1993 წელს დაბადებული მარიამ არაქელოვი. დაჭრილი ადგილზე გარდაიცვალა, რის შემდეგაც, სერგო მ-მ იმავე დანით სხეულზე თვითდაზიანებები მიიყენა.

სამინისტროს პრესსამსახურის ინფორმაციით, დაკავებული, თბილისის მაღალი სამედიცინო ტექნოლოგიების ცენტრის საუნივერსიტეტო კლინიკაში, პოლიციის დაცვის ქვეშ იმყოფება. მის სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება. სერგო მ. ჩადენილ დანაშაულს აღიარებს.

გამოძიებას თბილისის მთავარი სამმართველოს დეტექტივების სამმართველოს 1-ლი განყოფილება საქართველოს სსკ-ის 108-ე მუხლით (განზრახ მკვლელობა) აწარმოებს, რაც 7 დან 15 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

ნიუსპრესი

## გამოკითხულთა უმრავლესობა მიიჩნევს, რომ „ნაციონალურ მოძრაობას“ ხელისუფლების ვადამდე ჩანაცვლების რესურსი არ აქვს

საინფორმაციო სააგენტო „ნიუსპრესის“ მიერ ჩატარებული გამოკითხვის შედეგების თანახმად, გამოკითხულთა 71,4 პროცენტი მიიჩნევს, რომ „ნაციონალურ მოძრაობას“ ახალი ხელისუფლების არჩევნებამდე ჩანაცვლების რესურსი არ აქვს.

კითხვაზე – „აქვს თუ არა რესურსი „ნაციონალურ მოძრაობას“, რომ ახალი ხელისუფლება არჩევნებამე ჩაანაცვლოს“, გამოკითხვაში მონაწილეთა 71,4 პროცენტმა უარყოფითი პასუხი გასცა, 24,5 პროცენტს კი მიაჩნია, რომ „ნაციონალურ მოძრაობას“ ამის რესურსი გააჩნია.

დასმულ კითხვაზე პასუხის გაცემა, გამოკითხვაში მონაწილეთა 4,1 პროცენტს გაუჭირდა.

შეგახსენებთ, რომ ვანო მერაბიშვილის მიერ, გასულ კვირაში გაკეთებული განცხადების თანახმად, „ნაციონალური მოძრაობა“ ძალაუფლების ხელში აღებას არჩევნებამდე შეეცდება.

ნიუსპრესი

## ვანო მერაბიშვილი და ზურაბ ჭიაბერაშვილი დაკითხვაზე არიან დაბარებული



„ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ გენერალური მდივანი ვანო მერაბიშვილი და პრეზიდენტის რწმუნებული კახეთის მხარეში – ზურაბ ჭიაბერაშვილი, პროკურატურაში დაკითხვაზე არიან დაბარებული.

ინფორმაციას ამის შესახებ მთავარი პროკურატურის პრესსამსახური ავრცელებს.

„დასავლეთ საქართველოს საოლქო პროკურატურის საგამოძიებო ნაწილში მიმდინარეობს გამოძიება „სამუშაოს მაძიებელთა აღრიცხვის პროგრამასთან“ დაკავშირებით.

საქმე ეხება საქართველოს მთავრობის 2012 წლის 5 ივლისის დადგენილებით დამტკიცებულ პროგრამას, რომლის მიზანსაც წარმოადგენდა საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრებ სამუშაოს მაძიებელთა აღრიცხვა და მონაცემთა ბაზის შექმნა.

აღნიშნული პროგრამის ფარგლებში 2012 წლის ივლისიდან საქართველოს 25 ქალაქში ინტენსიურად მიმდინარეობდა დასაქმების აგენტების მიერ შესაბამისი კითხვარების შევსება და მონაცემების ელექტრონულ ბაზებში შეყვანა.



საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ინიციატივისა და საქართველოს მთავრობის 2012 წლის 5 ივლისის დადგენილების საფუძველზე, 2012 წლის 3 სექტემბერს სსიპ „სოციალური მომსახურების სააგენტომ“ გამოსცა ბრძანება, რომლის შესაბამისად ზემოხსენებული პროგრამის ფარგლებში, შტატგარეშედ, საქართველოს ყველა რეგიონში დამატებითი კონტრაქტები გაუფორმდა 21 837 პირს, რომლებსაც პროგრამის ფარგლებში უნდა შეესრულებინათ მოქალაქეთა დასაქმებასთან დაკავშირებული სააღრიცხვო სამუშაოები.

როგორც გამოძიებით გაირკვა, ზემოაღნიშნულ 21 837 პირს სოციალური მომსახურების სააგენტოს მხრიდან შესასრულებელი სამუშაოების ირგვლივ არავითარი ინფორმაცია და დავალება არ მიუღია, მათ არც რაიმე ტრენინგი ჩატარებიათ და არ გადასცემიათ კითხვარები, რომლებიც პროგრამის ფარგლებში უნდა შევსებულიყო.

მიუხედავად ამისა, 2012 წლის სექტემბრის ბოლოს ყველა მათგანს სს „ლიბერთი ბანკის“ შესაბამის ფილიალებში ხელფასის სახით 240 ლარი დაერიცხათ.

სულ კი, ამ პირებზე სახელმწიფო ბიუჯეტიდან გადარიცხულია 5 240 880 ლარი“ – ნათქვამია პროკურატურის განცხადებაში.

მათივე ინფორმაციით, გამოძიების ფარგლებში, ქვეყნის მასშტაბით, ანუ საქართველოს ყველა რეგიონში, მოწმის სახით დაიკითხა 2000-მდე პირი, რომელთა ჩვენებებით დადგინდა, რომ ზემოხსენებულ 21 837 მოქალაქეს, „სამუშაოს მაძიებელთა აღრიცხვის პროგრამის“ ფარგლებში არანაირი სამუშაო არ შეუსრულებიათ და რომ მათ თანხა მიიღეს პოლიტიკური გაერთიანება „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მხარდასაჭერად წარმოებული წინასაარჩევნო აქტიურობისათვის, რაც საქართველოს პრეზიდენტთან დაგეგმილ წინასაარჩევნო შეხვედრებში მონაწილეობის მიღებაში, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ პარტიული ბროშურების, ფლაერების და სიმბოლიკების დარიგებაში და პარტიული აგიტააციისა და პროპაგანდის განხორციელებაში გამოიხატებოდა.

„ვინაიდან, ზემოაღნიშნული თანხის გაცემა მოხდა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ინიციატივითა და საქართველოს მთავრობის დადგენილების საფუძველზე, ამდენად, გამოძიების მიერ მიღებულ იქნა გადაწყვეტილება საქართველოს შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის იმჟამინდელი მინისტრის ზურაბ ჭიაბერაშვილისა და საქართველოს იმჟამინდელი პრემიერ-მინისტრის ივანე მერაბიშვილის მოწმის სახით დაკითხვის შესახებ. ბატონები ზურაბ ჭიაბერაშვილი და ივანე მერაბიშვილი მოწმის სახით დასაკითხად გამოძახებულნი არიან დასავლეთ საქართველოს საოლქო პროკურატურაში 2012 წლის 13 თებერვალს დღის 12 საათზე (ზურაბ ჭიაბერაშვილი) და დღის 16 საათზე (ივანე მერაბიშვილი), რის შესახებაც უწყება უკვე დაეგზავნა შესაბამის ადრესატებს“ – აცხადებენ მთავარ პროკურატურაში.

ნიუსპრესი

# თენგიზ დიხამინჯია: „ნაციონალებს რესტავრაციის შანსი არ უნდა მივცეთ“

გულიკო ბალაძე

არ არის გამორიცხული, პარლამენტმა იმსჯელოს სააკაშვილის 5-წლიანი კონსტიტუციური ვადის გასვლასთან დაკავშირებით. ამის შესახებ პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარემ განაცხადა.

თუმცა დაგვიანებული ჯერ კიდევ არ არის და შეიძლება პარლამენტმა შეასრულოს თავისი ფუნქცია, ვადაგასული სააკაშვილის პრეზიდენტის პოსტიდან ჩამოშორებაში. ამის იმედს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარის **ეკა ბესელიას** პასუხი იძლევა, რომელი მან ჩვენთან საუბარში დააფიქსირა.



***— ქალბატონო ეკა, რატომ არ იმსჯელა პარლამენტმა სააკაშვილის პრეზიდენტობის 5-წლიანი ვადის გასვლასთან დაკავშირებით?***

— ეს საკითხი ჯერ კიდევ წინაა.

***— ე.ი. შეიძლება მომავალში იმსჯელოს?***

— დიახ. მე მიმაჩნია, რომ პარლამენტმა სააკაშვილის საპრეზიდენტო ვადის გასვლასთან დაკავშირებით უნდა იმსჯელოს.

პარლამენტში ამ საკითხზე აზრი რომ იყოფა, ამას პარლამენტის გარემოს დაცვის კომიტეტის თავმჯდომარის აზრი ადასტურებს, რომელიც 8 თებერვლის დაპირისპირებას წინასწარ დაგეგმილად მიიჩნევს.

— 8 თებერვლის აქცია იყო წინასწარ დაგეგმილი და კარგად მოფიქრებული დაწყებული სააკაშვილით და დამთავრებული უგულავათი. ყველას თავისი როლი ჰქონდა, — განაცხადა გია ცაგარეიშვილმა.

***— როლი იმისა, რომ შეხლა-შემოხლა და დაპირისპირება მომხდარიყო?***

**გია ცაგარეიშვილი:**

— დიახ და ეს ენახათ დიპლომატებს, რომლებიც ნაციონალებმა იქ მიატოვეს და გაიქცნენ. რა თქმა უნდა, დიპლომატებისთვის შეურაცხყოფა არავის მიუყენებია, მაგრამ ის ალიაქოთი და ხელოვნურად დადგმული სისხლიანი სპექტაკლი სჭირდებოდათ იმის სათქმელად. როგორი სუსტია ცენტრალური ხელისუფლება. თქვეს, ყაჩაღები გამოუშვეს და იქ დაგვახვედრესო.



ხომ მიხვდით, რატომ ეშინოდათ პოლიტდევნილებისა და პოლიტპატიმრების გამოშვებისა. ამ ადამიანებს ახლობლები დაუხოცეს და შეურაცხყვეს. შემდეგ, როცა მათ პროტესტი გამოხატეს, დაიჭირეს და დილეგებში ჩაყარეს. რთულია. ეს ჩვენი პრობლემაა. როცა მკვლელი დადის ქალაქში, ეს ძალიან მძიმე პრობლემაა. ამიტომ მკვლელი უნდა იყოს ციხეში და არა — ქალაქში.

***— ბატონო გიორგი, თქვენ ბრძანებთ, მკვლელი დადის ქუჩაშიო. სააკაშვილს გაუვიდა პრეზიდენტობის ვადა. პარლამენტმა რატომ არ განიხილა მისი ვადის გასვლასთან დაკავშირებით საკითხი?***

— კონსტიტუციური ჩანაწერია — ერთ პუნქტში წერია, რომ პრეზიდენტი ირჩევა ხუთი წლით, მეორე მუხლში წერია, რომ მას ვადა გასდის ოქტომბერში და ოქტომბერში ტარდება საპრეზიდენტო არჩევნები. ეს ძალიან შორს წაგვიყვანს.

***— პარლამენტს ემსჯელა და თუ მიიჩნევდა, რომ სააკაშვილი ოქტომბრამდე პრეზიდენტად უნდა დარჩეს, მაშინ ვადა „გაეგრძელებინათ“.***

— არა, არა.

***— მაშინ ვადის გასვლის გამო შეგეწყვიტათ მისთვის უფლებამოსილება და მოვა;ეობას პარლამენტის თავმჯდომარე შეასრულებდა.***

— ვერ შევუწყვეტთ. ჩვენს კონსტიტუციაში წერია. ამ კონსტიტუციის გადასინჯვას რა მოჰყვებოდა, თქვენ ხომ წარმოგიდგენიათ. კიდევ უფრო ტანჯულისა და ჩაგრულის პოზაში ჩადგებოდა სააკაშვილი.

***— მაშინ ხალხმა რატომ უნდა მოითმინოს ვადაგასული პირის პრეზიდენტის პოსტზე ყოფნა?***

— 6 თვე დარჩა, ქალბატონო.

6 თვე არც ისე ცოტა დროა. მით უმეტეს, რომ დროის ათვლა დაჩქარებულია იმ თვალსაზრისით, რომ ხალხი მოთმინებიდან გამოსულია. 9 წელი ითმენდა საზოგადოება სააკაშვილის შეურაცხყოფას და ეგონა 1 ოქტომბერს ყველაფერი დასრულდებოდა. აღმოჩნდა, რომ 1 ოქტომბერს პროცესი არ დასრულდა.

უზენაესი საბჭოს დეპუტატ თენგიზ დიხამინჯიას განცხადებით სააკაშვილი ცდილობს ნაციონალურ მოძრაობის რესტავრაცია მოახდინოს და პოლიტიკაში დარჩეს. მინიმუმ იმას მიაღწიოს, რასაც მიაღწია ედუარდ შევარდნაძემ.

თუმცა **თენგიზ დიხამინჯია** აუცილებლად მიიჩნევს მათ გასამართლებას.

— 8 თებერვალს ეს იყო უდიდესი საპროტესტო მუხტი, რომელიც გადმოიღვარა. პატიმრები, გაუბედურებული ხალხი, პოლიტპატიმრის სტატუსმინიჭებული, უკიდურესად უსამართლოდ დასჯილი და გაუბედურებული ხალხი პროტესტს გამოთქვამდა. კონცენტრირებული პროტესტი იყო, გამოხატული იმ ფორმით, რაც თანამედროვე ცივილიზებულ სამყაროში არ უნდა არსებობდეს. ამან სხვადასხვა მახინჯი გამოხატულება ჰპოვა, რასაც წინ უძღოდა ინსპირაცია, რამაც კონფლიქტი გამოიწვია მასშტაბებში. გიგი უგულავასა და ნაციონალური მოძრაობის სხვა დამქაშების თვალსაზრისი მიუღებელია. ასე გაგრძელდება, სანამ არ მოხდება ნაციონალური მოძრაობის საქმიანობის სამართლებრივი შეფასება, მხოლოდ პოლიტიკური საკმარისი არ არის, — განაცხადა მან.

***— უნდა გასამართლდეს?***

— რა თქმა უნდა. ოღონდ ობიექტურად, ყოველგვარი მიკერძოებისა და ტენდენციურობის გარეშე. თუ ეს არ გაკეთდა, პრობლემები ყოველთვის იარსებებს და 8 თებერვლისნაირ გამოვლინებებს ყოველთვის ექნება ადგილი. სანამ საპროტესტო მასა, ხალხი არ დარწმუნდება იმაში, რომ აღმასრულებელი ხელისუფლება, პროკურატურა, იუსტიციის სამინისტრო და, საერთოდ, მთავრობა, არ იქნება სამართლიანობის აღდგენის გარანტი, მანამდე ასეთ ექსცესებს და დაუკმაყოფილებლობას, გადაჭარბებულ გამოხა-

გაგრძელება მე-10 გვერდზე

# ზაზა გაბუნია: „ნაცმოძრაობის სატელიტის იარლიყმა ქდმ ძალიან დააზარალა“

როლანდ ხოჯანაშვილი
„ახალი თაობის“ იმერეთის ბიურო

**‚ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა“ ერთ-ერთმა გამორჩეულმა სახემ დატოვა. ზაზა გაბუნია თვლის, რომ აღნიშნული პოლიტიკური გუნდიდან შიდასაორგანიზაციო საკითხების გამო წავიდა, თუმცა ცივილიზებული ფორმით. „ახალ თაობასთან“ საუბრისას მან წარსულ პოლიტიკურ საქმიანობაში შეცდომები ვერ დაინახა და მომავალშიც ფრთხილად გააგრძელებს საქმიანობას.**



***— ბატონო ზაზა, თქვენ დატოვეთ ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა. რა არის ამის მიზეზი?***

— ურთიერთობები პოლიტიკაში, ისევე როგორც ყოფით ცხოვრებაში, ეფუძნება გარკვეულ შეთანხმებებს, საერთო ამოცანებს. სრულიად შესაძლებელია, რომ ეს ამოცანები შენგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო შეიცვალოს და მაშინ ბუნებრივად დგება დღის წესრიგში ურთიერთობების დასრულების თემა. მე 4 წლის მანძილზე ქდმ-ს სახელით აქტიურად ვიბრძოდი ,,ნაცმოძრაობის“ წინააღმდეგ პოლიტიკური მეთოდებით. შეიძლება ითქვას, საკრებულოს ,,ქრისტიან-დემოკრატიული“ ფრთა ვიყავით ყველაზე რადიკალური სააკაშვილის რეჟიმის, დედაქალაქში უგულავას მმართველობის წინააღმდეგი, ამ ბრძოლას ბოლომდე სჭირდება მიყვანა. ამასთან იყო შიდა საორგანიზაციო უკმაყოფილება რიგ საკითხებზე. ამიტომ ჩვენ სრულიად ცივილიზებულად და მეგობრულად დავშორდით, რადგან განსხვავებული შეხედულებები შესაძლებელია მეგობრებშიც იყოს და ცივილიზებულ საზოგადოებაში ეს არ შეიძლება დაპირისპირების საგანი გახდეს.

***— თქვენ ადრეც შეიცვალეთ პარტია, დღევანდელი გადასახედიდან კ. გამსახურდიას პარტიის დატოვება ან მასში გაწევრიანება შეცდომა იყო?***

— კარგია, რომ მეძლევა საშუალება ამ თემასთან დაკავშირებით ნათელი მოვფინო მოვლენებს. შამწუხაროდ, ვრცელდება სრულიად არასწორი ინფორმაცია. მე არასდროს ვყოფილვარ კ. გამსახურდიას პარტიის წევრი. 2007 წლის მოვლენების დროს ვიყავი გაერთიანებული ოპოზიციის გაერთიანებული ახალგაზრდული ორგანიზაციების ლიდერი და ამ მოძრაობამ ძალიან ბევრი გააკეთა ,,ნაციონალური მოძრაობის“ წინააღმდეგ გამართული ნოემბრის აქციების დროს ხალხის მობილიზაციისთვის. ჩემი ამ სტატუსის გამო სიმბოლურად უნდა ვყოფილიყავი რომელიმე პარტიის წევრი. ამიტომ ვითვლებოდი პარტია ,,თავისუფლების“ წევრად. ისევე, როგორც, მაგალითად ლევან გაჩეჩილაძე იყო საპრეზიდენტო კანდიდატი სწორედ კ. გამსახურდიას პარტიიდან, თუმცა არასდროს ყოფილა ამ პარტიის წევრი. ასე, რომ პარტიული თალსაზრისით ერთადერთი პარტიის, ,,ქრისტიან-დემოკრატებშის“ წევრი ვიყავი.

***—ამქვეყნად შეუმცდარი არავინაა, როგორც პოლიტიკური პირის, ზაზა გაბუნიას პოლიტიკური შეცდომა რა იყო?***

— ჩემი პოლიტიკური კარიერა 2006 წლიდან იწყება. მაშინ მე და ჩემმა მეგობრებმა ფერიის მთაზე ეკლესიის დანგრევის ფაქტი ძალიან ხმამაღლა გავაპროტესტეთ. მერე იყო 2007 წელი, გაერთიანებული ოპოზიცია და შეურიგებელი ბძოლა სააკაშვილის წინააღმდეგ. შემდეგ დედაქალაქის საკრებულოში ჩვენი თანამოქალაქეების ინტერესებისათვის ისევ ,,ნაცმოძრაობის“ წინააღმდეგ პოლიტიკური ბრძოლა. ამ პროცესში არასდროს ვმდგარვარ ზურგით ადამიანისკენ, არასდროს უგულებელმიყვია მოქალაქის ინტერესი და ამასვე ვუსახავ გეგმად საკუთარ თავს მომავალშიც. თუ ეს არ გამომივა, ეს იქნება, რასაც ჩემს შეცდომად ჩავთვლი.

***— თქვენი აზრით, ქრისტიან-დემოკრატების მთვარი ღირსება და ნაკლი რა არის?***

— ამ მოძრაობაში გიორგი თარგამაძით დაწყებული, ლევან ვეფხვაძით, მაგდა ანიკაშვილით, ნიკა ლალიაშვილითა და გიორგი ახვლედიანით გაგრძელებული მუშაობენ ძალიან ერუდირებული და კვალიფიციური ადამიანები, რომელთაც უყვართ თავიანთი სამშობლო. ეს უეჭველი მოცემულობაა და მათი ღირსებაც ეს გახლავთ. ნაკლი კი ის არის, რომ რიგი სუბიექტური და ობიექტური მიზეზების გამო ამ პარტიას და მის წევრებს მუდმივად თავის მართლების პოზიციაში ყოფნა უწევთ გარკვეულ საკითხებთან დაკავშირებით, რაც არასდროს მომწონდა.

***— მახსენდება ის, რომ ქრისტიან-დემოკრატებს ადანაშაულებდნენ ,,ნაცმოძრაობასთან“ ალიანსში, მაგალითი შემიძლია დაგისახელოთ რეალურადაც: ჭიათურის №56 საარჩევნო ოლქის ერთ-ერთი საარჩევნო უბნის კომისიის წევრი ქრისტიან-დემოკრატების წარმომადგენელი ,,ნაცმოს“ აქტივისტი იყო, ხოლო დამკვირვებელი—ნაციონალების ინტერესების გამტარებელი. რას გვეტყოდით ამაზე?***

— ცხადია, ასეთი ფაქტების შესახებ მეც მსმენია. ნარატივმა ქდმ-ს ნაცმოძრაობის სატელიტობის შესახებ ძალიან დააზარალა პარტია და ამის შედეგი იყო ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებზე მიღებული რეზულტატი.

# მაღაროელები ისევ გაიფიცნენ

როლანდ ხოჯანაშვილი
„ახალი თაობის“ იმერეთის ბიურო

ჭიათურის მუნიციპალიტეტის მთავარი სიმდიდრე, მანგანუმის საბადოები, კვლავ რჩება საჯილდაო ქვად. ახალი ხელისუფლების მოსვლისთანავე 3700-მდე მაღაროელი გამოვიდა დაბალი ხელფასების გასაპროტესტებლად. თუმცა მათი პროტესტის საგანი მხოლოდ დაბალი ხელფასები არ ყოფილა. როგორც მაღაროელები თამამად აცხადებდნენ, ის ულუფა, რომელიც მათ ეწოდებოდათ, იყო არასრულფასოვანი და საკვებად უვარგისი. მოუსინჯავთ და მაღაროელის ,,პაიოკი“ მიუწოდებიათ ძაღლისთვის თუ კატისთვის, რომელმაც არ შეჭამა (ცხოველმაც დაიწუნა), ასევე ჩიოდნენ საშხაპეების მოუწყობლობასა და არაჰიგიენურობაზე, წინასაარჩევნოდ არსებობდა ორი სახელფასო უწყისი, რომელიც ერთსა და იმავე თვეს იწერებოდა, ერთში რეალურად ასაღები ხელფასი იყო აღრიცხული, ხოლო მეორეში ორჯერ მეტი იყო ასახული, ამან გამოიწვია დიდი უკმაყოფილება და ეჭვები მაღაროელებში.

სამთოელები აცხადებდნენ, რომ არ უპირისპირდებოდნენ ახალ ხელისუფლებას და იმედოვნებდნენ, რომ ბიძინა ივანიშვილის მთავრობა გაარკვევდა პრობლემებს და სოციალურ პრობლემებს მოუგვარებდა. ,,ჯორჯიანმანგანეზის“ საქმიანობასთან დაკავშირებით ბევრი ბუნდოვანი საკითხია. როგორც ,,ახალ თაობასთან“ საუბარში ჭიათურის მაჟორიტარმა დეპუტატმა მალხაზ წერეთელმა განაცხადა, მას ხელი არ მიუწვდა იმ ხელშეკრულებაზე, რომელიც, წესით, უნდა არსებობდეს მწარმოებელ ფირმასა და სახელმწიფოს შორის.

უმრავლესობის წევრი თინათინ ხიდაშელი სიტუაციის გასარკვევად ჭიათურელ მაღაროელებს ეახლა და მათთან სცადა მოლაპარაკება ისეთი ფორმითა და შინაარსით, რომელიც მისაღები იქნებოდა მაღაროელებისა და ,,ჯორჯიან მანგანეზისათვისაც“. თავდაპირველად თ. ხიდაშელმა 25%-იანი სახელფასო ზრდის წინადადება შესთავაზა სამთოელებს, რამაც ჭიათურლების გაღიზიანება გამოიწვია, რადგან გაფიცულები 100%-იანი ხელფასების ზრდას მაინც ითხოვდნენ სოციალურ-ჰიგიენური და გასტრონომიული საკითხების მოგვარების პარალელურად.

საბოლოოდ 30%-ზე ოდნავ მეტი სახელფასო ზრდა დაიწყო, მუშა-მოსამსახურეებს დაჰპირდნენ, რომ მალე სახელმწიფო კომისია ყველაფერს გამოიკვლევდა და განუხრელად მოხდებოდა მაღაროელთა მოთხოვნების გათვალისწინება.

ასე თუ ისე მოკლე ხანში მოხდა ხელფასების მატებასთან ერთად მაღაროელთა სამედიცინო დაზღვევა, თუმცა ეს დაზღვევა რამდენადმე დაუზღვევლობის ტოლფასიც იყო, რადგან მზღვეველი სამთოელების მომსახურებას ზესტაფონში სთავაზობდა და არა ჭიათურაში (ჭიათურაში ძველი საავადმყოფოები დახურულია და სანაცვლოდ ექსპლოატაციაშია ,,ჯეოჰოსპიტალსის“ კლინიკა, რომელიც 30-მდე პაციენტს თუ მოემსახურება), გაუმჯობესდა სანიტარული და კვების საკითხიც, თუმცა მუშები თვლიან, რომ ,,ჯორჯიანმანგანეზი“ ძალიან დიდ მოგებას ნახულობს და არ ითვალისწინებს იმ მძიმე სოციალურ და მატერიალურ ფონს, რომელიც გაბატონებულია სამთოელთა ქალაქში. როგორც არაოფიციალური მონაცემები გვატყობინებს, ქალაქში არსებული მძიმე ეკოლოგიური მდგომარეობის გამო სიმსივნური დაავადებების ძალიან დიდი მაჩვენებელია (დაახლოებით 2500 ადამიანი).

ვის ეკუთვნის სინამდვილეში ,,ჯორჯიანმანგანეზი“, ახლაც დიდი კითხვის ნიშნის მიღმაა პასუხი. მის მფლობელობაში ირიბად ,,ადანაშაულებენ“ პრეზიდენტის მეუღლეს, ბეჟუაშვილებს და არაერთ ყოფილ ხელისუფალს, თუმცა სინამდვილე დადასტურებით არავინ იცის. ე.წ. ,,ტრესტში“ დასაქმებული ადმინისტრაციული რესურსი ან მედიასთან ურთიერთობას არიდებს თავს, ან კიდევ საერთოდ ,,ჯორჯიანმანგანეზის“ უმაღლეს ეშელონისკენ გაიშვერენ მისათითებელ თითს.

12 თებერვალს სამთოელთა ქალაქში კვლავ დაიწყო გაფიცვა. როგორც ჩვენთვის ცნობილი გახდა, მოსალოდნელ შემცირებაზე დაიწყეს საუბარი და მაღაროს ადმინისტრაციულ რესურსს დაუწყეს შეკვეცა. ამ დროისათვის 32 საშტატო ერთეულია შესამცირებელთა სიაში და ამავდროულად აღშფოთებას იწვევს საშვებულებო პერიოდის შემცირება 45 დღიდან 39 დღემდე(წყარო ,,ჯორჯიანმანგანეზის“ თანამშრომელი ზურაბ ჯანიაშვილი).

მაღაროელები ამით პრევენციულ ღონისძიებას მართავენ. ჭორის დონეზე გამოვიდა ინფორმაცია, რომ იგეგმება 1200 (ანუ მესამედი სამთოელების) შემცირება და წინასწარ იზღვევენ თავს მოსალოდნელი უსიამოვნებებისგან. ადმინისტრაციული რესურსების შემცირებას ნაკლებად რომ იღელვებდნენ სამთოელები, ამის დადასტურება იმითაც ადვილია, რომ მუშები ადმინისტრაციის წევრების დიდ რაოდენობას ყოველთვის ბალასტად აღიქვამდნენ.

# „50 წიგნი, რომელიც უნდა წაიკითხო, სანამ ცოცხალი ხარ“ გრძელდება

დასაწყისი მე-12 გვერდზე

მეორე, წიგნების რაოდენობის გაზრდა 100-მდე. ამასთან, პროექტის „50 წიგნი, რომელიც უნდა წაიკითხო სანამ ცოცხალი ხარ“ 50-ე ტომი გუშინ გამოვიდა, – განაცხადა პროექტის კურატორმა მარიკა დარჩიამ.

ახალი პროექტის პრეზენტაციაზე დარიგდა სანიშნეები და დიდი მხატვრების ნამუშევრებით გაფორმებული კალენდრები. მაღაზია „ბიბლუსთან“ კი ამ პროექტის ეგიდით გამოცემული წიგნების შეძენის მსურველთა დიდი რიგი იდგა.

– ეს პროექტი წიგნების გაზრდილი რაოდენობით განახლდა. წიგნების სერიის გამოცემა წიგნის მოყვარულებმა უკვე შეაფასეს საუკუნის პროექტად, რაც ჩვენთვის დიდი პატივია. პირველი ეტაპის დასასრულისა და მეორე ეტაპის დასაწყისისთვის, „პალიტრა ელმა“ საპატრიარქოსა და მკითხველების პოზიციის გათვალისწინებით, მთავარ წიგნად ბიბლიის გამოცემა შეარჩია, რომელიც უახლოეს ხანში გაიყიდება. მომავალში გამოსაცემი წიგნების შერჩევაც მოხდება მკითხველის აზრის გათვალისწინებით და სხვადასხვა სახის გამოკითხვების მეშვეობით ყველას შეეძლება, გამომცემლობას ხმა მიაწვდინოს. საბოლოოდ ჩვენ გადავწყვიტეთ, რომ წიგნების რაოდენობა 100-მდე გაგვეზარდა. წიგნები გამოიცემა გაზეთ „კვირის პალიტრასთან“ ერთად, გარდა ამისა, მათი შეძენა შესაძლებელია წიგნის მაღაზიათა ქსელ „ბიბლუსში“, – ითქვა პრეზენტაციაზე.

პროექტის პრეზენტაციას საზოგადოებისთვის ცნობილი პირები, მხატვრები, მწერლები, სასულიერო პირები და წიგნის მოყვარულები ესწრებოდნენ.

**მარიკა დარჩია, პროექტის კურატორი:**

– დიდი ინტერესია მკითხველის მხრიდან და ამიტომაც გადავწყვიტეთ გაგვეგრძელებინა ეს პროექტი. იმიტომ გრძელდება, რომ მოთხოვნაა ასეთი. ყველანაირი გამოკითხვით, ყველაზე მოთხოვნადი წიგნები აღმოჩნდა. ესეც მოთხოვნა იყო საზოგადოების, რომ არ ჩავტეულიყავით ამ 50 წიგნში და რომ გამოცემული ყოფილიყო ბიბლია და რომ გაგრძელებულიყო. ბიბლია შევიდა როგორც ცალკე, ყველაზე მთავარი წიგნი და შემდეგ უკვე გაგრძელდება პლუს 49, რომელიც უნდა წაიკითხო, სანამ ცოცხალი ხარ. ახლა გაყიდვაშია 50-ე ტომი და უკვე გამოცემულია შემდეგი ტომი, რომელიც არის ერიხ მარია რემარკის „ჟამი სიცოცხლისა და ჟამი სიკვდილისა“. შემდეგ უკვე იმ ბარათებით, რომლებიც შეივსება და გამოკითხვით სიმრავლეში ავა, განისაზღვრება რომელი წიგნები შევა დანარჩენ ტომებში და ეს ყველაფერი თქვენი არჩეული იქნება. არავინ შემედავება თუ ვიტყვი, რომ ბიბლია არის ყველაზე მთავარი წიგნი, რომელიც უნდა წაიკითხო, სანამ ცოცხალი ხარ. ჩვენ ასევე ვმუშაობთ შემოსულ წერილებზე, შევსებულ კითხვარებზე, ვითვალისწინებთ საზოგადოების აზრს, მათ მოთხოვნებს, ასევე ვმუშაობთ, რომ მოვიპოვოთ უფლებები, მოვამზადოთ ტექსტები, ვთარგმნოთ უცხო ენიდან, გავაკეთოთ ახალი დიზაინი, რომ თქვენ ისევ კმაყოფილები იყოთ, რომ გამოგვყვეთ და შევავსოთ თქვენი ბიბლიოთეკა ამ დიდებული 100 წიგნით.

**მანანა გედევანიშვილი:**

– ალბათ ბევრი ლაპარაკი არ უნდა იმას, რომ წიგნს დიდი მნიშვნელობა აქვს. ამ პროექტით ძალიან დიდი საქმე კეთდება. მივესალმები ყველა იმ პროექტს, რომელსაც დიდი საქმის გაკეთება შეუძლია. ძალიან მიხარია, რომ პროექტი გრძელდება და მჯერა, რომ დანარჩენი წიგნებიც არანაკლებად საინტერესო და მნიშვნელოვანი იქნება. რაც უფრო მეტი გამომცემლობა მოკიდებს ხელს წიგნების გამოცემას, მით უფრო კარგი იქნება. გილოცავთ ამ პროექტის გაგრძელებას და მიხარია, რომ ადამიანებს უყვართ წიგნის კითხვა.

**თეა ადეიშვილი:**

– ჩვენ საკმაოდ დიდი ბიბლიოთეკა გვაქვს და ამ წიგნების სერიაში გამოცემული წიგნების უმეტესობა გვაქვს,



მაგრამ იმდენად ლამაზია ამ პროექტში შემავალი წიგნები, რომ გადავწყვიტე, თავიდან შევაგროვო. არავის უნდა დაავიწყდეს, რომ წიგნის გარეშე არ ვართ და არ ვარსებობთ. აუცილებლად უნდა ვიკითხოთ და არ დაგვავიწყდეს, რომ კომპიუტერი ვერასოდეს ჩაანაცვლებს ჩვენი სამყაროს ისტორიას, ამიტომ მადლობა ამ პროექტის ინიციატორებს, რომლებიც აგრძელებენ საინტერესო წიგნების გამოცემას და ნებისმიერ მსურველს ექნება საშუალება თავისი ბიბლიოთეკა 100 საუკეთესო წიგნით გაამდიდროს.

**მამა გურამი (გურამიშვილი):**

– ღმერთმა დაგლოცოთ, ნამდვილად დიდებული დღეა. ჩვენ ვიცით, რომ წიგნები უმთავრესი რამ არის ამ ცხოვრებაში, მისი უწმინდესობა ყოველთვის გვაფრთხილებს თავის წირვა-ლოცვებში, გვესაუბრება, რომ მეტი წიგნები ვიკითხოთ. რა თქმა უნდა, კარგია კომპიუტერი, კარგია თანამედროვე ტექნოლოგია, მაგრამ წიგნიერება უმთავრესია. წიგნიერებით მოვედით და წიგნიერებით უნდა გავაგრძელოთ ჩვენი ცხოვრება. მით უმეტეს, როცა საუბარია იმ წიგნებზე, რომლებიც აუცილებლად უნდა წავიკითხოთ, სანამ ცოცხლები ვართ. ეს წიგნები არა მარტო ჩვენ, არამედ მომავალ თაობებსაც უნდა წავაკითხოთ და მივცეთ მაგალითი იმისა, რომ წიგნიერება და წიგნი აუცილებელია. მით უმეტეს, ჩვენ ვიცით, რომ ამ ყველაფრის გვირგვინი არის ბიბლია, ბიბლია არის მართლაც პირველი და მას დიდი წარდგენა არ სჭირდება, ბიბლია არის საყრდენი იმ ყველაფრისა, რაზეც ჩვენ ვსაუბრობთ და ვეცნობით. განსაკუთრებით მოხარული ვართ, რომ ეს პროექტი დაიწყო და ასეთივე წარმატებით გრძელდება. კიდევ 49 წიგნი გამოვა და ეს საბოლოოდ იქნება ასეული ამ წიგნებისა, რომლებიც ყველაზე საინტერესო და მნიშვნელოვანია. თუკი თაობა იქნება წიგნიერი, ერი იქნება ბედნიერი. თუკი გვინდა წარმატებულები ვიყოთ, უნდა ვიყოთ წიგნიერები და მომავალი თაობებიც ჩვენ მოგვბაძავენ. ღმერთმა დალოცოს ამ პროექტის ორგანიზატორები და ღმერთმა ბევრი ასეთი სასიკეთო პროექტი გაგასრულებინოთ.

**გია გუგუშვილი:**

– ჩემი აღფრთოვანება მხოლოდ დღეს არ არის გამოხატული. როცა ამ პროექტის გაგრძელების ამბავი გავიგე, გადავწყვიტე პირდაპირ შემოვერთებოდი ამ სასიხარულო ამბავს. ყველას გისურვებთ ამ წიგნების რიგში დიდხანს დგომას. ჩემი თაობის ადამიანს რიგში დგომა არ გაუკვირდება, მაგრამ წიგნების რიგში დგომა ძალიან მსიამოვნებს და მიკვირს კიდეც. წარმატებებს გისურვებთ ყველას და წიგნიერ საქართველოში ცხოვრებას გისურვებთ.

ეკა ირემაშვილი

# კონსერვატორიაში ვოკალური მუსიკის საღამო გაიმართება

ეკა ირემაშვილი

მას შემდეგ, რაც თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში რადიკალური ცვლილებები განხორციელდა და თეატრს ახალი მმართველი ჰყავს, შემოქმედებითი ჯგუფი – სოლისტები და სიმფონიური ორკესტრი, მაინც აქტიურად განაგრძობს მუშაობას და კონცერტებს ატარებს.

თეატრის მმართველად გიორგი ჟორდანიას დანიშვნის შემდეგ, დასი კვლავ ჩვეულ რიტმს დაუბრუნდა, ვნებათაღელვა დაცხრა, სოლისტები და ორკესტრის წევრები გიორგი ჟორდანიასაც შეხვდნენ, სამომავლო გეგმებზეც ისაუბრეს და გადაწყდა, რომ ჯანლუკა მარჩიანო კვლავ დარჩება საქართველოში და თავის საქმეს გააგრძელებს.

13 თებერვალს თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის სოლისტები და სიმფონიური ორკესტრი თბილისის კონსერვატორიის დიდ დარბაზში ვოკალური მუსიკის კონცერტს გამართავენ.

როგორც ოპერის წარმომადგენელი ზურაბ ოიკაშვილი აღნიშნავს, ამჯერად სცენა დაეთმობათ ლიანა კალმახელიძეს, მიშელინა ქობალიანს, ნინო ჩაჩუას, თეა დემურიშვილს, ნატალია ვოლჩენკოს, გიორგი მახარაძეს, ბესიკ გაბიტაშვილს, ნიკოლოზ ლაგვილავას, გოჩა დათუსან-ჯილაურს, კახაბერ თეთვაძეს. კონცერტის პროგრამა მრავალფეროვანია და შესრულდება არიები და სცენები როსინის, ვერდის, მასკანის, სენ-სანსის, რახმანინოვის ოპერებიდან. მომღერლებს პარტნიორობას გაუწევს თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის სიმფონიური ორკესტრი, რომელსაც წარუძღვება დირიჟორი ჯანლუკა მარჩანო.

თბილისის კონსერვატორიის დიდი დარბაზში უკვე გაიმართა კლასიკური მუსიკის კონცერტი „დივერტისმენტი“, რომელიც მიეძღვნა კონკურსის „ევროკავშირის პრიზი ჟურნალისტიკაში“ დაჯილდოების ცერემონიალს. კონცერტში მონაწილეობა მიიღეს ნანა დიმიტრიადმა (ფორტეპიანო), სულხან ცინცაძის სახელობის სახელმწიფო სიმებიანმა კვარტეტმა კონსტანტინე ვარდელის (I ვიოლინო), თამაზ ბათიაშვილის (II ვიოლინო), ნოდარ ჟვანიასა (ალტი) და ოთარ ჩუბინიშვილის (ჩელო) შემადგენლობით. საკონცერტო პროგრამის ფარგლებში შესრულდა დვორჟაკის იუმორესკა, კერნის „ბინდი ეფინება შენს თვალებს“, ცინცაძის ორი მინიატურა: „სისატურა“ და „სულიკო“, ჩაპლინის მუსიკალური ფრაგმენტები ფილმიდან „დიდი ქალაქის ჩირაღდნები“, როტას მუსიკალური ფრაგმენტები იტალიური ფილმებიდან, გერშვინის პოპური, ლეგრანის მუსიკა ფილმიდან „შერბურის ქოლგები“, ჰაიდნის სერენადა, ბოკის „ანატევკა“, ფრაგმენტი მიუზიკლიდან „მევიოლინე სახურავზე“ და პიაცოლას ტანგო.



## გიორგი ივანეს ძე ფხაკაძის მემკვიდრეთა საყურადღებოდ!

24.03.2009 წ.-ს გარდაცვლილი გიორგი ივანეს ძე ფხაკაძის (დაბადებული 25.07.1918 წ.) სამემკვიდრეო საქმე იწარმოება ნოტარიუს ოთარ ზოიძის სანოტარო ბიუროში. დაინტერესებულმა პირებმა 2013 წლის 10 მარტამდე მიმართეთ ნოტარიუს ოთარ ზოიძეს (თბილისი, მარჯანიშვილის ქ.№21, მე-4 სართული).

## SMS-განცხადებები - 3090

● ცენტრალური გათბობა უმოკლეს დროში (2-3 დღე)! საუკეთესო ფირმების („ბოშისა“ და „არისტონის“) ქვაბებით, საუკეთესო მასალით, გარანტიითა და ოპტიმალური ფასებით – მაღაზიისა და ბაზრის პრეისკურანტებით. ტელ: 595-67-82-62, 267-82-62 – ემზარ ამნიაშვილი.

## განცხადებები

● **კოსმეტოლოგი ლამარა თოდუა თავის მრავალწლიანი გამოცდილებით და მამა-პაპური გამოცდილების მცენარეული რეცეპტურით კანის უამრავ დაავადებას არჩენს.** სახის კანის გაწმენდა ხდება ახალი და ძველი რეცეპტურით. მყავს ათასობით მადლიერი პაციენტები. ვარჩენ გამონაყარს, მეჭეჭებს, დამწვრობას, სებორეას, ჰაიმორიტ-ფრონტიტს, თმის ცვენას, ქერტლს, ერთი პროცედურით ვაშორებ ტილებს. ვარჩენ სოკოს, ქავილს, ჩაბრუნებულ ფრჩხილებს, მაზოლებს, ძირმაგარებს, ნაიარევს. ახალნამშობიარებ დედებს მოვურჩენ მასტიტს, გამაგრებას. ნებისმიერი კანისთვის ვამზადებ მკვებავ და დამცავ კრემებს. მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ.№166, №10 კორპუსის წინ და №1 კორპუსის უკან. 230 62 52; 599 16 10 82.

● ქირავდება ვაკის პარკთან მე-3(5) სართულზე,3-ოთახიანი გარემონტებული ბინა, მოწესრიგებული სადარბაზო, საკაბელო, ინტერნეტი, 2 ტელეფონი, 2 კარმა, იტალიური სანტექნიკით, სარეცხი მანქანით, ბოშის დიდი მაცივრით გადიდებულ სამზარეულოში, კონდენციონერით, 2 აივნით, ლოჯიით, 115 კვ.მ. თამარაშვილის 5, გამოდგება საოფისედაც. ფასი 680 დოლარი, ტელ: 577-402-407.

● ძლიერ დაქვეითებული სმენის, ნევრიტის, ოტიტის, ოსტეოქონდროზის, პროსტატიტის, ცისტიტის, ხშირი შარდვის, წითელი ქარის და სხვა დაავადებების განკურნება უმოკლეს დროში ბიოენერგოინფორმაციული მასაჟის უნიკალური მეთოდით, ასაკის მიუხედავად, არასკეპტიკოსებისთვის. მიღება შეზღუდულია წინასწარი ჩაწერით. ტრადიციული სამედიცინო საქმიანობის მართვის ცენტრთან არსებული საზოგადოების წევრი, სერთიფიცირებული დამსახურებული სახალხო მკურნალი ლევან სეხნიაშვილი. ტელ: 599-978-546; 551-254-535.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი ენურიზი ბავშვებში და მოზრდილებში) მკურნალობა უნიკალური მცენარეული პრეპარატებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-25-44-14 ან 234-02-38 ექიმი ქ-ნი მზია.

● ალკოჰოლიზმისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, შიშების, უძილობის, დეპრესიის მკურნალობა, ორგანიზმის გაწმენდა მცენარეული პროდუქციით, შედეგები 100%-იანია. ტელ: 599-25-44-14; 599-25-44-14 ექიმი ქ-ნი მზია.

● მამაკაცებისათვის: იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, უნებლიე შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი შარდვისას. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგებით. ტელ: 558-96-89-15; 234-02-38 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება, ღვიძლის ფუნქციის აღდგენა. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-96-89-15; 234-02-38 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● კუჭ-ნაწლავის პრობლემების: გასტრიტი (მწვ. და ქრო.), კოლიტი, ენტერიტი, ყაბზობა, დისბაქტერიოზი. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. ორგანიზმის გაწმენდა, იმუნიტეტის გაძლიერება. 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-96-44-94; 234-02-38 ექიმი ქ-ნი სალომე.

● ძვალსახსართა პრობლემის მკურნალობა – ოსტეოპოროზი, ართრიტები, კოქსართროზი, დაზიანებული ხრტილის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 234-02-38; 558-15-63-33 ექიმი ქ-ნი ნინო.

● ცხადდება მიღება მასაჟისა და კოსმეტოლოგიის კურსებზე, დამთავრების შემდეგ გაიცემა სერთიფიკატი. ხელმძღვანელი ექიმი გულიკო ჩიკვილაძე. ტელ: 2-96-67-03; 595-35-64-13.

## ფოთისა და ხობის მიტროპოლიტ გრიგოლის კურთხევით 2009 წლის ივლისიდან მიმდინარეობს ხობის მონასტრის უძველესი ტაძრის სარესტავრაციო–აღდგენითი სამუშაოები

თუ გსურთ, მიიღოთ მონაწილეობა მიმდინარე სამუშაოების განხორციელებაში, დარეკეთ ყველა მობილური ოპერატორიდან და ქალაქის ფიქსირებული ქსელებიდან ნომერზე: 0-901-900-900.

ზარის ღირებულება - 1 ლარი.

იცხოვრეთ მომავალისთვის.
უფალი გფარავდეთ ყველგან და ყოველთვის.




**საბანკო რეკვიზიტები:**

ფოთისა და ხობის ეპარქია, ს/ნ 215 090 425
ხობი, სოფ.ნოჯიხევი
ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტერი.
ს.ს. „ლიბერთი ბანკის“ ხობის ფილიალი
ბ/კ: LBRTGE22
ანგ. N GE28LB 0122 1802 48686 000



თანხის ჩასარიცხად შეგიძლიათ გამოიყენოთ სწრაფი გადახდის აპარატები: იხილეთ მენიუში — სხვადასხვა — საქველმოქმედო — ხობის მონასტერი.

ხობის ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტრის წინამძღვარი იღუმენია ანა (მუსელიანი)

# რონალდუ მანჩესტერის წინააღმდეგ მეორედ ითამაშებს



ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალურ წყვილებს შორის ყველაზე დიდ ინტერესს მადრიდის „რეალისა“ და „მანჩესტერის“ ჯახი იწვევს. ასევე ყურადღების ცენტრშია მადრიდელთა შემტევი კრიშტიანუ რონალდუ, რომელიც ყოფილი გუნდის წინააღმდეგ წამოსვლის შემდეგ პირველად ითამაშებს. თუმცა, პორტუგალიელს ერთხელ უკვე აქვს ნათამაშები „წითელი ეშმაკების“ წინააღმდეგ, როდესაც „სპორტინგში“ ასპარეზობდა. სწორედ მაშინ მოეწონა რონალდუ სერ ალექს ფერგიუსონს და „მანჩესტერში“ გადაიბირა.

რონალდუ მეოთხე ფეხბურთელია, რომელიც „მანჩესტერიდან“ აღმოჩნდა მადრიდულ კლუბში. ამ ოთხ ფეხბურთელში კი ინგლისელებმა 160 მილიონი ევრო იშოვეს.

ბექჰემი, ნისტელროი, ჰაინცე, რონალდუ...

**დევიდ ბექჰემი:** 11 სეზონი „იუნაიტედში, 4 სეზონი „რეალში“ – 35 მილიონი.

დევიდ ბექჰემმა 11 არნახული სეზონი გაატარა მანჩესტერ „იუნაიტედში, გაიზარდა როგორც ფეხბურთელი და თავისი სახელი კლუბის ისტორიაში ჩაწერა. „იუნაიტედში“ მან 494 მატჩი ჩაატარა და 85 გოლი გაიტანა.

დადგა დრო, როდესაც დევიდმა ამოწურა თავისი შესაძლებლობები მანჩესტერში, ამას დაემატა მცირე კონფლიქტი ფერგიუსონთან და შოტლანდიელმა სპეციალისტმა იგი ტრანსფერზე დააყენა. ინგლისელ ფეხბურთელს შეთავაზება როგორც „რეალიდან“, ასევე „ბარსელონადან“ ჰქონდა, მაგრამ დევიდმა პარტნიორებად ფიგუ, ზიდანი, რონალდო და რაული აირჩია.

2003 წლის ზაფხულში „სამეფო კლუბმა“ იგი 35 მილიონ ევროდ შეიძინა. ბექჰემი იყო, პერესის „გალაქტიკოს“ ერთ-ერთი ვარსკვლავი. მან მადრიდის „რეალში“ გაატარა 4 სეზონი, ჩაატარა 155 მატჩი და გაიტანა 20 გოლი.

დადგა დრო, როდესაც დევიდი მადრიდიდანაც უნდა წასულიყო და მან იტალიას მიაშურა. თავისი თამაში მან ვერც „მილანში“ იპოვა და „გალაქსიში“ გადავიდა. ხოლო 2013 წლის ზამთრის სატრანსფერო ფანჯრის დროს მან „პსჟ“-ს მიაშურა.

**ვან ნისტელროოი**: 5 სეზონი „იუნაიტედში“, 4 სეზონი „რეალში“ – 15 მილიონი.

2001 წლის ზაფხულში რუდ ვან ნისტელროოი „წითელმა ეშმაკებმა“ პსვ-დან შეიძინეს 27 მილიონ ევროდ, ხოლო „რეალმა“ მის შესაძენად მხოლოდ 15 მილიონი გაიღო.

„ოლდ ტრაფორდზე“ ნისტელროიმ 5 სეზონი გაატარა, ჩაატარა 219 მატჩი და გაიტანა 150 გოლი, ხოლო მადრიდში გადასვლის პირველივე სეზონში მან 37 მატჩში გაიტანა 25 გოლი და მოიგო „ოქროს ბურთი“. 2010 წლის იანვარში ნისტელროოი „ჰამბურგში“ გადავიდა.

**გაბრიელ ჰაინცე**: 3 წელი „იუნაიტედში“, 2 წელი „რეალში“ – 12 მილიონი.

ჰაინცე „ოლდ ტრაფორდზე“ 2004 წელს, 10 მილიონად პსჟ-დან გადავიდა. მანჩესტერში გატარებული 3 სეზონის განმავლობაში მან ჩაატარა 83 მატჩი და გაიტანა 4 გოლი. თუმცა, მიიღო ტრავმა, რის შედეგადაც სასურველ ფორმაში ვერ ჩადგა, ამიტომ ფერგიუსონმა მისი გაყიდვა გადაწყვიტა. გაბრიელის ყიდვის სურვილი „ლივერპულს“ ჰქონდა, მაგრამ ფერგიუსონმა დაუძინებელ მტერს არგენტინელი ფეხბურთელი არ მიჰყიდა და იგი მადრიდში 12 მილიონად გააგზავნა. მან მადრიდში 2 სეზონი გაატარა, ჩაატარა 58 მატჩი და გაიტანა 3 გოლი. თუმცა, „სამეფო კლუბში“ კონკურენციას ბოლომდე ვერ გაუძლო და „მარსელში“ გადაბარგდა.

**კრიშტიანუ რონალდუ:** 6 სეზონი „იუნაიტედში“, 4 სეზონი „რეალში“ – 94 მილიონი.

მანჩესტერ „იუნაიტედმა“ 4 წლის წინ გაყიდა კრიშტიანუ რონალდუ და იგი დღემდე ითვლება ყველაზე ძვირადღირებულ ფეხბურთელად მსოფლიოში. „იუნაიტედმა“ პორტუგალიელი 2003 წელს „სპორტინგიდან“ 18 მილიონად შეიძინა. რონალდუმ 6 სეზონის განმავლობაში ჩაატარა 292 მატჩი და გაიტანა 118 გოლი. მისთვის 2007-08 წლების სეზონი დიდებული აღმოჩნდა: მან მოიგო „ოქროს ბურთი“, „ოქროს ბუცი“ და გახდა „ფიფას“ ვერსიით საუკეთესო ფეხბურთელი.

პორტუგალიელი სუპერვარსკვლავი „რეალში“ უფრო გაუმჯობესდა. მან ჩაატარა 179 მატჩი და გაიტანა 183 გოლი. ეს მან მოახერხა 3.5 წლის განმავლობაში.

# სერხიო რამოსი: „ყველა ტიტულს პუერტას ვუძღვნი“

**დღეს ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალის პირველ მატჩში მადრიდის „სანტიაგო ბერნაბეუზე“ ერთმანეთს „რეალი“ და „მანჩესტერ იუნაიტედი“ შეხვდებიან. ამ 2 ევროგრანდის ჯახი მთელ საფეხბურთო სამყაროში დიდ ინტერესს იწვევს.**

**ბრიტანული გამოცემა „გარდიანი“ მადრიდელთა მცველით, სერხიო რამოსით დაინტერესდა. უნდა აღინიშნოს, რომ ინტერვიუს მსვლელობისას რამოსმა საკუთარი სიმპათია გამოამჟღავნა „მანჩესტერ იუნაიტედისა“ და მთლიანად ინგლისური ფეხბურთისადმი.**

***– გაიხსენებთ პენალტს „ბაიერნის“ წინააღმდეგ?***

– არ მეგონა ამდენს თუ ისაუბრებდნენ იმ პენალტზე. მე დიდი ზეწოლის და პასუხისმგებლობის ქვეშ ვიყავი, მაგრამ საერთოდ არ ვნერვიულობდი. მართალია, ჩემი მხრიდან ეს დიდი იმედგაცრუება იყო. სახლში დაბრუნების შემდეგ ოჯახის წევრებს ვუთხარი, რომ შემდეგ პენალტს აუცილებლად „პანენკას“ სტილში დავარტყამდი და ასეც მოვიქეცი.

***– პენალტი პორტუგალიის წინააღმდეგ ნახევარფინალში?***

– ვისენ დელ ბოსკემ მითხრა, რომ პენალტი უნდა დამერტყა, მაგრამ არავითარ შემთხვევაში „პანენკას“ სტილში. ამის შესახებ მის გარდა, ხესუს ნავასმა და რაულ ალბიოლმა იცოდა. როდესაც დამატებითი დროც დასრულდა, ჩემთან ალბიოლი მოვიდა და მითხრა – მომენტი დადგა.

***– რის მოგებას აპირებს კიდევ ესპანეთის ნაკრები და რას უნდა ელოდოს გულშემატკივარი?***

– ევროპის ჩემპიონატის შემდეგ მუნდიალიც მოვიგეთ, შემდეგ კვლავ გავხდით ევროპაში საუკეთესონი და ეს მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ ჩვენი გულშემატკივარი ყოველთვის გვეხმარება და გვმატებს ძალას. შეცდომების დაშვების უფლება, რა თქმა უნდა, მინიმუმამდე გვქონდა დაყვანილი. ესპანელი გულშემატკივარი ჩვენგან რასაც ითხოვდა, ის მიიღო, ხოლო თუ კიდევ მოითხოვენ მეოთხე, მეხუთე ან მეექვსე თასს, შემიძლია მათ ვუთხრა, ეს ძალიან რთული იქნება, ყოველთვის ყველაფრის მოგებას ვერ მოვახერხებთ.

***– მადრიდის „რეალსა“ და „ბარსელონას“ შორის ყოველთვის დაძაბული სიტუაციაა. არადა, ნაკრებში წამყვანი ამ ორი გუნდის ფეხბურთელები არიან.***

– ეს იყო ძალიან ხანგრძლივი კონფლიქტი, მაგრამ დელ ბოსკემ ყველაფერი გადაწყვიტა. ეს არ იყო მხოლოდ „ბარსელონას“ 6-7 და „რეალის“ 5-6 ფეხბურთელი, ეს იყო ერთიანი გუნდი, რომელსაც გამარჯვებისთვის უნდა ებრძოლა.

***– მართალია, თითქოს ჟერარდ პიკესთან ცუდი ურთიერთობა რომ გაქვთ?***

– უწინ ბარსელონელ პიკესთან უთანხმოება მქონდა, მაგრამ სადღეისოდ მასთან კარგი ურთიერთობა მაქვს. ვერ ვიტყვი, რომ მეგობრები ვართ, მაგრამ პროფესიული კომპრომისი გამოვნახეთ. ნაკრებში ჩვენ ერთმანეთს წლის განმავლობაში რამდენჯერმე ვხვდებით, ამიტომაც ურთიერთობაში სირთულეების დაძლევა შესაძლებელია. ერთ-ერთი შეკრებისას პიკეს ვუთხარი, მოვეშვათ ბავშვურ საქციელს, ორივენი კარგი მოთამაშეები ვართ, მაგრამ ერთმანეთის დახმარების გარეშე ჩვენც ვერ გამოვავლენთ საუკეთესო თვისებებს და სანაკრებო ინტერესსაც ვაზარალებთ – უმჯობესია მეტი ჭკუითა და პროფესიონალიზმით ვიმოქმედოთ. ამის შემდეგ ურთიერთობა დალაგდა, თუმცა, პიკესთან ერთად ლუდის დასალევად მაინც არ დავდივარ. საამისოდ „რეალის“ წევრები არიან. ჩვენ ერთ ოჯახად ვცხოვრობთ და მიუხედავად იმისა, რომ გარკვეული სახის უთანხმოება გვაქვს, ყველაფერს დროულად და ერთობლივად ვაგვარებთ.

***– როგორი მწვრთნელია დელ ბოსკე და რომელ პოზიციაზე გირჩევნიათ ნაკრებში თამაში, სადაც ძალიან ხშირად გიცვლიან ამპლუას.***

– ვისენტე ჩვენთან ერთად ყოფნის დროს ყოველთვის საუბრობს, მაგრამ არასდროს ახორციელებს ზეწოლას. მწვრთნელმა შეიძლება გაგაკრიტიკოს ან შეგაქოს, მაგრამ „ულვაშა“ გენიალური ადამიანია. მას მოსწონს კაპელო და მოურინიო. რაც შეეხება ჩემს თამაშს, გააჩნია, რა ტაქტიკას აირჩევს მწვრთნელი. მე შემიძლია დავბრუნდე და ვითამაშო დაცვის მარჯვენა ფლანგზე, მაგრამ ცენტრში უფრო კომფორტულად ვგრძნობ თავს. ახლა მე ცენტრალური მცველი ვარ.

***– რამდენად კმაყოფილი დარჩით კენჭისყრით, როდესაც ჩემპიონთა ლიგაზე მეტოქედ „მანჩესტერის“ შესახებ შეიტყვეთ?***

– მოხარული ვარ, წილისყრამ „მანჩესტერი“ რომ შეგვახვედრა. შეიძლება ითქვას, „იუნაიტედი“ ინგლისური პრემიერლიგის განსახიერებაა, მადრიდის „რეალი“ კი ესპანეთის პრიმერა დივიზიონისა. ჩვენ ერთი და იგივე ფასეულობები, ფილოსოფია, იდეალები გვაქვს. ხანგრძლივი და უმდიდრესი ისტორიის განმავლობაში ორივე გუნდის ფეხბურთელებს დაგროვილი გამოცდილება, ლამაზი თამაშისაკენ სწრაფვა და მაღალი მიზნებისადმი ერთგულება ტრადიციულად გადაეცემა. მომწონს ფეხბურთის ინგლისური სტილი. ნისლიანი ალბიონის კლუბები ყოველთვის ბოლომდე იბრძვიან და მათგან ყოველ წამსაა მოსალოდნელი ხიფა-

***– როგორც მცველი, რა აზრის ხართ მოწინააღმდეგის ფორვარდებზე?***

– დავიწყოთ რობინ ვან პერსით. ჰოლანდიელი ახლა ფორმის პიკშია და ჩემი აზრით, ასეთი საშიში მოწინააღმდეგისთვის არასდროს ყოფილა. ვან პერსი სწრაფია, ძლიერად და ზუსტად ურტყამს, ხელსაყრელ პოზიციაზე გასვლას ნებისმიერი შეტევისას ახერხებს. უეინ რუნი მისგან განსხვავებული თავდამსხმელია. იგი უფრო მუყაითი ფორვარდია და გითხრათ სიმართლე, ვან პერსისა და რუნის შედარებისას უპირატესობას ინგლისელს ვანიჭებ. უეინი უფრო მეტად გამოირჩევა აგრესიული თამაშით და ასეთი ყაიდის ფორვარდების წინააღმდეგ თამაში უფრო მომწონს. რუნი მეტად მობილურია და მისი განეიტრალება ნახევარმცველების მეშვეობითაც უნდა ხდებოდეს. თანაც, ხშირად იგი უკან იხევს და ამგვარ სიტუაციებში მცველები ხომ არ გავსდევთ მინდვრის სიღრმეში. მანჩესტერელებს ჩიჩარიტოც ჰყავთ, რომელსაც ფერგიუსონი ასპარეზობის დასრულებამდე ნახევარი საათით ადრე უშვებს ხოლმე სათამაშოდ და ამ ხნის განმავლობაში მექსიკელი 2 გოლის გატანასაც კი ასწრებს. ეს მის მაღალ კლასზე მიუთითებს.

***– ინგლისურ გუნდებს შორის „მანჩესტერ იუნაიტედს“ გამორჩეულად თვლით?***

– ეს ჩვენი საოჯახო ტრადიციაა. მამაჩემი უცხოურ კლუბთაგან სწორედ „მანჩესტერს“ გულშემატკივრობდა. პატარაობისას იგი ყოველთვის მირჩევდა თვალი მედევნებინა „იუნაიტედის“ თამაშისადმი და მისი ცალკეული ფეხ-



ბურთელებისგან მაგალითი ამელო. ისე კი, ჩემი ოჯახის წევრები გამორჩეულად „სევილიას“ და მადრიდის „რეალს“ ქომაგობენ.

***– „რეალს“ პრიმერას მოგების შანსი პრაქტიკულად არ აქვს. საამისო ფონზე ძირითად აქცენტს ჩემპიონთა ლიგის თასის დაუფლებაზე გააკეთებთ?***

– ყველანი ჩემპიონთა ლიგის მოგებაზე ვფიქრობთ. კარგა ხანი გავიდა, რაც „რეალს“ ევროპის უპირველესი საკლუბო ტურნირი არ მოუგია და ბოლოხანს ბევრს საუბრობენ, დროა, მადრიდელებმა მეათედ მოიპოვონ ჩემპიონთა ლიგის თასიო. ფეხბურთელებიც ასე ვთვლით და „დესიმას“ ვუმიზნებთ. თუმცა, ისიც კარგად გვაქვს შეგნებული, ამის გაკეთება ურთულესი საქმეა. ამ ტურნირში ერთადერთი შეცდომა ხომ მეტად ძვირად ფასობს და ხშირად ტურნირიდან გამოთიშვას ნიშნავს. პირადად მე ლონდონის „უემბლიზე“ დანიშნულ ფინალში თამაშზე ვოცნებობ.

***– რამდენიმე ხნის წინ ჟოზე მოურინიოს ირგვლივ ატეხილი აჟიოტაჟი ყურადღებას იპყრობდა. სადღეისოდ ეს თემა ამოწურულია?***

– გუნდის მოთამაშეები ვიმედოვნებთ, რომ პორტუგალიელი დარჩება, თუმცა, საბოლოო გადაწყვეტილება მხოლოდ და მხოლოდ მისი მისაღებია. სეუ ჟოზე უდიდესი მწვრთნელია და „რეალის“ ფეხბურთელებს გაგვიმართლა, მისი ხელმძღვანელობით მუშაობა რომ გვიხდება. მიმდინარე სეზონის მსვლელობისას ბევრს საუბრობენ, თითქოს „რეალის“ გასახდელში მწვრთნელსა და მოთამაშეებს შორის ხშირად კონფლიქტური სიტუაციაა. ეს არასწორია. პირადად მე ამგვარ საუბრებს ყურადღებას არ ვაქცევ, თანაც, ტელევიზორში საფეხბურთო დებატებს არ ვუყურებ, რადიოს არ ვუსმენ და გაზეთებსაც არ ვკითხულობ.

***– კარიერის დასრულებას მადრიდის „რეალში“ აპირებთ?***

– სწორედ ესაა ჩემი ოცნება – „სანტიაგო ბერნაბეუზე“ შეძლებისდაგვარად დიდხანს მსურს თამაში. ზემოთაც ვახსენე, ინგლისური ფეხბურთისადმი ჩემი სიმპათია და ნისლიან ალბიონზე მოთამაშე ჩემი მეგობრები პრემიერლიგას ძალიან კარგად ახასიათებენ. მქონდა შემოთავაზებები ინგლისის და იტალიის კლუბებიდანაც, მაგრამ არც გულმა მიკარნახა „რეალის“ დატოვება და არც მამამ მირჩია.

***– საფეხბურთო სამყაროში ყველაზე მეტად რა გაღიზიანებთ?***

– როდესაც ის ადამიანები მაკრიტიკებენ და მსჯელობენ ჩემზე, რომლებიც არ მიცნობენ.

***– მოკლედ დაგვიხასიათეთ საკუთარი თავი.***

– ნორმალური, თავმდაბალი, უბრალო და ოჯახის მოყვარული ადამიანი გახლავართ, რომელსაც ფეხბურთის თამაში განსაკუთრებით უყვარს.

***– ამბობენ, არასდროს ივიწყებთ ტრაგიკულად დაღუპულ ანტონიო პუერტას. „სევილიის“ ფეხბურთელი იმ მომენტშიც თუ გახსოვთ, რომელიმე მნიშვნელოვან თასს რომ იგებთ?***

– რასაკვირველია! ყველა ტიტული, რომელიც მისი გარდაცვალების შემდეგ მოვიპოვე, სწორედ ანტონიოს მივუძღვენი. პუერტას არასდროს დავივიწყებ.

**მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა**

# შედეგები

## ფეხბურთი

**ინგლისი. პრემიერლიგა**

ლივერპული-ვესტ ბრომვიჩი ........ 0:2

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.მანჩესტერი | 26 | 21 | 2 | 3 | 62:31 | 65 |
| 2.სიტი | 26 | 15 | 8 | 3 | 48:24 | 53 |
| 3.ჩელსი | 26 | 14 | 7 | 5 | 55:28 | 49 |
| 4.ტოტენჰემი | 26 | 14 | 6 | 6 | 44:30 | 48 |
| 5.არსენალი | 26 | 12 | 8 | 6 | 50:29 | 44 |
| 6.ევერტონი | 26 | 10 | 12 | 4 | 40:32 | 42 |
| 7.სუონსი | 26 | 9 | 10 | 7 | 38:29 | 37 |
| 8.ვესტ ბრომვიჩი | 26 | 11 | 4 | 11 | 36:35 | 37 |
| 9.ლივერპული | 26 | 9 | 9 | 8 | 44:34 | 36 |
| 10.სტოკი | 26 | 7 | 12 | 7 | 26:31 | 33 |
| 11.ვესტ ჰემი | 26 | 8 | 6 | 12 | 29:38 | 30 |
| 12.ფულემი | 26 | 7 | 8 | 11 | 36:42 | 29 |
| 13.სანდერლენდი | 26 | 7 | 8 | 11 | 28:34 | 29 |
| 14.ნორვიჩი | 26 | 6 | 11 | 9 | 25:40 | 29 |
| 15.ნიუკასლი | 26 | 7 | 6 | 13 | 34:46 | 27 |
| 16.საუთჰემპტონი | 26 | 6 | 9 | 11 | 36:45 | 27 |
| 17.ასტონ ვილა | 26 | 5 | 9 | 12 | 25:50 | 24 |
| 18.რედინგი | 26 | 5 | 8 | 13 | 33:48 | 23 |
| 19.უიგანი | 26 | 5 | 6 | 15 | 30:51 | 21 |
| 20.ქპრ | 26 | 2 | 11 | 13 | 19:41 | 17 |

**ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი**

ბეტისი-ვალიადოლიდი ................ 0:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბარსელონა | 23 | 20 | 2 | 1 | 78:26 | 62 |
| 2.ატლეტიკო | 23 | 16 | 2 | 5 | 44:23 | 50 |
| 3.რეალი | 23 | 14 | 4 | 5 | 58:22 | 46 |
| 4.მალაგა | 23 | 11 | 6 | 6 | 34:21 | 39 |
| 5.ვალენსია | 23 | 11 | 4 | 8 | 32:35 | 37 |
| 6.რაიო | 23 | 12 | 1 | 10 | 33:39 | 37 |
| 7.სოსიედადი | 23 | 10 | 6 | 7 | 37:29 | 36 |
| 8.ბეტისი | 23 | 11 | 3 | 9 | 31:34 | 36 |
| 9.ლევანტე | 23 | 10 | 3 | 10 | 29:35 | 33 |
| 10.ვალიადოლიდი | 23 | 8 | 6 | 9 | 32:29 | 30 |
| 11.სევილია | 23 | 8 | 5 | 10 | 30:34 | 29 |
| 12.ხეტაფე | 23 | 8 | 5 | 10 | 31:40 | 29 |
| 13.ესპანიოლი | 23 | 7 | 7 | 9 | 30:34 | 28 |
| 14.გრანადა | 23 | 7 | 5 | 11 | 22:32 | 26 |
| 15.ბილბაო | 23 | 7 | 5 | 11 | 29:45 | 26 |
| 16.სარაგოსა | 23 | 7 | 3 | 13 | 22:33 | 24 |
| 17.ოსასუნა | 23 | 5 | 7 | 11 | 19:27 | 22 |
| 18.სელტა | 23 | 5 | 5 | 13 | 21:28 | 20 |
| 19.მალიორკა | 23 | 4 | 6 | 13 | 23:43 | 18 |
| 20.დეპორტივო | 23 | 3 | 7 | 13 | 27:51 | 16 |

**იტალია. სერია ბ**

ენპოლი-ლივორნო ........................ 2:1

**გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა**

ჰერტა-უნიონი ............................. 2:2

**საფრანგეთი. მე-2 ლიგა**

ანე-ლანსი .................................. 3:2

**პორტუგალია. ა ლიგა**

სპორტინგი-ფერეირა ................... 2:3

**შოტლანდია. პრემიერლიგა**

ჰიბერნიანი-სტ.ჯონსონი .............. 1:3

**საბერძნეთი. სუპერლიგა**

პლატანიასი-არისი ...................... 2:0

**თურქეთი. სუპერლიგა**

გაზიანთეპი-ქაშიმფაშა ................ 2:1

**არგენტინა. პრიმერა დივიზიონი**

რაფაელა-რასინგი ....................... 3:0

ინდეპენდიენტე-ოლდ ბოიზი ........ 1:3

ბელგრანო-რივერ პლეიტი ........... 1:2

ლანუსი-კოლონი ......................... 4:0

## კალათბურთი

**ნბა. რეგულარული სეზონი**

ინდიანა-ბრუკლინი ............ 84:89(ოტ)

კლივლენდი-მინესოტა ............ 92:100

ფილადელფია-კლიპერსი ....... 90:107

შარლოტი-ბოსტონი .................. 94:91

დეტროიტი-ნიუ ორლეანი ....... 86:105

მილუოკი-ვაშინგტონი ............ 90:102

ჩიკაგო-სან ანტონიო ............... 89:103

დალასი-ატლანტა ................. 101:105

ზაზა ფაჩულია: 8 ქულა, 10 მოხსნა

## ჰოკეი

**ნჰლ. რეგულარული სეზონი**

კოლამბუსი-სან ხოსე ..................... 6:2

აილენდერსი-კაროლინა ............... 4:6

ტორონტო-ფილადელფია ............. 5:2

სენტ ლუისი-ლოს ანჯელესი ........ 1:4

კალგარი-მინესოტა ............ 1:1(0:1ბ)

კოლორადო-ფინიქსი ............ 2:3(ოტ)

# ლიკა ყაზბეგი პატიმარზე თხოვდება

ეკა ირემაშვილი

სამოდელო სააგენტო „ლიკა ყაზბეგის" ხელმძღვანელი ლიკა ყაზბეგი თხოვდება. 14 თებერვალს, სიყვარულის დღეს იგი თავის რჩეულთან ხელს მოაწერს და ოჯახური ცხოვრების ორომტრიალში ჩაებმება. ლიკასთვის ეს პირველი ქორწინება არ არის. ის უკვე მეორედ თხოვდება და ბედს თავის საყვარელ ადამიანს უკავშირებს, რომელიც ამჟამად პატიმარია.



ხელის მოწერის საზეიმო ცერემონიალი რუსთავში, სასჯელაღსრულების მე-16 დაწესებულებაში გაიმართება. როგორც ლიკა ყაზბეგმა „ახალ თაობასთან" საუბარში აღნიშნა, ძალიან ბედნიერი და ამავე დროს საშინლად დაბნეულია. სამოდელო სააგენტოს ხელმძღვანელის რჩეული გიორგი ჯელაძეა. ლიკას სჯერა, რომ სამართალი იზეიმებს და უდანაშაულოდ დაპატიმრებული მისი რჩეული ციხეს ძალიან მალე დატოვებს.

წყვილი ერთმანეთს საკმაოდ დიდი ხანია იცნობს, თუმცა მათი ურთიერთობა სერიოზულ ფაზაში ამ ბოლო პერიოდში გადავიდა. გისოსებში გამომწყვდეულმა ლიკას სატრფომ გადაწყვიტა უჩვეულო ქორწილი გადაეხადა და სიყვარულის დღეს თავის სატრფოს ციხეში დაელოდება. ამ სასიხარულო ამბავში ორიგინალური ის არის, რომ ლიკას მეჯვარე ლალი მოროშკინაა, ხოლო მისი რჩეულის მეჯვარე, არც მეტი, არც ნაკლები, ციხის დირექტორი.

ლიკასთვისაც და გიორგისთვისაც ეს მეორე ქორწინებაა. გიორგის პირველი ქორწინებიდან ერთი შვილი ჰყავს, რომელიც ლიკას უკვე საკუთარი შვილივით უყვარს. გაუჭირდა თუ არა გადაწყვეტილების მიღება და რატომ დააჩქარა გათხოვება წარმატებულმა ლედიმ, ამ თემაზე ლიკა ყაზბეგი „ახალ თაობას" ესაუბრა.

**ლიკა ყაზბეგი:**

– ამ ადამიანს ადრეც ვიცნობდი, მაგრამ სერიოზული გრძნობები ერთმანეთის მიმართ არ გვქონია. მერე მოხდა ისე, რომ ჩვენი სიყვარული დაიბადა და ასეთი განვითარება ჰპოვა. იმდენად დადებითი პიროვნებაა, სხვანაირად არც შეიძლება ყოფილიყო. ის გამორჩეული ვაჟკაცია, როგორც გარეგნობით, ასევე თვისებებით. მოხდა ისე, რომ ამჟამად საპატიმროშია. ამნისტია ჯერ არ შეხებია, მაგრამ გადავწყვიტეთ, მოვლენები დაგვეჩქარებინა და ციხეშივე მოგვეწერა ხელი.

***– თქვენი რჩეული საზოგადოებისთვის ცნობილი პიროვნებაა?***

– ეს არის გიორგი ჯელაძე, რომელიც ცნობადი სახე არ არის. ის არც მომღერალია, არც მსახიობი, საერთოდ, ხელოვნებაში ჩართული არ არის. ზუსტად ვიცოდი, რომ ჩემი სფეროს წარმომადგენელს არასოდეს გავყვებოდი ცოლად.

***– რატომ?***

– იმიტომ, რომ მამაკაცი ჩემთვის მარტო მამაკაცი არ არის. ის უნდა შეეფერებოდეს თავის სტატუსს და სიტყვა მამაკაცს უნდა ამართლებდეს.

***– და ხელოვნებაში არ არიან ასეთი მამაკაცები?***

– ალბათ, არიან, მაგრამ მე არ ვიცნობ, ან უბრალოდ არ შევხვედრივარ.

***– იმდენჯერ ჩაიცვით საპატარძლო კაბა, რომ საბოლოოდ მაინც გათხოვდით, არა?***

– ყველა მაგას მეუბნება. მჯერა, რომ შემთხვევით ამქვეყნად არაფერი ხდება. ალბათ, ვიმსახურებდი ამ დიდ სიყვარულს და ახლა უზომოდ ბედნიერი ვარ.

***– როდის გაქვთ საქორწინო ცერემონიალი?***

– 14 თებერვალს. ყველაფერი მოულოდნელად გადაწყვიტა გიორგიმ. ჩემნაირ ადამიანს, ვინც საქმიანი ქალბატონია, მართლა სჭირდება ისეთი ადამიანი, ვინც ამოსუნთქვის და დაფიქრების საშუალებას არ მისცემს. მოკლედ, გიორგიმ გადამაწყვეტინა და მჯერა, რომ ძალიან ბედნიერები ვიქნებით ერთად. გიორგი არის ადამიანი, რომელიც მჭირდებოდა.

***– მეჯვარეები ვინ იქნებიან?***

– ჩემი მეჯვარე არის ლალი მოროშკინა, გიორგის ორი მეჯვარე ჰყავს, ციხის დირექტორი გელა ტყემალაძე და თემურ ქვილითაია. ლალი ძალიან გვგულშემატკივრობს და მორალურად მხარში გვიდგას.

***– მის ოჯახს უკვე იცნობთ?***

– კი, არაჩვეულებრივი ოჯახი ჰყავს. არაჩვეულებრივი დედამთილი და მული მყავს. ასეთი დედამთილი მგონი არავის ეყოლება, ასევე მულიც, ულამაზესია, გული დამწყდა, რომ ადრე არ ვიცნობდი და არ იყო ჩემი მოდელი. სოფო მართლა ულამაზესია. ასევე ჩემს მეუღლეს ჰყავს შვილი პირველი ქორწინებიდან, რომელიც უკვე ისე მიყვარს, როგორც ჩემი შვილი. ის ფაქტი, რომ გიორგი პატიმარია, ჩემთვის არაფერს ნიშნავს, რადგან ვიცი, რომ ის უდანაშაულოა, მალე გაირკვევა სიმართლე და მალე გამოუშვებენ უდანაშაულო ადამიანს, რომელიც სულ ტყუილად იჯდა ციხეში. მგონი, მოვიდა დრო და არის ისეთი ობიექტური ხელისუფლება, რომ მალე გაათავისუფლებენ ამ ადამიანს. სიყვარული ხომ იზეიმებს ვალენტინობის დღეს, სამართალიც აუცილებლად იზეიმებს.

***– თქვენი ქორწილი იქნება ყოველგვარი ცერემონიით, ჯვრისწერით და ხელის მოწერით?***

– ამჯერად მხოლოდ ხელს მოვაწერთ და ცოტა ხანში ჯვარსაც დავიწერთ. ლალი მეუბნება, ამ ამბავზე წიგნი უნდა დაწეროო. სხვაზე არც დავიჯერებდი ამ ამბავს, მაგრამ ხომ ხედავთ, ამ ცხოვრებაში ყველაფერი ხდება.

***– სასჯელაღსრულების მინისტრი სოზარ სუბარი საქმის კურსშია?***

– უკვე შევხვდი ბატონ სოზარ სუბარს და ძალიან გაუხარდა, ისინიც კანონის ფარგლებში გვიწყობენ ხელს, რომ ეს ცერემონიალი ჩატარდეს ღირსეულად.

***– თქვენს საქმროს ციხიდან გამოუშვებენ თუნდაც ერთი დღით?***

– არა, მე უნდა ვეახლო ციხეში, მე დამიჭირენ ორი დღით. ხელის მოწერის ცერემონიალი ციხეში იქნება.

***– რამდენი წელია პატიმარია?***

– რამდენიმე წელია პატიმრობაშია. რომ გაიგოთ, რისთვის არის დაპატიმრებული, არ დაიჯერებთ. მას დაპატიმრებამდე ვიცნობდი, მაგრამ მაშინ ასე სერიოზულად არაფერზე გვიფიქრია.

***– გადაწყვეტილება ადვილად მიიღეთ?***

– ჩემთვის ეს იყო უდიდესი სტრესი. ვაკეთებ უზარმაზარ პროექტს, რომელშიც ჩართული არიან სხვადასხვა ორგანიზაციების პიარის წარმომადგენლები. ეს პროექტი ტარდება პირველად, არის გრანდიოზული, მასში მონაწილეობს 150 კომპანიის წარმომადგენელი, თითქმის ყველამ შეიკერა უკვე კაბა და მელოდებიან და სად არის ორგანიზატორი? გათხოვდა! არავინ არ დაპანიკდეს, არავის შეეშინდეს, როგორც კი ერთ პროექტს მოვამთავრებ, რომელსაც ხელის მოწერა ჰქვია და ორდღიანი პატიმრობაც დასრულდება, ყველაფერს დავუბრუნდები ჩვეულ რეჟიმში. ორდღიანი თაფლობის თვე მექნება ციხეში და იმედია, შემარგებენ. ამ პროექტში ჩემს მულსაც აუცილებლად გამოვიყვან, იმიტომ, რომ ვესტელის სახე ყოფილა და ამ კომპანიის პიარმენეჯერია.

***– სად იხდის სასჯელს თქვენი საქმრო?***

– რუსთავის ციხეში.

***– რუსთავში მაყრით ჩახვალთ?***

– არა, ასეთი გრანდიოზული ქორწილიც არ გვექნება. არ ვართ იმ ასაკში, რომ მაყრით ვიხადოთ ქორწილები. შეიძლება თეთრი კაბა არც მეცვას. დიზაინერ მანანა მანიას ულამაზესი კაბა მეცმება, მას მივანდე ჩემი კაბა, გადავწყვიტეთ, კლასიკურად გამოვიყურებოდეთ და ამ მხრივაც ვიყოთ გამორჩეულები და ორიგინალურები და თანამედროვე ტანსაცმელი გვეცმევა. ბატონ სოზარს ვთხოვეთ, ჩემი პირადი ფოტოგრაფი წამოვა და გადაიღებს ამ ცერემონიალს, რა თქმა უნდა, მათი წარმომადგენლებიც გადაიღებენ, რადგან ეს მათი პრესცენტრისთვისაც არის საჭირო. ეს იქნება პირველი ქორწილი საშინელი რეჟიმის შემდეგ და იმედი მაქვს, რომ ყველაფერი კარგად იქნება. არ არის გამორიცხული, ძალიან ბევრმა ცნობილმა პირებმაც მომბაძონ.

***– სოზარ სუბარი თუ დაესწრება ამ ცერემონიალს?***

– არ ვიცი, თუკი მოახერხებს, ალბათ მოვა და დაესწრება.

# თენგიზ დიხამინჯია: „ნაციონალებს რესტავრაციის შანსი არ უნდა მივცეთ"

დასაწყისი მე-7 გვერდზე



ტულებას ყოველთვის ექნება ადგილი.

***– 8 თებერვალი არის შედეგი, მაგრამ მიზეზი, რა არის?***

– მიზეზი არის მათი ბრძოლა გადარჩენისთვის. თუ ვინმეს ჰგონია, რომ უგულავა თავისი აზრით მოქმედებდა, ცდება. წარმოუდგენელია, ქალაქის მერი, რომელსაც უდიდესი თანამდებობა უჭირავს, მოქალაქეობრივ კონფრონტაციაში შედის და თავისი მოქალაქეების ეგზალტაციას ცდილობს. ეს დაკვეთის გარეშე არ მოხდებოდა. ცხადია, სააკაშვილი საქმის კურსში იყო. მას უნდოდა, ეს ეგზალტაცია და რეზონანსი გაცდენოდა ჩარჩოებს, რაც 8 თებერვალს მივიღეთ. ეტყობა, კიდევ უფრო დიდი მოლოდინი ჰქონდათ. ეგონათ, კიდევ უფრო უარეს შედეგს მივიღებდით, იქნებოდნენ დაზარალებულები და დღევანდელი რეჟიმის მსხვერპლნი, ანუ უნდოდათ როლები გაცვლილი იქნებოდა.

***– თქვენი აზრით, დიპლომატებმა როგორ აღიქვეს მათ მომხდარი დაპირისპირება?***

– შთაბეჭდილება დამრჩა, რომ დიპლომატიურმა კორპუსმა სააკაშვილს უთხრა, რომ მას ელჩების იმედი არ უნდა ჰქონდეს ასეთ პოლიტიკურ ინსპირაციებში. ის უნდა დასჯერდეს თავის სტატუსს და ოქტომბრის შემდეგ დამსახურებულ პენსიაზე უნდა გავიდეს. სააკაშვილი ამას დასჯერდა, ფაქტობრივად, დათანხმდა. განაცხადა თანხმობა მთავრობასთან თანამშრომლობაზე. თუმცა, თავის ტრადიციას ვერ უღალატა და (გამიკვირდა, რომ არც ერთმა ამაზე ყურადღება არ გაამახვილა) მთავრობა დაადანაშაულა პარლამენტარების დაშინებასა და მოსყიდვაში. ეს არის საშინელი ბრალდება. წესით, მთავრობამ სარჩელი უნდა შეიტანოს მოქალაქე სააკაშვილის წინააღმდეგ, ასეთი წრეგადასული განცხადებების გამო, რადგან ამას აკეთებს ქვეყნის პირველ პირად წოდებული პირი. ეს ძალიან მნიშვნელოვანია. გარდა ამისა, სააკაშვილმა ის მაინც მოახერხა, მაქსიმალურად შეეცადა, გარედან დირექტივის ქვეშ ყოფილიყო, ფსევდოეროვნული თანხმობის იმიტაცია გაეთამაშებინა და, საბოლოოდ ყველაფერი აესახა თავის პოზიციაში, სადაც ამბობს, მე უნდა ვიყო ჩემი პარტიით, ჩემი მომხრეებითა და მისაკუთრებული ქონებებით ხელშეუხებელი. ამ ნათქვამს თავისი კონკრეტული ფორმაც ჰქონდა სავაჭროდ ხელისუფლებასთან, რაც გამოიხატა ფინანსური ამნისტიის დოქტრინით.

***– სააკაშვილს ხავერდოვანი რევოლუცია, მთავრობის დათხოვნა უნდოდა?***

– თუ გაუვიდოდა, დიახ.

***– მერაბიშვილი რომ ამბობს, ამ ხელისუფლებას 4 წელიწადს ვერ ვაცლითო?***

– ეს კითხვა დაუსვეს სააკაშვილს 8 თებერვალს და მან უპასუხოდ დატოვა.

***– სააკაშვილს და ნაციონალებს ხელისუფლებაში დაბრუნების რაიმე შანსი აქვთ?***

– სააკაშვილს და ნაციონალებს ხელისუფლებაში დაბრუნების შანსი იმ შემთხვევაში ექნებათ, თუ დღევანდელი ხელისუფლება უნიათო ნაბიჯებს გადადგამს და რესტავრაციის შანს მისცემს.

# მესაზღვრეებმა რუმინეთის დროშის ქვეშ მცურავი გემები დააკავეს

შინაგან საქმეთა სამინისტროს სასაზღვრო პოლიციის სანაპირო დაცვის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, გატარებული ღონისძიებების შედეგად, ოკუპირებულ ტერიტორიაზე (აფხაზეთის საზღვაო რაიონი) შესვლის წესის არაერთგზის დარღვევის ფაქტზე, რუმინეთის დროშის ქვეშ მცურავი გემები დააკავეს.

სასაზღვრო პოლიციის პრესსამსახურის ინფორმაციით, აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 322-ე (პრიმა ერთი) მუხლით მიმდინარეობს .

**ნიუსპრესი**

# ნანუაშვილმა პატიმარი გია ალავიძე მოინახულა



საქართველოს სახალხო დამცველმა უჩა ნანუაშვილმა დღეს, სასჯელაღსრულების №9 დაწესებულებაში მყოფი პატიმარი – გია ალავიძე მოინახულა. შეხვედრისას მსჯავრდებულმა განაცხადა, რომ ის თავს დამნაშავედ არ სცნობს და მისი დაკავების ერთადერთი მიზეზი არის ის, რომ სწორედ მან გადასცა ტელეკომპანია „მაესტროს" ვიდეომასალა, სადაც ასახულია სასჯელაღსრულების დაწესებულებაში გირგვლიანის მკვლელობისთვის მსჯავრდებული პირების თვითნებური ქმედებები.

როგორც გია ალავიძემ განაცხადა, 2009 წლის აგვისტოში ის დააკავეს და სამი თვის განმავლობაში ოჯახის წევრებმა მისი ადგილსამყოფელი არც იცოდნენ. ალავიძის თქმით, მასზე ზეწოლას ახორციელებდნენ სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თანამშრომლები ოლეგ ფაცაცია, გაგა მკურნალიძე, ვიქტორ ყაჭეიშვილი და გოგა ბუთლიაშვილი.

პატიმარ გია ალავიძეს ადვოკატი არ ჰყავს, თუმცა საქმის მასალების გაცნობის შემდეგ აღმოაჩინა, რომ სასამართლოზე მის უფლებებს სახაზინო ადვოკატი იცავდა, რომელიც არასდროს უნახავს. ის უარს აცხადებს ამნისტიაზე და მოითხოვს მისი საქმის ხელახალ გამოძიებას და ჭეშმარიტების დადგენას. სახალხო დამცველი გია ალავიძის საქმეზე სათანადო რეაგირებას გეგმავს.

**ნიუსპრესი**



# ჯიოსვოიჲი ბ

**შვეულად**: 1. თურქული აბანო; 2. ოქროქსოვილის ძველი ქართული სახელწოდება; 3. ფასიანი ქაღალდების გასაყიდ და საყიდ ფასებს შორის სხვაობა; 5. კარატისტთა ცალკეულ ილეთთა კომპლექსის სახელწოდება; 6. კლიმატურ-ბალნეოლოგიური კურორტი ბორჯომ-ხარაგაულის ნაკრძალში; 8. წვრილი წვნიანი ნაყოფის მქონე ბუჩქოვანი მცენარეების საერთო სახელწოდება; 11. ქართველი ძიუდოისტი, ოლიმპიური ჩემპიონი; 13. რაიმე რიცხვის მეათასედი ნაწილი; 14. ესპანეთის ფეხბურთელთა გუნდი; 15. მოსახლეობის რაოდენობით ყველაზე დიდი სახელმწიფო აფრიკაში; 19. ცხვრის, ხბოს ტყავისგან დამზადებული ღვინის შესანახი ჭურჭელი.

**თარაზულად**: 1. ბეჰემოტის მეორე სახელწოდება; 4. რადიოს ერთ-ერთი გამომგონებელი იტალიელი რადიოტექნიკოსი, ნობელის პრემიის ლაურეატი; 7. ლოგარითმის წილადური ნაწილი; 9. მე-14 საუკუნის საფრანგეთის გლეხთა აჯანყების სახელწოდება; 10. სამატომიანი ჟანგბადი; 12. ფრინველის საჭერი მახე; 16. მონასტერი რაჭაში; 17. გაერთიანებული სამეფოს დედაქალაქი; 18. პროფესიონალი დამსმენი, ჯაშუში ძველ საბერძნეთში; 20. სარწმუნოება ანუ... ; 21. ტერიტორიული ერთეული შვედეთში; 22. შვედი ასტროფიზიკოსი, ტემპერატურის შკალას გამომგონებელი.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*

## წინა ნომერში გამოქვეყნებული ჯიოსვოიჲების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. ტაიბეი; 2. არიკი; 3. რუხი; 5. ხახამი; 6. ქაოსი; 7. კალორია; 11. ლაისტი; 13. გდანსკი; 14. პაქტი; 15. „ყაზბეგი"; 16. კლინიკა; 17. „საბენა"; 19. აგუტი; 20. „როშე".

**თარაზულად:** 1. ტრაპერი; 4. კირხე; 8. ხვატი; 9. ხაჭო; 10. ბოკალი; 12. ბოდრუმი; 14. პესო; 15. ყაპუზუნა; 16. კექსი; 18. ნუბია; 21. ბედია; 22. კრუშონი; 23. ტანკერი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. ხახული; 2. ჩედერი; 3. რომბი; 5. თუჯი; 6. ხვიფლი; 8. დოლიძე; 11. სტიპლჩეზი; 13. სპეტაკი; 14. ნიტრატი; 15. ტიციანი; 19. დეფო.

**თარაზულად:** 1. ხელვაჩაური; 4. თავთუხი; 7. ხავერდი; 9. „ბომონდი"; 10. „ოსერი"; 12. ელინისტი; 16. „ფერიპედი"; 17. მეჯლისი; 18. კროსვორდი; 20. ზოფხიტო; 21. კილი; 22. „სიტროენი".

# ყირგიზეთის ყოფილ პრეზიდენტ ბაკიევს 24 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს



ყირგიზეთის სამხედრო სასამართლომ ქვეყნის ყოფილ პრეზიდენტს ყურმანბეკ ბაკიევს დაუსწრებლად 24 წლით თავისუფლების აღკვეთა, ხოლო მის ძმას ჟანიშ ბაკიევს კი რომელიც სახელმწიფო დაცვის სამსახურს ხელმძღვანელობდა, სამუდამო პატიმრობა მიუსაჯა.

ორივე მათგანი ბრალდებულად აღიარეს რიგ მძიმე დანაშაულებებში, რომელშიც შედის მათ შორის დემონსტრანტების დახვრეტა ქალაქის ცენტრალურ მოედანზე 2010 წლის აპრილში.

დამხობის შემდეგ ექს-პრეზიდენტი და მისი ძმა ქვეყნიდან გაიქცნენ და ამჟამად ბელორუსში ცხოვრობენ. პრეზიდენტმა ალექსანდრე ლუკაშენკომ მათ პოლიტიკური თავშესაფარი მისცა.

ყირგიზეთის ხელისუფლებამ არაერთგზის მიუმართავს მინსკისთვის და გაქცეულების ექსტრადაცია უთხოვნია, თუმცა უშედეგოდ.

ყურმანბეკ ბაკიევი (დ. 1 აგვისტო, 1949), ყირგიზეთის უზენაესმა საბჭომ „ყაყაჩოების რევოლუციის“ პერიოდში გადაყენებული ასკარ აკაევის ნაცვლად დანიშნა პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებლად, 2005 წლის 24 მარტს. პრეზიდენტად მოსვლამდე იყო ყირგიზეთის სახალხო მოძრაობის ლიდერი. მისი ძირითადი მომხრეები არიან ქვეყნის სამხრეთში.

2010 წლის 15 აპრილს, სახელმწიფო გადატრიალების შემდეგ, ოფიციალურად დატოვა პრეზიდენტის პოსტი და ემიგრაციაში წავიდა ოჯახთან ერთად.

## სპორტი

# შენგელია განაცხადში გამოჩნდა, ფაჩულიამ ჩვეულად ითამაშა



სასიამოვნო ამბები ოკეანგაღმიდან: თორნიკე შენგელია განაცხადში დაბრუნდა, ზაზა ფაჩულიას ორმაგ დუბლამდე მცირედი დააკლდა და თან ორივე „ქართულმა“ გუნდმა გასვლაზე მოიგო.

თორნიკე შენგელიამ ნბა-ს განვითარების ლიგიდან დაბრუნების შემდეგ ტრავმის გამო განაცხადს მიღმა 5 მატჩი გაატარა და დღეს, გამთენიისას, ინდიანაში გამართული შეხვედრის ოქმში ვიხილეთ, თუმცა მატჩის დაძაბულობიდან გამომდინარე ახალგაზრდა ქართველი მოედანზე არ გამოჩენილა. ამ ეტაპზე უფრო ისაა მნიშვნელოვანი, რომ ტრავმის შემდეგ შენგელია მწყობრში ჩადგა და სათამაშოდ მზადაა.

ბრუკლინელებმა კი აღმოსავლეთ კონფერენციისა და სრულიად ნბა-ს აღმოჩენა „ინდიანა“ სტუმრად, დამატებით დროში – 89:84 დაამარცხეს. მთელი 34 წუთი ათამაშეს შენგელიას კბილა და ქართველთან ერთად განვითარების ლიგაში მყოფი ტაიშონ ტეილორი, რომელმაც 12 ქულით გვარიანი სამსახური გაუწია ბრუკლინელებს, ხოლო კიდევ ერთი დებიუტანტი, თუმცა უფრო მეტად გამოცდილი მირზა ტელეტოვიჩი მოედანზე 5 წუთით და სრულიად უსარგებლოდ გამოჩნდა.

არანაკლებ ძლიერი მეტოქე მისსავე ბუნაგში დაამარცხა „ატლანტამაც“. ზაზა ფაჩულიას გუნდმა 2 წლის წინანდელი ჩემპიონი დალასში 105:101 განგმირა. მიუხედავად დროის სიმცირისა, ქართველმა ცენტრმა გამარჯვებაში მნიშვნელოვანი წილი დაიდო. 16 წუთში ფაჩულიამ 8 ქულა და 10 მოხსნა დააკლდა. ერთი ორქულიანით მეტი რომ ჩაეგდო, საქართველოს ეროვნული ნაკრების კაპიტანი ორმაგ დუბლს შეასრულებდა. არადა, ზაზამ 7 ორიანი ესროლა და მხოლოდ 3 ჩააგდო, ხოლო საჯარიმოს ხაზიდან 4 ცდიდან 2 მიითვალა. ქულამოხსნებთან ერთად ფაჩულიას ანგარიშზე 1 შედეგიანი გადაცემაც დაგროვდა, ბურთი კი ერთხელ დაკარგა.

ატლანტელებს 28 მოგება და 22 მარცხი აქვთ, რაც აღმოსავლეთში მე-6 ადგილის ტოლფასია. ბრუკლინელები კი 30 მოგება-28 წაგებით მე-5-ზე არიან. თამაშების მომდევნო დღე ორივე გუნდისთვის 13 თებერვალსაა: „ატლანტა“ ორლანდოში ითამაშებს, „ბრუკლინი“ კი „დენვერს“ მიიღებს.

# სამი მედალი თურქეთიდან

საქართველოს თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ნაკრების წევრებმა წარმატებულად იჭიდავეს თურქეთის ქალაქ დედაქალაქ ანკარაში გამართულ იაშარ დოგუს სახელობის ტრადიციულ საერთაშორისო ტურნირზე. ქართველმა მოჭიდავეებმა ჯამში 3 ოქროს და 1 ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს, გუნდურ ჩათვლაში კი მე-3 ადგილი დაიკავეს.

ტურნირის ჩემპიონები გახდნენ ვლადიმერ ხინჩეგაშვილი (60 კგ), დავით მარსაგიშვილი (84 კგ) და ელიზბარ ოდიკაძე (96 კგ), გიორგი ედიშერაშვილმა (55 კგ) კი ბრინჯაოს მედალი მოიპოვა.

თურქეთის ჭიდაობის ფედერაციის ვებ-გვერდის ინფორმაციით, ხინჩეგაშვილმა ფინალში მონღოლ ენიამ ოჩირს სძლია, მარსაგიშვილმა თურქ ჰაკი ჩეილანს აჯობა, ხოლო ოდიკაძემ – აზერბაიჯანის ნაკრების ტიტულოვანი წევრი, ევროპის 3-გზის და მსოფლიოს ჩემპიონი, ოლიმპიური თამაშების 2-გზის პრიზიორი, ხეთაგ გაზიუმოვი დაამარცხა.

იაშარ დოგუს 41-ე მემორიალზე სულ 12 ქვეყნის 150-ზე მეტი სპორტსმენი მონაწილეობდა. აღსანიშნავია, რომ თურქეთში ნაჩვენები შედეგი საქართველოს თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ნაკრების პირველი წარმატებაა ახალი მთავარი მწვრთნელის, ოლიმპიური ჩემპიონის – რევაზ მინდორაშვილის თავკაცობით.

მ. ჟ.

# ჩრდილო კორეამ ბირთვული ბომბი ააფეთქა




ჩრდილოეთ კორეამ წარმატებული ბირთვული ცდის ჩატარების შესახებ ინფორმაცია გაავრცელა. ეს ჩრდილოეთ კორეის მიერ თავის ისტორიაში ჩატარებული მესამე ბირთვული ცდაა.

სამშაბათს ჩრდილოეთ კორეაში მიწისქვეშა ბიძგები დაფიქსირდა, რომელთა ეპიცენტრიც ჩრდილო კორეის ბირთვული პოლიგონის ახლოს მდებარეობდა. ინფორმაციას ამის შესახებ „ბი-ბი-სი“ ავრცელებს.

მიმდინარე წელს ფხენიანმა არაერთხელ გააკეთა განცხადება იმის შესახებ, რომ ბირთვული ცდის ჩატარებას აპირებდა.

აშშ-ს გეოლოგიურმა სამსახურმა ბიძგების სიმძლავრე 4.9 მაგნიტუდით შეაფასა. გაეროს ბირთვული მონიტორინგის სააგენტომ კი „უჩვეულო სეისმური მოვლენის“ შესახებ გააკეთა განცხადება. იმავდროულად, ჩრდილოეთ კორეის სახელმწიფო სააგენტოს მიერ გავრცელებული ინფორმაციით, ცნობილი ამ ბირთვული ცდის ჩატარების შესახებ გახდა. ეს ინფორმაცია ფხენიანმა ამ დილით კიდევ ერთხელ დაადასტურა.

ამ ფაქტთან დაკავშირებით, გაეროს უშიშროების საბჭოს სხდომა საგანგებოდ იკრიბება. ერთმა დიპლომატმა, რომელიც გაეროში მუშაობს, სააგენტოს ანონიმურად შეატყობინა, რომ ორგანიზაცია ბირთვული გამოცდის შესახებ ინფორმირებული იყო. ჩრდილოეთ კორეის მიერ ბირთვული გამოცდის ჩატარების შესახებ, გაეროს სამხრეთ კორეის ხელისუფლებამ შეატყობინა.

ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტო ჩრდილოეთ კორეის მიერ ბირთვული ცდის ჩატარებას გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციის დარღვევად აფასებს.

ჩრდილო კორეის მიერ განხორციელებული ქმედება დაგმეს ასევე გაეროს გენერალურმა მდივანმა პან გი მუნმა, აშშ-მ, სამხრეთ კორეამ და დიდმა ბრიტანეთმა.

აშშ-ს პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ განაცხადა, რომ ჩრდილო კორეის მიმართ ახალი საერთაშორისო სანქციები უნდა დაწესდეს და დასძინა, რომ აშშ საკუთარი თავისა და თავისი მოკავშირეების დასაცავად ძალღონეს არ დაიშურებს.

სამხრეთ კორეის თავდაცვის სამინისტრო მიიჩნევს, რომ ბირთვული იარაღის აფეთქების სიმძლავრე შესაძლოა 10 კილოტონამდე იყო.

ჯერ კიდევ იანვარში იყო ცნობილი, რომ ჩრდილოეთ კორეა თავის ისტორიაში მესამე ბირთვული გამოცდისთვის ემზადებოდა.

შეგახსენებთ, რომ აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის ოფიციალურმა წარმომადგენელმა ვიქტორია ნულანდმა განაცხადა, რომ ვაშინგტონი კორეაზე გამაფრთხილებელი დარტყმის შესაძლებლობას დღის წესრიგიდან არ ხსნის. „ჩვენ დღის წესრიგიდან არაფერს ვხსნით“, – განაცხადა დიპლომატმა ბრიფინგზე, სადაც კითხვა დაუსვეს სამხრეთ კორეასთან ერთად ფხენიანის წინააღმდეგ ერთობლივი ნაბიჯის შესაძლებლობაზე.

ამავე დროს, ნულანდმა ხაზი გაუსვა: „ჩვენ ძალისხმევას მივმართავთ გაეროს უშიშროების საბჭოს 2087-ე რეზოლუციისკენ, რომელიც ეკონომიკური ზეწოლის ზრდას ითვალისწინებს იმ შემთხვევაში თუ ჩრდილოეთ კორეა საკუთარ კურსს არ შეცვლის“.

# ამერიკის პრეზიდენტს სომხების გენოციდის აღიარებას სთხოვენ



ამერიკის პრეზიდენტს ბარაკ ობამას, სომხების გენოციდის ოფიციალურად აღიარებას სთხოვენ. ამის შესახებ, თეთრი სახლის ოფიციალურ გვერდზე გამოქვეყნებულ პეტიციაშია ნათქვამი.

„2013 წლის 24 აპრილს სომხების გენოციდს 98-ე წლისთავია. აქამდე ვაშინგტონს ოფიციალურ დონეზე არ ულიარებია სომხების გენოციდი, თუმცა ამერიკის პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ არაოფიციალურად აღიარა ეს ფაქტი და სომეხ ერს აღიარებას დაპირდა, მაგრამ დაპირება დღემდე არ შეუსრულებია. ორი წლის შემდეგ გენოციდიდან 100 წელი შესრულდება, ვთვლით, რომ მოვიდა დრო ვაშინგტონმა ოფიციალურ დონეზე აღიაროს სომხების გენოციდი“,– ნათქვამია აშშ-ში სომხური დიასპორის მიერ გამოქვეყნებულ პეტიციაში.

სომხების გენოციდი – 1915-1918 წლებში ოსმალეთის იმპერიის მმართველთა მიერ დაგეგმილი და განხორციელებული, დღევანდელი თურქეთის ტერიტორიაზე მცხოვრები სომეხი მოსახლეობის განადგურება. სხვადასხვა წყაროს მიხედვით ამ წლებში რამდენიმე ასეული ათასიდან ორ მილიონამდე სომეხი დაიღუპა.

დღევანდელი თურქეთი კატეგორიულად უარყოფს ისტორიულ ფაქტს სომეხთა გენოციდის შესახებ.

# ირანის ახალი ცენტრიფუგები ატომური ბომბის შექმნას დააჩქარებს



გუშინ, ისრაელის პრემიერ-მინისტრმა ბენიამინ ნეთანიაჰუმ განაცხადა, რომ ირანის ახალი ცენტრიფუგები, რომლებიც ურანის გამდიდრების პროგრამაშია ჩართული, ბირთვული ბომბის შესაქმნელად საჭირო დროს შეამცირებს.

გასულ თვეში ირანმა გამოაცხადა, რომ ქვეყნის მთავარ ურანის გამამდიდრებელ ქარხანაში ახალი მანქანების ჩართვა ქვეყანას მხოლოდ მშვიდობიანი მიზნებისათვის სჭირდებოდა.

„ირანის ბირთვული პროგრამა განვითარებას განაგრძობს. უკანასკნელად გაეროში ყოფნის დროს მე აღნიშნულთან დაკავშირებით ხაზები გავავლე. მათ ჯერ ეს ხაზები არ გადაუკვეთავთ, თუმცა რასაც ისინი აკეთებენ მოწმობს, რომ ამ ხაზების გადასაკვეთად ძალიან მცირე დრო დარჩათ“,-განაცხადა ნეთანიაჰუმ, რომლის თქმითაც მსოფლიოს წამყვანმა ქვეყნებმა „მშვიდობისა და უსაფრთხოებისათვის“ თეირანზე ზეწოლა უნდა გააძლიერონ.

მალე ქვეყნის ბირთვულ პროგრამასთან დაკავშირებით ირანისა და ე.წ „ექვსეულის“ შეხვედრაა დანიშნული. შეგახსენებთ, რომ ირანის სულიერი ლიდერი, აიათოლა ალი ჰამენეი, ვაშინგტონთან პირდაპირ მოლაპარაკებებზე, ირანის ბირთვულ პროგრამასთან დაკავშირებით, უარს აცხადებს. აიათოლას განცხადებით, ასეთი მოლაპარაკებები „არაფერს წყვეტს“. ეს ინფორმაცია სააგენტო „ფრანსპრესმა“ გაავრცელა.

„თქვენ, ამერიკელებს გსურთ მოლაპარაკებების წარმოება, ირანზე სამხედრო თავდასხმის პარალელურად. ირანელი ხალხი ასეთ ქმედებებს არ დაუშვებს და არ შეშინდება. ზოგს უხარია მოლაპარაკებების დაწყება, მაგრამ ეს მოლაპარაკებები ვერაფერს შეცვლის“, – განაცხადა ისლამური რესპუბლიკის უმაღლესმა ლიდერმა.

**მოამზადა გერა მამულაშვილმა**

# სამგლოვიარო განცხადებები

შალვა და თალიკო მირცხულავები ღრმა მწუხარებით იუწყებიან მძახლის

**გივი (გუდია) ფაცაციას**

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12–დან 17 საათამდე.**

# TV პროგრამა

**ოთხშაბათი 13 თებერვალი**

06.30 „მოამბე“ (აფხაზურ“ ოსურ“ სომხურ“ აზერბაიჯანულ ენებზე) 07.30 „ჩვენი დილა“ 09.00, 10.00, 12.00, 16.00, 19.00, 20.00, 01.30 „მოამბე“ 11.00 „სამოთხის ვაშლები“ 12.45 „პირადი ექიმი“ — მარი მალაზონია 13.30 „დღეს ორის ნახევარზე“ 15.00 დ/ფ „მეცნიერება ფილმებში“ 17.00 „გურმანია“ 18.00 „პეპე და მეგობრები“ 19.05 ტ/სერ „რესტავრატორი“ 21.00 ტ/სერ „ენრიკო მატეი — კაცი“ რომელიც მომავალს უყურებდა“ 22.00 „დიალოგი დავით პაიჭაძესთან“ 23.00 „ქართული დოკუმენტალისტიკა“ 23.40 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. მერვედფინალი: შახტარი — დორტმუნდი (პ/რ) შესვენებისას: „ვიქტორინა“ 01.50 მხ/ფ „წერილები ივოძიმადან“ (ტიტ.)

08.00 „მოამბე“ (აფხაზურ“ ოსურ“ სომხურ“ აზერბაიჯანულ ენებზე) 09.00, 12.00, 15.00, 17.00, 20.00, 23.00 „ბრიფინგის დრო“ 11.00 დ/ფ „მეცნიერება ფილმებში“ 14.00 დ/ფ „სახელგანთქმული თვითმფრინავები“ 16.00 დ/ფ „თანამედროვე იარაღი“ 19.00 ტ/სერ „საიდუმლო აგენტები“ 22.00 „თავისუფალი ტრიბუნა“ 00.00 „მოამბე“ (აფხაზურ“ ოსურ“ სომხურ“ აზერბაიჯანულ ენებზე)

07.30 იმედის დილა 09.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 00.00 ქრონიკა 09.10 იმედის დილა (გაგრძელება) 10.00 სერ. „იღბლიანი მოახლე“ 11.20 სერ. „უკვდავი ამბავი“ 12.20 ფორტ ბოიარი 13.00 სერ. „გაქცევა – 4“ 14.40 სერ. „24 – 5“ 15.40 სერ. „დამალული სიმართლე“ 17.50 სერ. „თილისმა“ 18.50 სერ. „სახიფათო ვნება“ 21.00 სერ. „მარტოსული“ 22.00 ქ.მხ/ფ „გაღმა ნაპირი“ (კ.მიქიაშვილი) 23.45 სერ. „ღვინის გზა“ 00.35 მხ/ფ (დაუსრულებელი სიცოცხლე“ (რ.რედფორდი) 02.20 მუსიკა

07.30 დილამშვიდობისა საქართველო 10.00 სერ. „სიყვარული მშვენიერია“ 11.00 სერ. „იდუმალი ქალი“ 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00 კურიერი 12.30 „შუა დღე“ 15.30 იღბლიანი ბორბალი (გ/ჩ) 17.00 სერ. „ვნების უფსკრული“ 18.45 სერ. „მგზნებარე გული“ 20.05 სერ. „ღირსება და ამბიცია“ 22.00 სერ. „ჩემი ცოლის დაქალები“ (ს.2) 01.00, 03.30 მხ/ფ. 03.00 კურიერიჰ დაიჯესტი

06.00, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 06.05, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00 საეკლესიო კალენდარი 06.10 ჩვენ ვუკრავთ კლასიკას 06.25 დოკ/ფ „ველური ბუნება“ 06.50 დოკ/ფ „ნათელი იგი“ 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 „განთიადი“ 10.00, 21.20 ერთსულოვნების ვერნისაჟი 10.05, 18.55, 21.55, 22.55, 00.25 ისტორიის დღიური 10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 10.35, 21.25 ლექსით ქებათა ქება 10.40 შარავანდედი გად.7 11.10 სალბუნი 11.30 მგზავრები წუთისოფლისა 12.05 ამინდი 12.10 დროის ჩანაწერები 13.20 კონცერტი-ვენის სიმფონიური ორკესტრი 14.50 ფოტოგალერეა 15.05 განთიადის სტუმარი 15.30 დოკ/ფ „ველური ბუნება“ 15.55 მოკ/ფ „აპრილი“ 16.45 კვირიაკე 18.05 საქართველო არის ესე 18.30 დეკორატიული ფლორა 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.20 მხ/ფ „ოთარაანთ ქვრივი“ 20.40 ძილი ნებისა 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.30 ეპოქის სახელები 22.20 ქართული ალბომი 22.45 დოკ/ფ „ქართული მონეტები“ 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 დოკ/ფ „წმინდა მეფე თამარი“ 00.35 განთიადის სტუმარი 01.00 მხ/ფ „კასაბლანკა“

**პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით**

# ახალი თაობა

Akhali-Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


13 თებერვალი

**ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი**

აშშ დოლარი — 1,6561
ევრო — 2,2213
ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2,6095
100 რუსული რუბლი — 5,4915

ამინდის პროგნოზი 13 თებერვლისთვის




# 11 თებერვლიდან „ახალ თაობასთან" ერთად

# მსოფლიოს ხალხთა ზღაპრები

## ტომი 1. ამერიკული ზღაპრები







# მალე, მალე, მალე „ახალ თაობასთან" ერთად

# ილია II

## ოქროს ხანა

სამტომეულის მე-2 ტომი

# „50 წიგნი, რომელიც უნდა წაიკითხო, სანამ ცოცხალი ხარ" გრძელდება




გამომცემლობა „პალიტრა ელი" აგრძელებს პროექტს „50 წიგნი, რომელიც უნდა წაიკითხო სანამ ცოცხალი ხარ". მისი პრეზენტაცია ქავთარაძის ქუჩაზე მდებარე წიგნების მაღაზია „ბიბლუსში" გაიმართა. მხოლოდ ერთი დღით, მთელი დღის განმავლობაში, 50 წიგნის პროექტში შემავალი ყველა წიგნის შეძენა მსურველებს 7 ლარად შეეძლოთ.

– გამომცემლობამ პროექტის გაგრძელებით მრავალრიცხოვან მკითხველთა სურვილი გაითვალისწინა. საუკუნის პროექტი შემდეგი სახელწოდებით გაგრძელდება – „50 + ბიბლია + კიდევ 49, რომელიც უნდა წაიკითხო სანამ ცოცხალია ხარ! 100 წიგნი ჩვენს თაროზე". პროექტი „50 წიგნი, რომელიც უნდა წაიკითხო სანამ ცოცხალი ხარ" სამი წლის განმავლობაში, განსაკუთრებული წარმატებით მიმდინარეობდა. წიგნების გამოსვლას წინ უსწრებდა ხანგრძლივი გამოკითხვა, რადგან ეს, საერთაშორისო მოთხოვნის მიხედვით, საზოგადოების მიერ არჩეული წიგნები უნდა ყოფილიყო. აგრეთვე მას უნდა გამოეკვეთა ამ დროის ლიტერატურული გემოვნება და აესახა საზოგადოების ლიტერატურული მეხსიერებაც. გამოკითხვაში 80.000-მა ადამიანმა მიიღო მონაწილეობა და ახლაც გრძელდება. მკითხველთა მხრიდან გამოიკვეთა ორი გზავნილი პროექტის მიმართ – პროექტში ბიბლიის, როგორც მთავარი წიგნის შეტანა და

გაგრძელება მე-8 გვერდზე

## ასტროპროგნოზი

13 თებერვლისთვის

**ყველამ გაითვალისწინეთ!**
**წარმატებული დღეა**

**ვერძი** – საინტერესო დღეა, ბევრ ახალ რამეს გაიგებთ. **კურო** – ფული გაქვთ, პრობლემა არ გაწუხებთ. **ტყუპები** – საქმე კარგად წაგივათ, მთავარია იაქტიუროთ. **კირჩხიბი** – რომანტიკული თავგადასავალი კარგ ხასიათზე დაგაყენებთ. **ლომი** – ფული გაქვთ, ახალ საქმეს წამოიწყებთ. **ქალწული** – უარი არ თქვათ შემოთავაზებაზე, ჯერ კარგად დაფიქრდით. **სასწორი** – გადაიხალისეთ გარდერობი, შეხვედრაზე მიდიხართ. **ღრიანკალი** – ფულს შოულობთ, ცოტაც მოითმინეთ და პრობლემას მოაგვარებთ. **მშვილდოსანი** – არ აჩქარდეთ, მშვიდად იმოქმედეთ. **თხის რქა** – სასიამოვნო სიახლე გელით, აღფრთოვანებული ხართ. **მერწყული** – საქმე კარგია, მაგრამ საკუთარ თავს დღეს მაინც მიხედეთ. **თევზები** – მეგობრების წრეში კარგად გაერთობით, მათგან კარგ ამბავსაც გაიგებთ.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## კროსვორდი ა

**შვეულად**: 1. ჯაზის იმპროვიზირებული სტილი; 2. ოსური ცეკვა; 3. სუსტი არაყი; 5. აზერბაიჯანული ხალხური ჟანრი; 6. მცენარეთა სამყარო; 7. ლეო დელიბის ბალეტი; 11. საფრანგეთის ფეხბურთელთა გუნდი; 13. კინოთეატრი თბილისში; 14. სპორტული სირბილი დაბრკოლებათა გადალახვით; 15. უმცროს მეთაურთა სამხედრო წოდება; 16. სპორტსმენთათვის აკრძალული აღმგზნები პრეპარატი; 17. პიტნით და ყინულით შეზავებული ვისკი ან კონიაკი; 19. დიპლომატიური წარმომადგენელი; 20. ვენეციის და გენუის რესპუბლიკების მმართველთა ტიტული.

**თარაზულად**: 1. ზოდიაქოს ნიშანი; 4. ვულკანიდან ამოფრქვეული გავარვარებული მასა; 8. ტერიტორია წყალგამყოფ მთებს შორის, სადაც მდინარე მოედინება; 9. ზღვის დიდი ტალღის ძველი ქართული სახელწოდება; 10. ქართული ხალხური შრომის სიმღერა; 12. კუთხე საქართველოში; 14. ტბა იტალიის ჩრდილოეთში; 15. უწახნაგოდ, მრგვლად დამუშავებული ძვირფასი ქვა; 16. ფრანგი მოდელიორი; 18. ილეთი ჭიდაობაში; 21. ერთწლიანი პარკოსანი მცენარე; 22. ძვირფასი ბეწვით გაწყობილი ქალის კაბის საყელო; 23. პირველი ამერიკელი ასტრონავტი.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა




# წმინდა პეტრეს ტაძარს მეხი დაეცა




რომის პაპის, ბენედიქტ მე-16-ის მიერ გაკეთებული განცხადების შემდეგ, წმინდა პეტრეს ტაძარს რომში, მეხი დაეცა. ამ ინფორმაციას მედია იტალიურ გამოცემაზე დაყრდნობით ავრცელებს. კადრები ფოტოგრაფმა ფილიპო მონტეფორტემ გადაიღო, რომელიც სააგენტო „ანსას" თანამშრომელია. ამ მოვლენამ სოციალურ ქსელებში დიდი გამოხმაურება გამოიწვია, თუმცა, ინტერნეტის მომხმარებელთა ნაწილი ეჭვქვეშ ელვის ხანგრძლივობას აყენებს.

როგორც ცნობილია, რომის პაპმა გადადგომაზე განცხადება გუშინ გააკეთა. გავრცელებული ინფორმაციით, გადადგომის შემდეგ პაპი გარკვეულ დროს თავის რეზიდენციაში გაატარებს, ხოლო შემდეგ საცხოვრებლად მონასტერში წავა.

გ. მ.

# ინგლისური ფეხბურთის ლეგენდა პოლ გასკოინი რეანიმაციაშია



სკანდალებით ცნობილი ინგლისელი ფეხბურთელი პოლ გასკოინი ამერიკაში სამკურნალოდ იმყოფება. „გაზა" ალკოჰოლიზმისა და სხვადასხვა დაავადებების გამო ძალიან დასუსტდა, არიზონას შტატის კლინიკა „კოტონვუდ დე ტუსონის" რეანიმაციულ განყოფილებაშია.

მისმა მეგობარმა ბრიტანულ მედიასთან საუბარში განაცხადა, რომ მას აბსტინენციის შემაშფოთებელი ნიშნები აქვს.

– პოლი რეანიმაციაშია, მას გულის შეტევა არ მოსვლია, მაგრამ თავს ვერ გრძნობს კარგად. მართალია, მის სიცოცხლეს საფრთხე აღარ ემუქრება, მაგრამ ჯერ ამ განყოფილებაში დარჩება. როგორც ჩანს, მისი მკურნალობა გაცილებით რთული იქნება.

სხვათა შორის, ამ კლინიკაში მკურნალობდნენ ნაომი კემპბელი, რობი უილიამსი. ამ კლინიკაში ერთი დღე მკურნალობა 1.000 ევროზე მეტი ღირს. გასკოინს თანხით ეხმარებიან სტივენ ჯერარდი, უეინ რუნი, ფრენკ ლამპარდი და სხვა ცნობილი ფეხბურთელები.

მ. ჟ.

ლურჯი წითელი ყვითელი შავი